

ს-კ

№2. 2019 წ.

იაფიანი



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

**იალქანი** - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის  
**აფქიო** - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - **ნანა ჭანტურია**  
მხატვრული რედაქტორი - **ნუნუ ჯანელიძე**  
დიზაინი, დაკაბადონება - **ვახტანგ ზაძარაია**  
მხატვარი - **დალი მუსაძე**



„ცენტრის“ დირექტორი  
**ირმა ირემაძე**  
**იალქანი** - დაარსებულია 1996 წელს  
**აფქიო** - დაარსებულია 2010 წელს  
გამოცემა განახლდა 2014 წელს



ოთხარის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი.  
ტაძარი აგებულია ადრე შუა საუკუნეებში. გუდაუთა, აფხაზეთი

**საგამომცემლო ჯგუფი:**

ნინო ვახანიძე, სალომე კაპანაძე, ნატო კორსანტია, ნუზარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე, ოთარ ჟორდანიძე, გელა ჩქვანავა, სოსო ჭუმბურიძე.



### ბათუ დანელია

## უნდა გველოდო, აფხაზეთო!

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო,  
როგორ არ უნდა გაინელოს უსაძველო დრო!  
ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო,  
სიზმარში, შენს ნინ დაჩოქილი, ლორვებს ვკითხულობ.

მე მინდა, ღვთისგან მონიჭებულ ნმინდა უფლებით,  
ანგელოზები დაირაზმონ ერთხელ უკლებლივ  
და დაგვარუნონ შენს თბილ მკერდში ჩასახუტებლად,  
რომ სხვამ ვერ შეძლოს შენი გულის დასაკუთრება...

რა ზაფხულისა რაზე დარობს, ზამთრის – რაზე თოვს,  
თუკი ჩვენ აღარ გველოდები შენ, აფხაზეთო!  
არ დაუდვია ღმერთს ჩვენს შორის საზღვარ-მიჯნადა –  
ქართველი – აფხაზს, აფხაზი კი – ქართველს ნიშნავდა.

სად გავივლიდა რა – უმზეო, ზღვა – უხმელეთო  
და აფხაზეთი – უქართველო?! – უნდა გველოდო!  
ჩვენ უსიკვდილოდ დავბრუნდებით სულის ფრთებისთვის,  
მოვალთ, მოგივალთ და მსუხარე იერს შევირვლით...

ისე მოგივალთ, როგორც მწყურვალს ნყალი კოკიდან  
და შენთვის დაღვრილ სისხლის ვარდებს უხვად მოგიჭანთ...  
სხვებმა რა უნდა მოგიჭანონ ძვირფასეული  
და რა არ უნდა დაამძვენონ შენი სხეული.

როგორ არ უნდა გაინელოს უსაძველო დრო –  
უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!





ნინო  
სადლოშვილი

"...ქახუქიან ლამეს დაბადებულა... ეთი უცნაუხად შეუჯივრია და იმ ევირზე თუ ქახის შემობეჯივრე უცებ მოთახის ფანჯარა ჩამსხვიულა", - ასე აღწერს მწერალი ნინო სადლოშვილი მახინეს ამჟვენად მოვიწინებს; დასაწყისშივე ამზადებს მკითხველს, რომ მომავალშიც ახ იქნება ჩვეულებრივი მისი ცხოვრების გზა.

მახინეც, თითქოს ნინასნახ განსაზღვრული ბედით დაიბადა მახინე, ტანში ქაჩამდგახი, ბავშვობიდანვე ცხოვრებას უცნაუხად შექიდებული; მახინე - ეთხეც დაშვებული შეცდომისთვის მთელი ცხოვრება ეთგულებას რომ ამტკიცებს, თავის თავის დამვიწყებული, ყველასთვის ყველაფხად ქვეელი ("ძალზე ახლოს მისელი საკეთახ თავთან").

ხოგოც ნინო სადლოშვილის ხელწეხა გამოხიჩეული, ასევე, გამოხიჩეული და დასამახსოვრებელია მისი მოთხობების ჰეხსონაფები. მახინეც ისეთია, თითქოს ვიცნობთ. ვინ იცის, ხამდენი მახინე დაღის ჩვენს გვეხით (ხამდენიც ამოიცნობს საკეთახ თავს), საქათველო ხომ მახინების ქვეყანაა!

ან "ვინა თქვა, მახიო კაცმა უნდა ზიდოს ოჯახიო. მით უმეტეს, თუ ქახუქიან ლამეს იბადებთან გოგონები, ხომელთა საბედისწეხო შექივრება ფანჯარის მინებსაც ეი ამსხვივს".

## მარინე

ნინო სადლოშვილი

ცოტა გოგო იყო მარინე, განა დიდი რამე! კაფანდარა, ჩხიკვივით ტოტიდან ტოტზე მოსკუბიალე, ვერცხლისწყალივით მოუხელთებელი, და თუკი ვინმე მაინც შეძლებდა და ხელს შეავლებდა, მერე უნდა გენახათ იმისი აფხორვა! გაიჯორჯებოდა ზედ შუა გზაზე და თავისთვის რაღაცას ომს უცხადებდა!

მეზობლებისგან ვიცი, ქარბუქიან ლამეს დაბადებულა. ყველა პოეტს რომ შემურდება უუცხოვესი შურით, ისეთ ლამეს. ბებიაქალს აუყვანია თუ არა ხელში, ერთი უცნაურად შეუვივლია და იმ კვირზე (რას იკვილებდა ერთი ბენო ქალი იმისთანას) თუ ქარის შემობერვაზე, უცებ ოთახის ფანჯარა ჩამსხვიულა.

მარინე დაარქვეს. კარგა ხანს საამაყოდაც ჰქონდა იმ ფანჯრის ამბავი გოგოს დაბადებით გულათანაღრებულ მამამისს.

მერე ბიჭიც გაუჩინდათ, მაგრამ მარინე სულ სხვა იყო. უნდოდათ თუ არა, ყველა ამჩნევდა. ბავშვი იყო, მაგრამ ის თავისი დაბადების ლამინდელი ქარი ჰქონდა ტანში გამჯდარი. სადაც წავიდოდა, ყველგან კვალს ტოვებდა.

პანანინას, აცაბაცას.

მარინეს ნახვა თუ გინდოდა, ხეებზე უნდა გეძებნა, სახურავებზე, სოფლის ტაძრის ნაშალ კედლებზე. დაბარება თუ რაიმესი გინდოდა იმის მობლებთან, მარინეს როგორ დაბარებდი! ან გასაგიჟებელ ამბად ჩაუტანდა, ან, სულაც, არ შეინუხებდა თავს, დაგტოვებდა ეგრე – პირში ჩალაგამოვლებულს. სამაგიეროდ, კალოთუბანზე რომ შეხვდებოდნენ უფროსები ერთმანეთს და სიმართლეს ფარდა რომ აეხდებოდა, მერე იყო მარინეს დასჯა ერთი ამბავი! იმდენს გადევნენინებდა თავს, იმდენს, რომ უნებურად, ამ მეტისმეტი სიბრაზისგან ლოყები განითლდებოდა და აქედან კიდე სულ ერთი ნაბიჯიღა თავზეხელაღებულ სიცილამდის!

ჰოდა, იცინოდა მთელი სოფელი, ხარხარებდა, სიცილისგან მინავლებულ მუშტებს ნიავივით შორიდან უფრიალებდა პატარა გოგოს, ათას გიჟმაჟ სასჯელს ჰპირდებოდა.

მარინე კი გორაზე იწვა, ვილაცის საფლავის ქვას ამოფარებული, ცალი ხელი პირზე აეფარებინა, მეორეთი კიდე მინაში აზელილ ცრემლებს ინმენდდა, რატომღაც გასიებული, მოღრუბლული გულიდან რომ წვიმდა და წვიმდა.

ერთხელ, იცი, რა ქნა მარინემ?

შემოდგომის შუადღე იყო. ხალხი მინდვრებსა და ყანებს დაწაფებოდა, კალთებს ივსებდა დათესილის მომკით გაბადრული. თავისები ყველანი მინდორში დაიგულა მარინემ, თვითონ კი ერთი მისებურად დაიბერტყა კაბა და დინჯი ნაბიჯებით მეზობელს ესტუმრა.

– გიორგი ძია! – რამდენჯერმე გასძახა.



მალევე გამოხედეს.

– მარინე? – გაიოცა კაცმა.

– ჰო, მე ვარ. შენთან მამამ გამომგზავნა, შენი ჭირიმე! – ისე სერიოზულად თქვა, ისე, რომ ძია გიორგი გულგადაქანებული ჩაეგება კართან.

– რაო, გოგო, ხომ კარგი ამბავია?

– ჰო, ეგ კი. მარა, სიმინდის მოტანას ველარ ვასწრებთ; ცას ისეთი პირი უჩანს, ამაღამ თუ არა, ხვალ მაინც უნდა განვიმდეს. ჩვენ კი ნახევარიც ვერ მოვასწარიტ, რო ამოგვეტანა. მოკლედ, მამამ – ულელი ხარ-კამეჩიო... – უთხრა მარინემ.

ცოტა კი გაიოცა ძია გიორგიმ. ცოტა კი არა, კარგადაც. ამ თითისტოლა გოგოს ხარ-კამეჩზე როგორ უშვებს ის მამაცხონებულიო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, ბოსელში შევიდა, პირუტყვი ულელში შეაბა, ურემი დაუგო და მარინეს ჩააბარა.

წამოვიდა ეს ფიქრივით მოუხელთებელი გოგო. წინ გამოუძღვა თავის უტყვ მეგობრებს, თან ყელზე ეფერებოდა მათ, თანაც რალაცებს მიელაპარაკებოდა. კარგად ჰქონდა განსჯილი, რასაც აკეთებდა. ამიტომ ძალიან მშვიდი და დაჯერებული ნაბიჯით შევიდა ტყეში...

გვიან საღამომდე ჩეხა შეშა. უფრო კი – ხმელი ტოტები გააცალა ხეებს, ააკონინა და ააკონინა ურემზე... ხანდახან, შრომაში გართული, ფიჩხგამონთავისუფლებული ხეების იქით გახედავდა ხოლმე ზეცას და გაიღიმებდა.

დაიღალა, მაგრამ იმ ნაგლეჯ-ნაგლეჯ ნანახი ცის ცქერა შველოდა, თითქოს რამე თილისმა ყოფილიყოს მასში...

სახლში რომ მოდიოდა, თავს რალაცნაირად უცნაურად გრძნობდა. მთელი ტანი უცახცახებდა, მაგრამ განა მარტო ნაჯახის ქნევის გამო!.. გული რალაცას ეუბნებოდა. არ იყო ყველაფერი სულ მთლად უბრალოდ. თითქოს პანანინა ნაპირები გაიჩინა აქამდე უნაპირო ბავშვობამაც...

მერე, რატომღაც გული აურიყდა პატარა, ჭრელკაბიან გოგოს და სიამაყით გადახედა თავის საგანძურს – ერთ ურემ შეშას!

ეს პირველი იყო, რაც მისი სიზმარივით ფორიაქა ცხოვრებიდან დღის სინათლეზე გამოჩორდა და სახელი დაირქვა – ქალმა ოჯახისთვის შეშა გაამზადა. განა ეს ცოტა საქმე იყო?

სახლში ამას უკვე აღარ ელოდნენ. დედამ თავში შემოიკრა ხელი, ყველაფერი რომ გაიაზრა, რაც ცხრა წლის ბავშვს ტყეში შეიძლება გადახდეს. მამამ ჯერ ძია გიორგის უხადა ბოდიშები, მერე მარინეს დაუდგა ცხვირწინ – აღარ იცოდა, ეცემა თუ არა... ეცემა თუ არა!..

ერთი კი იყო – შეშა არავის გადაუყრია. მშვენივრად მოიხმარეს.

დიდი გოგო გაიზარდა მარინე. კაბა რომ ცოტაზე დაიგრძელა, უკვე შეყვარებული იყო. მაგრამ ისევ ისე – სისხლს უშრობდა, იმის მაგივრად, რომ განაზებოდა.

მერე... ერთხელაც, იმ ტაძრის ნაშალიდან გადმოვარდა – ოცნებით მიბინდა მზერა, ფეხის წვერებზე აინია, უნდოდა, აღურჩას მისწვდომოდა, ორი ტაძრის სიმაღლეზე ასულს.

ორსულად იყო და ემუჯვებოდა აღურჩა. გადარჩა. ბავშვიანად. სამაგიეროდ, სახლში გაუგეს და სასწრაფოდ გაათხოვეს.

რა თქმა უნდა, სხვაზე.

ასე იყო ყოველთვის. მაშინაც, ახლაც ასეა. ოცნებებს იმიტომ ჰქვიათ ოცნებები, რომ არასოდეს დაემსგავსონ სინამდვილეს.

ოჯახში დამფრთხალი ჩიტივით გაება ვითომ თავნება მარინე. აქ კი – ახალი ადათ-წესები. ახალი წესრიგი თუ უწესრიგობა. ძლიერი გოგო იყო, არავის აგრძნობინებდა, რითიმე თუ იყო უკმაყოფილო.

სოფელშიც ნელ-ნელა მიივინყეს მისი პატარაობის ამბები. ახალი ბავშვები გაჩნდნენ. გინდა – არ გინდა, მათთვის უნდა ეცქირათ, თანაც, იმ ბავშვებს მარინესიც შეემატა. „აბა, რა დედის შვილი ხარ, შენ როგორილა იქნებიო“, და, ლამის, ძალით გააგიჟეს ეს ნიბლიასავით მშვიდი ბავშვი. არაფრით არ ჰგავდა დედას.





მარინე კი – შრომობდა ქრელყვაგილებიანკაბაგახდილი. მკლავებდაკაპინებული, სიცოცხლეს ჩაფრენილი. ჯერ სოფლის პურის საცხოვრებელი იმუშავა მცხოვრებლად, მერე რაიონში გადაიყვანეს. მერე აირია დრო და ცხოვრება. დაიხურა ქარხნები და საცხოვრები. ვინც ამღვრეულ წყალში ქვას ხელი წამოავლო, ყველამ ვერ აქცია ოქროდ. ზოგი აპყვა დინებას, ზოგიც – ვერა. ვერც მარინეს ქმარი. არადა, ორი ბავშვი ჰყავდათ, მოხუცი მშობლები, ბევრიც კიდევ – მათი შემაცქირალი. და ისევ გაუნია მარინეს გულმა იმ თავისი პირველნაგრძობისაკენ. ვინა თქვა, მარტო კაცმა უნდა ზიდოს ოჯახიო. მით უმეტეს, თუ ქარბუქიან ღამეს იბადებიან გოგონები, რომელთა საბედისწერო შეკვივლება ფანჯრის მინებსაც კი ამსხვრევს...

ერთ დღესაც დაკოცნა ბავშვები, თანაგრძობით მიეფერა ქმარსაც და წავიდა. უცხო ქვეყანაში. როგორც უღრან ტყეში, ოჯახისთვის შეშის მოსატანად. ჰო, ერთი კენჭი რაა, იმისთვის არ წამოუკრავს არასდროს ფეხი რაღაც უხილავი ნების გარეშე. მაშინაც, ტყეში რომ წავიდა, თითქოს უკვე იცოდა, მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა – თვითონ უნდა ეჩეხა, ეთესა და ემარგლა, ეზიდა და ეშვა, თვითონ, მარტო თვითონ. თავისი გიჟმაჟი, ქარიანი სხეულით, ცრემლისტოლა გულით. ოღონდ მაშინ, ბავშვობაში, ამას არავინ ავალდებულებდა. ახლა კი. და ახლაც ისევ ცხრა წლის იყო – ახალთახალი. მიუხედავად რამდენი მოგონებიანი ნაოჭისა, ნაჯაფარი სხეულისა. ოცნებიანიც – მარტოდმარტო დარჩენილი. ძალზე ახლოს მისული თავის თავთან. წავიდა სხვა ქვეყანაში, უკვდავების წყაროს მაძიებელი უფლისწულივით. ცხადია, მეტისმეტად გაუჭირდებოდა. იმდენი იბორიალა, იმდენი! მაგრამ სულ სხვა რამეს ინერებოდა: „მე ყველაფერი კარგად მაქვს. ერთი ეგ არის, აქ ვერსად ვნახე ტოტებგამოხშირული, შიშველი, ამოსუნთქული ცა. მენატრება...“ ახლა თითქოს არა უშავთ. ქმარს ვალი ჰქონდა, მარინემ გაასტუმრებინა. სახლის სახურავი შესაკეთებელი იყო – მარინემ ფული გამოგზავნა და იმით ისე კოპნიად გადახურეს, რომ შორიდან ეს წითელი კრამიტი ყიამაიას ზურგი გეგონება. ბავშვები აღარ დადიან ბიძაშვილების გამონაცვალ ტუფლებით და აღარ ეყინებათ პატარა გვერდები, როცა საღამოობით, აივანზე სხედან. მარინე შრომობს...



არავინ კითხულობს: როგორ? რანაირად? მისგან ყველა რაღაც ამის მსგავსს ელოდა. მთავარი ახლა ყველასთვის ისაა, რომ – კარგად არის, მაგას რა უჭირს... ზოგი იმასაც ამბობს, გადანყვეტილი ჰქონია – თავის ქმარ-შვილი უნდა აყაროს და ისინიც თავისთან წაიყვანოსო, – შურით ამბობენ, თუ რა არის... კიდევ კარგი, შურიანების არ სჯერათ ხოლმე. მარინე... მეზობლებისგან გამიგია – ლამაზი არასდროს ყოფილა, მაგრამ ის თავისი სულმუდამ წყლიანი თვალები და მოკლე კაბა ისე უხდებოდა, რომ გოგოს უნახავს გაგხდილაო... მაინც, ცოტათი მიივიწყეს. არც გაემტყუნებათ – ათასი რამე აქვთ საფიქრალი. თითონაც, თავისებურად, ზედ შუა გზაზე გაფხორილები, რაღაცას განუწყვეტილივ, განუწყვეტილივ ებრძვიან.



ხუბიჯა "ზღვისპირა იაქიანი" გთავაზობთ ოხ ფიჯემენტს ძველი ჰესიდან: 125 წლისა და 120 წლის წინათ გაზეთებში "იჯიხიასა" და "Черноморский Вестник"-ში დაბეჭდილ ინფორმაციებს. კითხვობ მათ და ხმენებები: ხესეთის იმჰიჯიედი ჰოლიჯიჯა დლესაყ უცვლეღია მის მიჯი ოყეჰიჯებუღ აფხაზეთში.

**1894 წ. გაზეთი „ივერია“ №128**

„დღეს, 12 ივნისს, იქაურს ქალაქის ტაძარში გადავიხადეთ საორმოცო პანაშვიდი ეგნატე ინგოროყვას (წინოშვილის) სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ბლომად დაესწრო. პანაშვიდი გადახდილ იქმნა ქართულად დეკანოზ მაჭავარიანის\* მიერ და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთხელ მაინც გვეღირსა ქართულის გაგონება ქართველებს აქაურ ეკლესიაშიო. მადლობა ღმერთს, აქაურმა ქართველებმა გაიღვიძეს ცოტა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველი მოღვაწისათვის პანაშვიდი გადაუხდიათ სოხუმში, თუმცა არა ერთი და ორი ნიჭიერი მწერალი გარდაცვლია ქართველებს.

ამას გარდა, სოხუმის ქართველებს სურთ, ითხოვონ, საცა ჯერ არს, რომ აქაურს ტაძარში ქართულად იქმნას წირვა-ლოცვა დრო გამოშვებით და თუ ამის ნება მიიღეს, მაშინ განზრახვა აქვთ, ააგონ საკუთარი ეკლესია, სადაც მხოლოდ ქართულად უნდა იქმნას წირვა-ლოცვა. ეს აუცილებლად საჭიროა, რადგან ორი-მესამედი აქაურ მცხოვრებისა არიან ქართველები, რომლებსაც ასში ერთს არ გაეგება რუსული წირვა-ლოცვა და ქართულსაც მოკლებულნი არიან. აქაურს ახალგაზრდობას განზრახვა აქვს, დააარსონ საზოგადოების დახმარებით აქაურსავე სტამბასთან პატარა ქართული საზოგადო სამკითხველო, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდ სარგებლობას მოუტანს აქაურ ახალგაზრდობას, მით უფრო, რომ ჩვენში წასაკითხად კი არა, საყიდლადაც ძნელია ქართულის წიგნის შოვნა.“

**„Черноморский Вестник“ — 1899 წ. 6 მაისი\*\***

„ჩერნომორსკი ვესტნიკის“ №72-75 ნომრებში გამოქვეყნებული იყო ბატონ კ. მაჭავარიანის\*\*\* წერილი ასეთი სათაურით: „აქვთ თუ არა უფლება სამურზაყანოელებს, ინოდებოდნენ მეგრელებად?“

ავტორი უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ აფსილეთსა (სამეგრელოს) და აფხაზეთს შორის საზღვრად მიჩნეულია მდინარე ენგური. მართებუღია თუ არა ეს ვერსია?


პროკოფი კესარიელის მოსაზრებით (VI ს., ბიზანტიელი), აბაზგიის შესასვლელთან აღმართული მაღალი მთა განოღილი იყო ზღვამდე, ბექობის ძირში კი აგებული იყო სიმეგრე, ცნობილი სახელწოდებით – „ტრაქეი“. ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, ფრანგი დიუბუა, XIX ს.) უძველეს ტრაქეას აიგივებს ნიკოფსიის ნანგრევებთან (ახალი ათონის მონასტრის სიახლოვეს), სხვა კი (ბატონი ჩერნიავსკი) მიუთითებს ნანგრევებზე მდინარე კელასურის სიახლოვეს (სოხუმიდან 5 ვერსის მანძილზე).

გააჩნია თუ არა ბატონ მაჭავარიანს რაიმე მონაცემები კესარიელის მოსაზრებათა უარსაყოფად? ხომ არ ამტკიცებს ლამბერტიც (იტალიელი მისიონერი, XVII ს.), რომ მის დროს მეგრელებს აფხაზეთისგან ყოფდა მდინარე კოდორი, რომ ქალაქი ბეღია, ცნობილი თავისი მონასტრით, არის სამეგრელოში. ბეღია ხომ სამეგრელოს შუაგულშია.

მეტიც – ამის პირდაპირი მიმანიშნებელი ისიც არის, რომ მეგრელი თავადების სასახლე აგებული იყო მდინარე ლალიძგის სანაპიროსთან, რომელიც ილორიდან 10 ვერსის მანძილზეა. ამდენად, მიჩნეულია თუ არა მართებულად ისტორიკოსების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი სოხუმის ოლქი მდინარე ფსირცხამდე დასახლებული ყოფილა მეგრელებით, რომლებმაც დროთა განმავლობაში უკან დაიხიეს სამურზაყანოს საზღვრებამდე? ამასვე მიუთითებს ფრესკის წარწერები ილორის მონასტერში; და ამას არავინ ჩავგივთვლის არც მიკერძოებად და არც ტენდენციურობად.“

**სამურზაყანოელის ხმა**

\* – გიორგი მაჭავარიანი – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი.  
 \*\* – ტექსტი თარგმნილია რუსულიდან. \*\*\* – კონსტანტინე მაჭავარიანი – მხარეთმცოდნე, მწერალი; დიმიტრი გულიასთან ერთად შექმნა აფხაზური ანბანი (1890-91 წ.წ.).





მღვდელი  
ლევან ანდლულაძე

"სიყვავილი ისაა, რომ ჩვენ ჯი ახ შევიყვავით ღმერთი, ახამედ მან შეგვიყვავია ჩვენ და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მადლიანებად... რომელია უფლის სიყვავილის ნიშნები? თვითონ უფალმა გვასწავლა ეს და თქვა: თუ გიყვავი, დაიცავით ჩემი მცნებანი", - ვკითხულობთ "წმინდა ნეხილში", სიყვავილის მახადიელ წიგნში, რომელიც, საუკუნეებისა, ადამიანებს აკეთილშობილებს, ძაღას მაკებს.

პუბლიკაცია, რომელიც ჩვენივე თხოვნით მოგვანოდა საბუთადოს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურმა - მღვდელმა ლევან ანდლულაძემ (ჩისთვისაც გამოვხატავთ დიდ მადლიერებას), უფლისა და ადამიანის ყველაზე აღმატებულ შესაძლებლობაზეა.

სიყვავილი - სიცოცხლის სახილსია, ეხთხედაც ახმოვანებს ავტოხი ბიბლიუი ქეშმახიკებას და ნეხილსაც ამ სახელწოდებით ასათუხებს. რომელიც მამა ლევანი განმახატავს, სიყვავილი, უპიხველსად, თავგანწიხვა, ეხთხელებაა ოქახის, ქვეყნისა და, ხაც მთავახია, ღვთის მცნებებისადმი.

## სიყვავილი - სიცოცხლის სახილსია!

ლევან ანდლულაძე

უსასრულო, უკიდევანო სამყაროს შემეცნებისას არ შეიძლება, არ გაგვიჩნდეს კითხვა, თუ ვინ, ან რამ - რისთვის შექმნა ეს ყოველივე. საოცარი ხილული თუ უხილავი ჰარმონია, რომელიც ქმნის სამყაროს ცხოველმყოფელობას, მრავალ კითხვას აღძრავს ადამიანის გონებაში, ადამიანისა, რომელიც სწორედ რომ გვირგვინია ყოველივე ქმნულისა. **სწორედ რომ გარდამეტებული სიყვარულის გამო შექმნა უფალმა სამყარო და ამ სამყაროს გვირგვინად ადამიანი; არარსებობიდან არსებობაში შემოგვიყვანა ჩვენ ყოველი და მოგვცა მსგავსება და ხატება თავისი.**

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ცხოვრების ისტორიას მტკიცედ და სწორხაზოვნად გასდევს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. საზოგადოების, ერებისა და, ზოგადად, კაცობრიობის ცხოვრების წესი ქმნიდა და ქმნის იმ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით ჩვენ - ადამიანები.



საბურთალოს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია

მრავალი საუკუნის მანძილზე იწყებდა და აშენებდა საზოგადოება, ყალიბდებოდა ამა თუ იმ ხალხების ცხოვრება და კულტურა; და აი, დღეს, როცა ასეთი მაღალგანვითარებული და ზეტექნოლოგიური მიღწევების პირისპირ დგას კაცობრიობა, პარალელურად, სამწუხაროდ, რეალურია ისეთი დიდი კრიზისები, როგორცაა ომები, შიმშილი, ტრეფიკინგი, მორალური თუ ფსიქოლოგიური ტერორი და ა.შ.

დღეს გავრცელებულია ტერმინი „რთული დრო“, რომელსაც ხშირად იყენებენ ადამიანები, რომელიც ხაზს უსვამს, თუ რა სიძნელეების წინაშე დგას საზოგადოება; მაგრამ, განა შეიძლება, დასახელდეს ისეთი პერიოდი, როცა არ ყოფილა სირთულეები. რაღა თქმა უნდა, არ არის ადვილი ყველაფრის მონესრიგება და მართვა; **მაგრამ გაცილებით დიდი და გადაულახავი პრობლემები ყოფილა ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში და, პირადად, ჩვენი მცირე ქვეყნის ისტორიაში; ყოფილა ისეთი, ერთი შეხედვით, დაუძლეველი პრობლემებიც, რომლიდანაც გამოსავალი არც კი ჩანდა, მრავალჯერ აღმოჩენილა ჩვენი ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე, მაგრამ დღემდე ხომ არსებობს ღვთივკურთხეული ჩვენი ლამაზი სამშობლო. სწორედ ერთეულ, მაგრამ წმინდა ადამიანთა რწმენამ და სიყვარულმა, თავდადება მუუნარჩუნა ჩვენს ერს თვითმყოფადობა, რაობა.**

და მაინც: კაცობრიობის ისტორია იყოფა ორ





პერიოდად: ქრისტემდე და ქრისტესშემდგომ პერიოდებად; მაცხოვრის განკაცებით, მისი მიწიერი ცხოვრებით, ჯვარცმითა და აღდგომით მოგვეცა საშუალება ღმერთთან შეერთებისა. ყოველ ადამიანს, რომელიც ირწმუნებს განკაცებულ მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს – შეუძლია უფალთან მიახლება, ერთობა და ეს სიმტკიცე გამოიხატება ღმერთთან ზიარებაში, ადამიანის განღმრთობაში, ღვთის მცნებების აღსრულებაში.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „რამეთუ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მისცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმუნეს იგი, არა წარწყმედეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (ინ. 3.16).

როგორც პირველი კაცის – ადამის ცოდვა-დაცემით შემოვიდა ყოფიერებაში სიკვდილი, ასევე, მაცხოვრის განკაცებით აღდგა ერთობა უფალსა და ადამიანს შორის, კვლავ გახდა შესაძლებელი, ღვთის წყალობითა და სიყვარულით გახსნილიყო სამოთხის კარი; **ღმერთმა ადამიანის სახე მიიღო, რათა ადამიანი განღმრთობილიყო.**

და ეს ყოველივე მოხდა იმ უდიდესი სიყვარულის გამო, რითაც შექმნა ღმერთმა ადამიანი. სწორედ, რომ სიყვარული იყო ადამიანის ამქვეყნად მოვლენების მიზეზი, ადამიანის, რომელიც ასაზრდოებს ყოველივეს და სილამაზეს ანიჭებს სიცოცხლეს.

მაგრამ არ შეიძლება, სიყვარული აღვიქვათ მხოლოდ ნეტარებად და სიამოვნებად, რადგან სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, თავგანწირვა და ერთგულებაა, სიყვარული მაღალზნეობრივი აქტია – ღვთის მცნებათა გაფრთხილებაა, მცნებებისა, რომელთა დაცვისას თავად აღმოვჩნდებით დაცულნი მრავალი განსაცდელისაგან, ხილული თუ უხილავი მტრისაგან. და სწორედ ადამიანის დაცვასა და განღმრთობას ემსახურება, თუკი რამე აკრძალვას დაწესებული ღვთისაგან.

**ღიას, სიყვარულისა და თავგანწირვის მაგალითია, უპირველეს ყოვლისა, განკაცებული უფალი და ღმერთი ჩვენი – იესო ქრისტე და თითოეული, მის მცნებათა დამცველი. ასე ყალიბდებოდა მიწიერი, მებრძოლი ეკლესია, რომელიც სხეულია ქრისტესი.**

მხოლოდ ეკლესიის წიაღში ხდება ადამიანის განღმრთობა და ღმერთთან ერთობა, რომელიც აღესრულება მაცხოვრის მეშვეობით; მხოლოდ ეკლესია შრომობს და იბრძვის ადამიანის გადასარჩენად.

უნდა აღინიშნოს, რომ, ასევე, უდიდესი სიყვარულის გამოხატულებაა ჩვენთვის ბოძებული თავისუფალი ნება, რომელიც გვინყალობა ღმერთმა ადამიანებს, რომელიც მოქმედებისას განუსაზღვრელ და შეუზღუდავ საშუალებას გვანიჭებს. ჩვენს არჩევანზე, ჩვენივე თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული, როგორ ვიმოქმედებთ, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, როგორ გამოვიყენებთ და ვაქცევთ რეალობად ჩვენს ფიქრებსა და მოთხოვნილებებს, ჩვენს შესაძლებლობებს.

**თავისუფალი ნებითა და არა ძალადობით მოქმედებს შემოქმედი; მოგვინოდებს, მაგრამ არ ძალადობს, შთაგვაგონებს, მაგრამ არ გვაიძულებს.**

ათასი აზრი და ფიქრი გაივლის ჩვენს გულსა და გონებაში, მაგრამ გადანყვეტილება ჩვენვე უნდა მივიღოთ, ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ, ასევე, მოქმედებს ბოროტიც, რომელიც აღძრავს ჩვენს ფიქრებში მრავალ უკეთურ აზრსა და გადანყვეტილებას; და სწორედ ამ დროს – ჩვენს გონებაზე, ჩვენს გულზეა დამოკიდებული, მივიღებთ მას თუ არა, ზურგს შევაქცევთ თუ, როგორც ღვთის ხატებასა და მსგავსებას შეეფერება, ისე მოვიქცევით. ამ რეალობაში ვლინდება ჩვენი გონიერება, ჩვენი ერთგულება და სიყვარული შემოქმედისა და მოყვასისადმი. ჩვენი გადანყვეტილება



იოანე ღვთისმეტყველი



წმინდა მამათა შეგონებანი



და ქმედება გამოაჩენს, რას ვირჩევთ ორიენტირად: კეთილსა თუ ბოროტს.

ბოროტი კი, როგორც წესი, სიყალბისა და სიცრუის საბურველშია შემოსილი და გვთავაზობს ფსევდოსასიკეთო, ერთი შეხედვით, მიმზიდველ და „მომგებიან“ სვლებს. სწორედ უფლისადმი ჩვენი მინდობით, გონიერებით გავარჩევთ, ჩვენთვისაც და სხვისთვისაც რაა სასიკეთო და რაა საზიანო, რა დაგვაშორებს ღმერთთან და რა მიგვაახლოებს.

მიუხედავად მაღალი განვითარებისა, ინტელექტუალური დონე კლებულობს ადამიანებში, რაც გამოწვეულია განათლებაზე, შემეცნებაზე უარის თქმით. ჩვენი მომავალი თაობა და, კერძოდ, ადამიანთა ერთი ჯგუფი, რომელთაც უდიდესი საშუალება აქვთ, კეთილად გამოიყენონ თავისუფალი ნება, ზოგჯერ ყველაზე უკეთურ „სამსახურს“ უწევენ საკუთარ თავს, მომავალს.

ნარკოტიკებისადმი, აზარტული თამაშებისადმი, ლოტობისა და გარყვნილებისადმი მიდრეკილება, განათლების მიღებაზე უარის თქმა და სხვა მრავალი საცდური თუ დამაზიანებელი

ქმედება დამანგრეველ გავლენას ახდენს მათზე, რომელნიც ღვთისა და სიკეთისგან ზურგშექცეულნი დგანან. ჩვენივე არჩევანი განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას, დღევანდელობას, რომლითაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ დავიტრახებთ და რომლითაც ყოფნა-არყოფნის საშიშროება ექმნება ჩვენს ერს.

ისევ და ისევ სიყვარულის ნაკლებობით, თავისუფალი ნების არასწორი გამოყენებით იქმნება ის რეალობა, რომელ რეალობაშიც, ჩვენდა სავალალოდ, ვცხოვრობთ დღეს ადამიანები. განსაკუთრებით, სახიფათოა საბედისწერო და, ამდენად, ღვთის სანინაღმდეგო და მისთვის მიუღებელი ქმედება ისეთი მცირე ერებისათვის, როგორსაც წარმოადგენს ქართველი ერი.

თუმცა სიამაყით შეგვიძლია ვისაუბროთ ხარისხობრივად მაღალი დონის მქონე, ინტელექტუალურად განვითარებულ და სწავლით დაინტერესებულ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც, სწორედ რომ, წარმოადგენენ ჩვენი ერის ხერხემალს. მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ჩვენი მოწინავე ახალგაზრდები შემოქმედებითი პროტენციებით, დაულალავი შრომითა და საქმისადმი ერთგულებით თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობენ ქვეყნისა და მომავლის სასიკეთოდ, შინ თუ მის ფარგლებს გარეთ.



ჩვენ არ გვაქვს უფლება, არ გავუფრთხილდეთ ჩვენს გენოფონდს, რომელიც, სწორედაც რომ, წარმოადგენს ჩვენი, როგორც ერის არსებობა-არარსებობის გარანტს. საჭიროა ეკლესიის, ხელისუფლების დიდი დოზებით ჩართულობა განათლებისა და სოციალური პროგრამების სისტემებში.

და ბოლოს: არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს გულგრილი საკუთარი ოჯახის, ქალაქისა თუ კუთხისადმი. სიყვარული არის სწორედ ის ჯავშანი და დაცულობა, რაც გამოიყვანს კაცობრიობას და, მათ შორის, ჩვენს ერსაც კრიზისიდან. მხოლოდ სიყვარულით, თავდადებით, ზრუნვით არის შესაძლებელი კეთილდღეობისა და ღმერთთან ერთობის აღდგენა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებით, გააზრებით, თუ რა საშიშროების წინაშეა დღეს კაცობრიობა, მით უფრო, პატარა ერებს შორის ერთ-ერთი უძველესი – ქართველი ერი, განათლებისადმი და შრომისმოყვარეობისადმი მისწრაფებით, რაც მიიღწევა ღვთის შემეცნებით – მისი მცნებების აღსრულებით.

„ადიდებს სული ჩემი უფალსა“



ამაყი ხაი, ხოდესაყ ვაჟა ფშაველა გყავს, მაგჩამ თუ ბუმბუხაზ ჰოეტთან ჩამე გაჯავშიხებს, გადაყეთის თუნდაც ეთი წეხტილი, უკვე დიადის ნაწილი ხდები.

ღატავჩა თეთხაელის წეხტილი "დიდი ვაჟა და ქალიყელი" ვეწნობით ვაჟა ფშაველას ბავშვობის მეგობარსა და ჰავდეს (ვაჟას მამა) ნათელეს, ჰოეტუი ნიჭით დაჯიღოებუდ ფშავედ ქალს - ქალიყედ გოჩხამაელს, ხომლის ცხოვრებას ამშვენებს დიდ ჰოეტთან ახლობლობა და ნათელმეჩონობა.

ქალიყელი იყო აჯიგი მოქმედი და მოღეუქე, ხვაჩამზე სამუჯაშვილის ლექსების მცოდნე; წეხა-ეთხვაც ჟი ახ იცოდა, მაგჩამ ფენომენალური მეხსიეხების ჰახონმა ყველა ლექი ზეჰიხად შემოინახა (ქალიყელის ლექსები დაცულია შოთა ხუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში).

ჩა გასაჯიხია, ხომ ვაჟა ფშაველას მიეჩ ნაჩუქაი ხანჯალი ქალიყედ გოჩხამაელის შთამომავალთათვის ძვირფასი სახსოვარია.

ღატავჩა თეთხაელის წეხტილი, ხომელიც მოგვანოდა ავტოხის ხძაღმა, შესანიშნავმა ჰოეტმა მაია მიქიამ, მახილაც ხომ, ფშავედი ქალის მიეჩ მოქსოვილი ფახდაგივით ფეხადოვანი და მიშხიდველია.

## DIDI VAJA DA QAL IKEL I

ლათავრა თეთრასული

### რაზიკაანთ ნათლული

ჩარგალში რომ შედისხართ, მარცხენა ფერდობზე მერცხლის ბუდესავით მოჩანს რაზიკაშვილების ძირძველი სახლი, სადაც ვაჟა-ფშაველა დაიბადა და ცხოვრობდა. რაზიკაანთ სახლთუკვენ, მარცხნივ, ახლოს გორზამაულები ცხოვრობდნენ. მამუკა გორზამაულს ერთა შვილ (შვილად მხოლოდ ვაჟიშვილს მოიხსენიებდნენ, ქალი სხვისააო) და ორ ქალი ჰყვანდა, მართა და ქალიკელი (ნათლობის სახელი – ელენე).

ქალიკელი 1860 წელს დაბადებულა და პატარავე დაობლებულა დედ-მამით. პატარა ქალიკელი თანატოლ, ლუკა რაზიკაშვილსა და სხვა თანასოფელელ ბავშვებთან ერთად იზრდებოდა. ერთად მასხარაობდნენ (თამაშობდნენ), ერთად მწყემსავდნენ ჯერ ბოჩოლებსა და ბატკნებს, ხოლო მოზრდილები უკვე ცხვარ-ძროხას. ქალიკელი პავლე მღვდლის (ვაჟა-ფშაველას მამის) ნათლული იყო და ელენეც მას დაურქმევია. ფიზიკურად სუსტი ყოფილა ქალიკელი. არ ჰგვანდაო შამძლე-გამძლე ფშავლის ქალსაო. რვა ნაჭაპნთ (ნაწნავს) ვატარებდიო – იტყოდა სიბერეში (მთაში ქალი ხომ თმით ფასობს). პატარაობიდანვე ამჟღავნებდა პოეტურ ნიჭს, თუმცა ფარულად, რადგან ფშავლის ქალს ეკრძალებოდა მოღეუქეობის გამჟღავნება. ფშავლის ქალები მხოლოდ ერთურთს უზიარებდნენ თავიანთ ლექსებს (ცხადია, ზეპირად). თუმცა, გამონაკლისი იყო თანატოლი ლუკა, რომელთანაც ზოგჯერ ლექსად პაექრობდა. აი, სწორედ ამ პერიოდიდან არც ერთმა ლექსმა არ მოაღწია ჩვენამდე, ერთადერთი გამონაკლისის „დეუცობა“-ს გარდა, რომელიც მოგვიანებით, ყმანვილობაშია შეთხზული. ვინ იცის, რა ლალი და ლამაზი ლექსები ჩაიკარგა წარსულის დავინწყებაში.

ბავშვობაში სუსტი ყოფილა ბებო. ვაჟა-ფშაველას მამას (პავლე მღვდელი მადლიან კაცად მიიჩნეოდა), რომელთანაც ახლო მეზობლობა და ნათელ-მირონიც აკავშირებდათ, „თავისად დაუსახელებია“ (მოუნათლავს) ქალიკელი. ქალიკელი ვაჟა-ფშაველასთან ძალიან მეგობრობდა, თავისი ღვიძლი ძმის სულთან ერთად იფიცებდა ვაჟას თავს.

### შერჩეული სიძე

გავიდა ბაღლობის წლები. ობოლი ქალიკელი მიეკედლა ნათლის ჯალაბის კერას. ქალიკელი, ლუკა და ბაჩანა ხომ ისედაც ნადობ-ნაძმობნი იყვნენ. მშვიდი, სათნო და მშრომელი ქალიკელი საოჯახო საქმეში ქალიშვილივით ეხმარებოდა დედობილს, ოჯახის დიასახლისს, გულქანს (ბარბაღეს). პავლე მღვდელს ნათქვამი ჰქონია, ქალიკელი ჩემპირგაურევლად არ



ჩარგალი. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი



ქალიკელ გორზამაული ვაჟა-ფშაველასთან ერთად

გაათხოვოთო და, მართლაც, თავადვე შეურჩევია მისთვის თავისივე მამიდაშვილი, გიორგი თეთრაული, რომელიც გარეგნობით ბრგე, მხარბეჭიანი, თეთრფერი იყო.

თეთრაულები ქერა, ცისფერთვალა ხალხი იყო და გვარიც აქედან მოდის. თეთრაულები წარმოშობით ხევსურები, არხოტიონნი, რწმენით ჭიჩოვლები არიან. ჭიჩოს ხატი იყო მათი სალოცავი. რთული ბუნებრივი პირობების გამო ვაჟა-ფშაველამ უკიდურესი მთიანი დასახლებიდან ფხოველნი ქვემოქედში ჩაასახლა.

გიორგი თეთრაულის და-ძმა შირაქში დასახლებულა. გიორგიმ კი, როგორც მესაქონლემ, ისევე ფშავეში (თიანეთის მაზრა),

სოფელ არტანში ამჯობინა დასახლება. იგი არტნის ხეობის უმდიდრესი კაცი იყო უამრავი ცხვარ-ძროხითა და ცხენების ჯოგით. კოლექტივიზაციის ხანაში გააკულაკეს და არტნის კოლმეურნეობა მისი საქონლის საფუძველზე შეიქმნა.

აი, ამ თეთრაულთ გიორგიზე გაათხოვა ნათლიამ, პავლე რაზიკაშვილმა მოხდენილი ქალიკელი.

### ჩვენი ოჯახის შეუფასებელი განძი

ქალიკელსა და გიორგის ხუთი ქალიშვილი და ერთი ნაბოლარა, ნანატრი ვაჟი, ვაჟა (ივანე) ეყოლათ. უკვე ასაკში მყოფ ქალიკელს, წესისამებრ, მარტოს უმშობიარია. ამ დროს ოჯახში ერთადერთი გაუთხოვარი ქალიშვილი, თამარილა ყოფილა და, ფაქტობრივად, მას გაუზრდია ძმა. ახალშობილისთვის ვაჟა დაურქმევიათ, ცხადია, დიდი ვაჟას სიყვარულით.

იმხანად ვაჟა-ფშაველა დაბა თიანეთში ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. თიანეთიდან ყოველკვირეულ პუბლიკაციებს აგზავნიდა თბილისში, გაზეთ „ივერიაში“ (მაშინ ფშავ-ხევსურეთის ცენტრი თიანეთის მაზრა იყო). ღამეს ერთ-ერთ ოჯახში ათევდა და კვირის ბოლოს, ჩარგალში მიმავალი, ერთ ღამეს თავისი ბიძისა და ნადობის ოჯახში რჩებოდა. ჩარგალში გადასასვლელი გზა ზემო არტნიდან ზემოთ, ჩრდილოეთით უღელტეხილზე გადადის. ასე გადადგადმოდიოდა ვაჟა ჩარგალსა და თიანეთს შორის ცხენით. ხშირად ბაჩანა და ვაჟა ერთად სტუმრობდნენ ქალიკელის ოჯახს.

**მამაჩემი, ვაჟა რომ დაბადებულა (1910 წ.), წესისამებრ, ლუკას (ვაჟა-ფშაველას) „პირისსანახავით“ მისულს, აკვანში ჩვილისთვის თავქვეშ ხანჯალი ამოუდვია. წესი იყო, ახალშობილი ვაჟისათვის რაიმე იარაღის, ხანჯლისა ან დაშნის თავქვეშ ამოდება. ეს ხანჯალი, პატარა და ლამაზი, სპილოს ძვლის სახელურითა და ზარნიშით მოსევალებული, ლეკებისთვის გაუკეთებინებია.**



ლატავრა თეთრაული

**ეს ხანჯალი ჩვენი ოჯახის რელიკვიად იქცა.**

ოჯახის ტრადიციის მიხედვით, ხანჯალი და ირმის რქა გადაეცემოდა მისი უპირველესი მფლობელის, ვაჟა (ივანე) თეთრაულის სიყრმის შვილს. სასურველი იყო, ვაჟიშვილს გადასცემოდა მემკვიდრეობით. ვინაიდან ივანეს ვაჟი არ შერჩა, (ჩვენი უმცროსი ძმა, ვაჟიკო, წლინახევრისა დიზენტერიით გარდაიცვალა რუსეთში). რაკილა უფროსი შვილი მე ვიყავი, მე მერგო ეს წმინდა რელიკვია. მე კი ჩვენს უფროს შვილიშვილს, სანდროს გადავეცი.

**საბედნიეროდ, სანდრო ღირსეული მფლობელია ამ რელიკვიისა, რადგან მას ღრმად აქვს გაცნობიერებული მისი ფასი და ამაყოფს ამით, ისევე, როგორც ჩემი სამივე შვილი, ოთხივე შვილიშვილი და რძლები. ეს არის შეუფასებელი განძი, რაც ჩვენს ოჯახს გააჩნია, რომლითაც ნებისმიერი ქართველი და არამართო ქართველი იამაყებდა, რაც უნდა მდიდარი ყოფილიყო.**



## ზოლომდე გაუტყეხელი

ქალიკელ გორზამაულის შესახებ საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა. მართალია, ხალხის მეხსიერებამ მისი რამდენიმე ლექსი შემოგვინახა, მაგრამ ბევრი მივიწყებას მიეცა უყურადღებობის გამო.

ქალიკელი, როგორც მცოდნე ხვარამზე სამუკაშვილის ლექსებისა, პირველად თედო რაზიკაშვილმა გაგვაცნო. თავად ქალიკელიც კარგი მთქმელიც იყო და კარგი მოლექსეც. ქალიკელის ლექსებს სიყვარულითა და რუდუნებით ვინახავ მე, მისი შვილიშვილი. ლექსების ნაწილი თვითონ მაქვს ჩანერილი მისი მოხუცებულობის ყამს. ნაწილი კი ახლო ნათესავების მეშვეობით მოვაგროვე. სამწუხაროდ, მისი ახალგაზრდობისდროინდელი ლექსებიდან, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არც ერთს ჩვენამდე აღარ მოუღწევია.

მიუხედავად მარტობისა, ქალიკელი მაინც არ კარგავდა იმედს. ის ფიქრებით ყოველთვის შვილებთან იყო, მათ ეალერსებოდა და ლექსებით ეჩურჩულებოდა. წერა-კითხვა არ იცოდა, „წერილებს“ კი დღენიდაგ უგზავნიდა შვილიშვილებსა და რძალს. მერე გვიან, როცა ბედნიერება ეღირსებოდა, ერთად ეხილა თავისი „საყოლნი“, მარტოდ ყოფნაში გამოთქმულ გულისჯავრს კვლავ ლექსად ეუბნებოდა მათ.

კარს მომდგარი სიბერე ქალიკელის სიცოცხლის დარჩენილ დღეებს უფერულსა და მოსაწყენს ხდიდა. ბედზე დამდურებულ ქალს სიკვდილიც კი სანატრელი გაუხდა. მოხუცის გულში წუთით ახალგაზრდობის წყურვილი ენთებოდა:

გიყიდი, სიჯილეო,  
საყიდ რო იყო ფასითა,  
ძნელი ყოფილა სიბერე,  
სიცოცხლე რაღამ მამწყინდა,  
აღარც სიკვდილი მეღირსა,  
არ ვიცი, საით გამცილდა.

ქალიკელი 1951 წელს გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, უკვე ღრმად მოხუცებული, მაგრამ გარეგნულად მაინც მხნე და გაუტყეხელი.

## ლექსად ამოთქმული ვარამით

ჩემი თვალებიდან არ ქრება მისი ლამაზი, მოხუცებული სახე, წარსული სილამაზისა და სინატიფის აშკარა კვალი რომ ეტყობოდა. მეტად კეთილი და პოეტური თვალები, კრიალა, მისი ასაკისთვის უჩვეულო რძისა და ვარდისფერი ღანვისთავეები, თითქმის უნაოჭო სახე და თვალისმომჭრელად თეთრი შუბლი, რომელსაც არასოდეს შეხებია მზის შუქი, მუდამ „ჩიქილა“ ფარავდა. ლაპარაკობდა ოდნავ ათრთოლებული, ძლიერ საამური ხმით, ნელა, დარბაისლურად. ის, როგორც დედა, არ ყოფილა ოთარაანთ ქვრივის ტიპისა. მადლიანი იყო, მაგრამ ძალა არ შესწევდა, მადლისთვის პილპილი მოეყარა და კიდეც იმით განსხვავდებოდა ოთარაანთ ქვრივისაგან, რომ თავის დარდსა და ვარამს ლექსად შესჩივლებდა ყველას. მას შვილის საფლავზე სიკვდილის ბედნიერება არ ღირსებია. გაჩნდა, კიდეც ილაღა, ბევრიც ივაგლახა, იმქვეყნად წავიდა და იმედი კი ამქვეყნად დატოვა.

ქალიკელი ლექსად გამოთქვამდა ყველაფერ იმას, რაც მას ანუხებდა და ახარებდა. ლექსად თქმა მისი სტიქია, მისი ფანტაზიის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო.

ქალიკელ გორზამაულის სახელი და ღვანლი იმითაცაა საყურადღებო, რომ მან თედო რაზიკაშვილს ჩაანერინა ხვარამზე სამუკაშვილის ლექსები და მიაწოდა საყურადღებო ცნობები მისი ტრაგიკული სამიჯნურო თავგადასავლის შესახებ. ის ფენომენალური მეხსიერების პატრონი იყო და ყველა ლექსი ზეპირად ახსოვდა.

ქალიკელის ლექსები დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში.



სანდრო ყოლბაია –  
ქალიკელ გორზამაულის  
შთამომავალი



## ცხრათვიანი პილიგრიმობის შემდეგ...



სულხან-საბა ორბელიანი

ევროპაში წასვლამდეც სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური კარიერა საკმაოდ პოპულარული ყოფილა. 1714 წლის გაზაფხულზე პარიზსა და რომში ჩასული მწერალი საფრანგეთის იმპერატორს – ლუი XIV-სა და რომის პაპს – კლემენტი XI-ს ხვდება. ამჯერადაც არ კარგავს საქართველო იმედს, რომ ევროპისგან დახმარებას მიიღებს. ვერსალში ჩასულმა სულხან-საბამ მოახსენა ლუი XIV-ს: „დიდებულო მეფეო, თქვენი ხელმწიფება შეიქნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“.

სპარსეთში დატყვევებული ძმისწულის, მეფე ვახტანგ VI-ის გამოსხნის მიზნით (დაპატიმრების მიზეზი გახდა მაჰმადიანობაზე სასტიკი უარი) საფრანგეთში ელჩად ჩასულმა სულხან-საბამ (თავის დროზე, ელჩობა საბასთვის ვახტანგ VI-ს დაუვალეხია) ლუი XIV-ს ვრცელი მოხსენებითაც მიმართა. ქართველი მეფის გასანთავისუფლებად და სპარსეთის გავლენიან პირთა დასასაჩუქრებლად საჭირო იყო 300.000 ეკიუს გაღება. სანაცვლოდ, ჩვენი ელჩი ფრანგ კომერსანტებს ჰპირდებოდა, რომ გაიხსნებოდა სავაჭრო გზა საქართველომდე; ამასთან, როგორც საქართველოში მცხოვრებთ, ასევე, ამიერკავკასიის ხალხებსაც – აფხაზებს, ჩერქეზებს, დაღესტნელებს, ჩეჩნებს... მოაქცევდა კათოლიკობაზე (მთლიანობაში 24 პროვინციას).

იმპერატორთან მეორე ვიზიტის დროს სულხან-საბამ ასეთი ხოტბა შეასხა მას:

„რა დიდი ბედნიერებაა ან ჩვენთვის განგიცხადოთ, რომ ღირსნი გავხდით, დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს; ვინაიდან ჩვენი თვალთ ვნახეთ თქვენს უავგუსტეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოებაც და სასობაც“.

იმპერატორმა ორჯერვე ღირსეულად მიიღო საბა, დაათვალიერებინა ვერსალი, პარიზი და მეფე ვახტანგ VI-ის გამოსახსნელად ფულსაც და მორალურ დახმარებასაც შეჰპირდა.

მაგრამ ქვეყანაში სხვა რეალობა იყო. ლუი XIV-ს ხანგრძლივი მეფობით განადგურებული, კოლოსალური ვალებით დამძიმებული საფრანგეთი აგონიას მოეცვა. საქართველოსთვის რეალური დახმარების აღმოჩენას ის უკვე ვერ შესძლებდა.

ევროპაში ხანგრძლივი პილიგრიმობის შემდეგ (თითქმის ცხრათვიანი) საკმაოდ დაუძღურებული, ჯანმრთელობაშერყეული სულხან-საბა ხელმოცარული ბრუნდება სამშობლოში.

## მოლა და ღორი

### სულხან-საბა ორბელიანი

გილანში\* ერთი მოლა ცხოვრობდა. დათესა მან ბრინჯი, მაგრამ ტყის ღორებმა ნარგავი გაუფერანეს, მოლამ საქონლის სავალ გზაზე ორმო გათხარა და ზედ წვრილი ლერწამი გადააფარა. ღორები, რა თქმა უნდა, ტყიდან ისევ ნამოვიდნენ ნათესებისაკენ. ორმოს მიახლოებულნი ლერწმით მოტყუვდნენ და ერთი დიდი ტახი მართლაც ჩავარდა თხრილში.



მოვიდა მოლა. ნახა, რომ ღორი შიგ გდია. აიღო უღლის ტაბიკი\*\* და ზევიდან დაუნყო ტახს ლანძღვა-გინება. ამ ნიოკობაში უღელიც ხელიდან გაუვარდა და თავადაც მას გადაჰყვა.

გააგებულმა ღორმა ორმოში ჩავარდნილ კაცს ლოჯით\*\*\* დაუნყო კბენა-ღრენა. მოლა როგორ არ ეხვეწებოდა, ღორი კი უარესად პასუხობდა.

მორალი: შენგან გათხრილ ორმოში შენვე აღმოჩნდები და მერე უკვე არანაირი ვედრება არ გიშველის.



– ს –

**ხაბაზი** – არაბულია; იგივე მეპურე  
**ხადილი** – იმერულად სამასპინძლო (სალხინო)  
**ხაზალი** – სპარსულია; ქართულად – ღაჟღაჟა;  
 შემოდგომური ფერად-ფერადი ფოთლები  
**ხათაია** – ნაქსოვია ერთი  
**ხათრიითი** – შამფურის წვერის დასადები  
 (ზედადგარი, სამფეხი)  
**ხალამბარი** – მცირე ბელელი  
**ხალანი** – პირ-ფართო ქოთანნი  
**ხალასად ნაკერი** – ოქრომკედით (წმიდათ)  
 ნაკერს უხმობენ; რა ენაა, არ ვიცი  
**ხალიჩა** – სხვათა ენაა, ქართულად ჰქვიან  
 ძოლო  
**ხამლი** – ფეხსაცმელი  
**ხანაგა** – ობლების საკრებულო სახლი  
**ხანდაკი** – სხვათა ენაა; ქართულად თხრილი  
 ჰქვიან  
**ხანხვლა** – ჩქარად და ავად შეწვა  
**ხაპი** – გოგრა, აყირო  
**ხარბუხა** – ძლიერი ხველება  
**ხარდანი** – სარიანი ვენახი

**ხაშური** – მლაშე წყლის მარილი; რაც წყლისა  
 და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა  
**ხაშხაში** – სხვათა ენაა; ქართულად ყაყაჩო  
 ჰქვიან  
**ხენეში** – ცუდი თუ ავი  
**ხერთვისი** – წყალთა და ზღვათა საშუალი  
 ხმელი ადგილი  
**ხილინდარი** – ჩანთა  
**ხილიფა** – მშვილდის ჩასადები  
**ხიმიწვი** – წყალში სახმარი მსხვილი მანა  
 (ძელი)  
**ხინდახორი** – პირუტყვთ ბაკი  
**ხირხალი** – ზღუდე  
**ხიშტაკი** – სახლის ძირი  
**ხოლინი** – პატარა თევზის ბადე (საჭიჭყინე)  
**ხოფი** – ნავის ნიჩაბი  
**ხოჭიჭი** – მცირე აკვანი  
**ხუნწკალი** – ყურძნისა და მისთანას კურკა  
**ხუნწური** – ჩუმი გულის ამოკვნესა  
**ხვინთქი** – ნიანგი, კორკოდილო, სალამანდრა  
**ხვინჭა** – წყალთ კენჭი

ვეზირი და სულთანნი

სულხან-საბა ორბელიანი

იყო ერთი სულთან სალიმი, რომელმაც თავის ვეზირს ჰკითხა:  
 – რატომ სვამენ ღვინოს კაცები? ღვინოსა და სიმთვრალეს ხომ  
 მხოლოდ სიავე მოაქვს.  
 ვეზირმა მოახსენა:  
 – ღვინოს სიავესთან ერთად სიკეთის ქმნაც შეუძლია. ღვინო  
 ბრმას თვალს უხელს, საპყარს ავლენს და გლახაკს განამდიდრებს!  
 ფადიშაჰმა სალიმმა მოაყვანილა სამივე – ბრმაც, საპყარიც და  
 უპოვარიც. დააღვინეს მათ ღვინო.  
 რა დაითრო, თქვა ბრმამ:  
 – ღმერთო, ადიდე ხელმწიფე, რა კარგსა და წითელ ღვინოს  
 გვასმევს!  
 მეორემ, საპყარმაც, ღვინოს დაღვინის შემდეგ უთხრა ვეზირს:  
 – ხელმწიფის მზემან, ისეთ ნიხლს გითავაზებ, გვერდებს  
 დაგიბეჟავ!  
 ის მესამე, უპოვარიც, მიუბრუნდა ვეზირს:  
 – მოკალი და სისხლის საფასურს მე გადავიხდი!  
 ვეზირმა მოახსენა სულთანს:  
 – აჰა, დიდო ხელმწიფე, ხომ დარწმუნდი, რა ძალაცა  
 აქვს ღვინოს! ან ბრმამ როგორ უნდა დაინახოს, ან საპყარი რამ  
 გაახელა, ან არაფრის მქონე გლახაკი რით იხდის სისხლის საფასურს?





ანა პრისტავი

### წიწამურთან

– ვაიმე შვილო, სასიკვდილოდ ვინ გაგიმეტა?! –  
ნატყვიარ გულზე საქართველომ იტაცა ხელი.



### შოდის წიწა დღე

ციდან ფიფქი ცვივა:  
ფაქიზი, ნათელი,  
მტრედის ნაკვალევზე  
დავანთე სანთელი,  
ისეთი ღამეა,  
ქრისტე რომ იშვა,  
სიზმარში მთვარეს ვნახავ  
ბეთლემის ცისას...

\* \* \*

უკანასკნელი ფოთოლი გახსოვს  
იმ შემოდგომის?  
აცეტებული წვიმის წვეთები –  
გაძარცულ ბაღში?  
იის ბილიკი –  
ჩატეხილი კიბე ციური  
და მაყვლოვანში განაბული  
საბრალო ჩიტი.  
ხომ კვდება ხორცი?  
სიყვარული თურმე არ კვდება,  
საცაა, თოვა დაინყება,  
ფითრდება ზეცა.

\* \* \*

ცისფერფრთიანი პეპელა,  
თეთრ შროშანებთან ცრემლობდა,  
ცრუ, გაუტანელ სოფელში  
სიყვარულისთვის კვდებოდა.



### შემოდგომა

ქარს რა ენაღვლება  
ფოთლების ტირილი,  
მიყვარდა ყაყაჩო,  
გულ-მკერდში დაჭრილი;  
ჟამი დანისლულა,  
ბილიკი ჩამწყდარა,  
მთები გაცრეცილა,  
ნისლები დამცხრალა.  
მყინვარზე მზე ბრწყინავს  
– უპოვართ ნუგეში,  
დედა დამესიზმრა,  
ჩამიკრა უბეში.





თითქოს ახალი ხა უნდა ითქვას ქართულ-აფხაზუხი უხითიუთობაზე, მაგჩამ, ხოცა შთამბუქდავად ჰყვებიან, თვით გაცვეთილი თუმაც ახალ ფეხებს იძენს.

საღომე კაჰანადის ნეხიღს "სადაც შენი და ჩემი სამშობლოა", დახმენუბელი ვახთ, მახთდაც ხომ ინტეხესით გაეცნობა მეთიხველი.

"ნეტავ, შეიძლებოდეს, ნახსულის დაბხუნება; ხელი უნდა ჩაგვეჭიდა უხთმანეთისთვის და ახ უნდა შემოგვეშვა ომი სოხუმში..."

თითქოს ახ ახსებობს ამდენი ხნის განშოხება და ავტოხი ჯეხაც იმ ჯედელთან დგას, ომმა ხომ ამოგვიშენა ჩვენ და აფხაზებს და გული უგძნობს, "იგი ყხუ ახ ახის, სადღაც სინათლე უნდა იყოს".

სნოხედ სინათლის სხივივითაა აფხაზი დეიდაშვილისთვის მიწეხილი საღომე კაჰანადის ეს ლია ნეხილი, ხომელიც აუცილებლად მიანღნევს აფხესაგამედ და ხოგოხყ ახ უნდა დამაღონ, "ის მაინც იცოცხლებს".



საღომე კაჰანადე

### *„სადაც შენი და ჩემი სამშობლოა“*

საღომე კაჰანადე

გამარჯობა, ჯენეტ,

დიდი დრო გავიდა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და მაგრამ მაინც არ ვთვლი, რომ ეს ნერილი დაგვიანებულია. ამიტომაც „ხელში ვიღებ კალამს და შორი გზიდან გითვლი სიყვარულით სალამს“...

გახსოვს, ასე ინყებოდა ჩვენს ბავშვობაში ნერილები, რომელთაც, რატომღაც წლები ვინახავდით, ახლაც არ ვიცი, რატომ... ვილაცამ შეიძლება, მითხრას, მაშინ ხომ, რკინის ფარდით დაგმანულ საბჭოთა სივრცეში, კომპიუტერის ხსენება არ იყო და ცუკერბერგიც ჯერ კიდევ ყრმა იყო; მაგრამ ეს არგუმენტად მაინც არ გამოდგება. იმიტომ, რომ **მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, ნერილების ავტორები და ადრესატები სხვადასხვა ნაპირზე რომ აღმოვჩნდებოდით... არადა, ერთი ნაპირი, ერთი მზე, ერთი ტრადიცია და საერთო ურთიერთობების კულტურა ამის წარმოდგენის საბაბს ნამდვილად არ გვაძლევდა. ომის რეჟისორები საფუძვლიანად გაისარჯნენ სიძულვილის კედლის ამოსაშენებლად, მაგრამ ჩვენ ხომ უფრო მეტი გვაერთიანებს, ვიდრე გვეყოფს.**

**მე ოცდახუთი წელია, ამ კედელთან ვდგავარ და გული მიგრძნობს, რომ იგი ყრუ არ არის, სადღაც სინათლე უნდა იყოს...** სოხუმის უნივერსიტეტის ეზოში რომ იდგა ხოლმე. ყოველთვის თვალს მჭრიდა ამ ეზოში ჩამდგარი, ჩვენს ახალგაზრდობას ადევნებული მზის სხივები, რომელიც თითქოს იქ იყრიდნენ თავს, სადღაც ამდენი სასიყვარული ინტრიგა და ფარული მზერა სერავდა სივრცეს. ფარული იმიტომ, რომ აფხაზ ბიჭებს არასოდეს ჩვეოდათ უტიფარი ჭვრეტა, სიყვარულს ისე მალავდნენ, „ვითა ცხენსა ნაპარავსა“.

გახსოვს, შენი კურსელი ბიჭები ჩვენი კურსის გოგონებს რომ ეპრანჭებოდნენ? დღემდე არ ვიცი, ვის ელოდებოდა ამირან ლაზბა ლექციების შემდეგ ჩვენი აუდიტორიის სიახლოვეს. ალბათ, ყველა ფიქრობდა, რომ სწორედ ის იყო მისი ტრფობის ობიექტი. სად არიან ამირანი, გენა აჩბა, რატომ გაიყო ჩვენი გზები? ადამიანები ფიქრობენ, მსჯელობენ და ანალიზებენ ომის შედეგებს. არსებობს ამ ანალიზის რაციონალური არგუმენტები – სასტიკი, შეუვალი, გამარჯვების ეიფორიით შემოსილი. მაგრამ არსებობს ემოციური საბუთიც და ის უფრო ძნელად გასაგები აღმოჩნდა სოხუმში დარჩენილთათვის. სიმართლე გითხრა, სწორედ ეს მტკენს ყველაზე ძალიან გულს. თუმცა, შენ სოხუმში არ ყოფილხარ; მითხრეს, ოჯახთან ერთად რუსეთს შეაფარა თავიო. მიწდა, მჯეროდეს, რომ ეს პრაგმატული გადანყვეტილება არ არის მხოლოდ. ალბათ, შენც არ გახარებს, ქართველების გარეშე დარჩენილი რეალობა.

არ დაიჯერებ, რამდენიმე წლის წინათ სამურზაყანოში აღმოვჩნდი. გახსოვს ჩემი ღირსეული, პატივსაცემი ბაბუა- უჯუმ ზუხბაია და ულამაზესი ბები-ა- რომა გვილია, გახსოვს,



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



როგორც მასპინძლობდნენ ეშბებს, პაპასკირებს, ქეცბაიებს. ნაძვის სიახლოვეს გაშლილი სახელდახელო სუფრა და ტრადიციაღქეული ნარდის თამაში. ცნობილი აფხაზი მწერალი ივანე პაპასკირი, ნოდარ დუმბაძისა და ირაკლი აბაშიძის ფოტოებით დამშვენებული მისი სამუშაო ოთახი. დღეს იგი ჩემი ბავშვობის მშვიდობიანი აფხაზეთის სიმბოლოა. შენც გემახსოვრება, რადგან ხშირად ახლდი ხოლმე მამაშენს ალიოშა ეშბას. დიახ, სამურზაყანო ვახსენე და ჩემი იქ ჩასვლის გადანყვეტილება, რომელმაც ჩემი ოჯახის წევრები ძალიან დააფრთხო, მე კი იმ დროს, როგორც არასდროს, მშვიდი ვიყავი, ძალიან მშვიდი; ჩემს მოგონებებში ომმა მაინც ვერ გაიმარჯვა და ვიცოდი, რომ საგანგაშო არაფერი მელოდა. უფრო დანაშაულის გრძნობა მქეფნიდა, რომ ბებიას უკანასკნელ გზაზე ვერ ვაცილებდი და სურვილი მახელებდა, კვლავ დამეველო ჩემი დედულეთი, სადაც ჩემი ბავშვობაა დამარხული, სადაც ჩემი ღირსეული, თავმოყვარე, ბოლშევიკებისგან მტრად შერაცხული ბაბუის უჯუშ ზუხბაიას სული ტრიალებდა ხელუხლებლად დატოვებულ ძველ ოდაში. როგორ მინდოდა, იქ დამხვედროდი,



სოხუმის სანაპირო

უმენოდ ბოლომდე ვერ შევიგრძნობდი ამ სანატრელ რეალობას... სწორედ აქ გავიგე, რომ შენც დროდადრო ცხოვრობ უქართველებო აფხაზეთში.

**მინდა, გიამბო ენგურის ხიდზე რაც გადამხდა. დანიშნულ დროზე ადრე აღმოვჩნდი იმ წყეულ საბაჟოზე, მე და შენ ერთმანეთის ნახვას რომ გვიკრძალავს. მებაჟე, პირტიტველა აფხაზი ბიჭი გამომეცნაურა, თითქმის ორი საათი ვისაუბრეთ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სადღაც მენახა ეს ბიჭი; მერე მივხვდი, მე ხომ მასთან ერთად გავიზარდე და ეს ბიჭი არასოდეს არ წასულა ჩემი მეხსიერებიდან. თბილისში დავპატიჟე, შენი ხნის შვილი მყავს და უნდა გაგაცნო-მეთქი. მერე, რომ ჩამოვიდე, ქართველები ხომ არ მომკლავენო, გულუბრყვილოდ ჩამეკითხა. სახეზე გაოცება რომ დამეცყო, თავადვე მიხვდა, რომ კითხვა უხერხულად ჟღერდა და სხვა**

კითხვით ჩაანაცვლა- ბარები თუ არის კარგი თბილისშიო. გულში ვიფიქრე, ბარები სოხუმში რომ იყო, ისეთი უნდა-მეთქი, მაგრამ არც თბილისური რეალობა დამიმალავს. ამ დროს ტანკმა ჩაგვიარა, რუსმა „სამშვიდობობმა“ კიდევ ერთხელ დაზვერეს ჩვენი გამყოფი სივრცე. მოვუტრიალდი, მითხარი, ვინ არის შენთვის უფრო ახლობელი – მე, თუ ის რუსი ჯარისკაცი-მეთქი. რა თქმა უნდა, თქვენო. არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა, ჯენეტ... ეს ბიჭი მაშინ ყველაზე მართალი კაცი იყო ჩემთვის მთელს დედამიწაზე.

რაც შემდეგ მოხდა, ისიც სიმართლეა, ჯენეტ. კიდევ ერთმა მებაჟემ მიცნო ამდენი წლის მერე. გამოგიტყდები, რომ მესიამოვნა; როგორც ჩანს, ძალიან არ შეეცვლილვარ. შენი კურსელი აღმოჩნდა, ერთ-ერთი იმათთაგანი, ლექციების დასრულების შემდეგ რომ გველოდებოდა ხოლმე უნივერსიტეტის მიზან ეზოში, ბებერი პალმის სიახლოვეს, იქ, სადაც სოხუმის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, აფხაზეთის კოლორიტის ზურაბ ანჩაბაძის საფლავი იყო. თავი გამახსენა, ტელეფონიც ჩამაწერინა, თუ რამე გაგიჭირდა, დამირეკეო. იმ დროს ომმა კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან და თითქოს როგორც დამნაშავე, ისე გაიძურნა ჩვენი ცნობიერებიდან.



შემდგომ, მე გავიარე ის ხიდი, რომელზეც გალში დარჩენილ ქართველებს ყოველდღიურად გადააქვთ მონატრებისა და მშობლიურთან განშორების დარდი. ხიდი, რომელიც ჩემთვის სახლში დაბრუნების სიმბოლო იყო, როცა მამაჩემის „პობედის“ სარკმლიდან კილომეტრებს ვითვლიდი და ზღვის გამოჩენისთანავე სასიამოვნო ჟრუნტელი მივლიდა ხოლმე ტანში. მხოლოდ ახლა ძველ „ვოლგაში“ ვისხედით – უკან ხუთნი, წინ სამნი, მძღოლის ჩათვლით და ნახევრად აყრილ ასფალტზე ვითვლიდით კილომეტრებს. კვლავ ფანჯრიდან ვათვალიერებდი აფხაზეთის მიწიერ სამოთხეს და სიმართლე გითხრა, გული მენურებოდა იმ შესაძლებლობების გამო, რომელიც ჩვენ მას დავაკელით უერთმანეთობის გამო. მანქანის გაღებულ ფანჯრებიდან ჩემი ბავშვობის სურნელი შემოჰქონდა ქარს; მინდოდა, მუჭში მომემწყვდია, სადღაც გადაემალა ზღვის მომყავო-მოტკბო არომატი,



ბიჭვინთის სანაპირო

რათა კვლავ არ დამკარგვოდა, როგორც იმ წყეულ ოთხმოცდათორმეტში, როცა ომმა შემოაბიჯა ჩვენს ქალაქში. **ნეტავ, შეიძლებოდეს წარსულის დაბრუნება, ხელი უნდა ჩაგვეჭიდა ერთმანეთისთვის და არ უნდა შემოგვეშვა ომი სოხუმში, როგორ არ უხდებოდა ეგ უსახური ჩვენს ქალაქს...**

ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელ, ჯენეტი. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე სავარსამიძის საყვარელ ქალს ჯენეტი ჰქვია. არ ვიცი, სახელის თანხვედრისა თუ შენი არისტოკრატიული გარეგნობის გამო, ამ რომანის კითხვისას ჩემს წარმოდგენაში ჯენეტის სული შენს სხეულში სახლობდა. წარმომედგინა, რომ ჯენეტი სწორედ შენისთანა უნდა ყოფილიყო. როგორ მინდა, ეს განცდები განმეორდეს ჩემს შთამომავლობაში, როგორ მინდა, მარადისობამ კანონზომიერად ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნოს, ერთმანეთის გადარჩენის



ენგურის ხიდი. „აქედან იწყება შენი და ჩემი სამშობლო“

შესაძლებლობა გვინყალობოს და ვიდრე ეს მოხდება, მე ზუსტად ვიცი, შენ არასოდეს მოუყვები შენს შვილს „ქართველების მტრობის“ ამბავს; ისევე როგორც ჩვენ, ქართველი დედები მოვიქვით იმ უყამობის ჟამს, როცა ომმა წარსულიდან გამოგვაძევა. **მე ვასწავლე ჩემს ვაჟს, რომ ის სოხუმელია, ახლა იგივეს მის შვილებსაც ვასწავლი და ეს, უპირველეს ყოვლისა, აფხაზებთან თანაცხოვრების მისიაა. რომ ჩვენი გამარჯვების ერთადერთი იმედი – სიყვარულით თქვენი დამარცხებაა.**

თუ ახ მომწუხ, გულში მაინც დამეთანხმე, ხომ ჩვენ ერთად დავმახცხდით ამ ომში. ერთად დავეცით, ხათა უფრო ძლიერები გავმხდახიყავით სამშობლოს, ღვთისა და ადამიანის წინაშე. უამბე შენს შვილებს იმ დროზე, როცა ომივე გამაჩვენებელი ვიყავით. ნუხ ამ ნუხილს დაუმაღავ, ხადგან ის მაინც იცოცხლებს, იცოცხლებს, ხოგოხუ ჩვენი შეხვედრის ჯანონზომიერება დიხის მახადიუდ ნიხებუნვაში. ხოგოხუ ებხაელები იყვიან, "იქ მენახე, ჩემო ჯენეტ", იქ, სადაც შენი და ჩემი სამშობლოა...

სიყვარულით, შენი სალომე



## 220 წელი ალექსანდრე პუშკინის დაბადებიდან



ალექსანდრე პუშკინი

220 წელი სხედება უდიდესი რუსი პოეტის ალექსანდრე სეჩევის ძე პუშკინის დაბადებიდან, მაგამ ამ პუბლიკაციის მიზანი სხვაა - მეთხველს გააცნოს, რა ფაქტობა და მიზეზებმა განაპირობა მოვლენების ქაგიკედან განვითახება: წეხილში ქონოლოგიუხადაა აღწეხილი, ხოგოხ მიიყვანეს პოეტი დეედამდე.

პუშკინის მეგობახი ვდისდავ ხოდსევიჩი წეხს: "პოეტის შემოქმედება ხომ გაიცნო და შეადასო, უნდა გაიცნო და შეისწავლო მისი პიხოვნება. ამისათვის ისევ და ისევ საჭიხოა, იყოდე მასზე ბევიჩი ხამ. ამ წეხილის დანიშნელებაცაა, დაეხმახოს მეთხველს, გაიგოს პუშკინის სიცოცხლის უკანასკნელი პეხიოდის შესახებ".

### დიდი პოეტის უკანასკნელი წელი<sup>1</sup>

#### 1836 წლის 1 იანვარი

მრავალი წელი გვაშორებს იმ სუხსიან დამეს, როცა ალექსანდრე პუშკინი მეგობრებთან ერთად და, კერძოდ, თავად ვლადიმერ ოდოვესკის<sup>2</sup> კაბინეტში ხმაურთანად და მხიარულად ხვდება ახალ წელს. მამინ იქ მყოფთაგან ვერავინ წარმოიდგენს, რომ დამდეგ წელს უწოდებენ პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წელს.

თვითონ პუშკინი მომავალს იმედით შეჰყურებს: წინა დღით ის ალექსანდრე ბენკენდორფის<sup>3</sup> ხელით იმპერატორ ნიკოლოზ I-ს უგზავნის წერილს, სადაც სთხოვს ჟურნალის („СОВРЕМЕНИК“) გამოცემას.

1 იანვარს პუშკინი მეუღლესთან, ნატალია გონჩაროვასთან ერთად მიწვეულია საახალწლო ზეიმზე, ზამთრის სასახლეში. პეტერბურგში მოსკოველი მზეთუნახავის გამოჩენას ასე აღწერს ერთ-ერთი თანამედროვე: „როცა ის პირველად გამოჩნდა საზოგადოებაში, მისით ყველა აღფრთოვანდა... ის იყო გამორჩეული ულამაზესთა შორის“ (მანამდე პუშკინები ცხოვრობდნენ მოსკოვში - რედ.). „პოეტის სიყვარული მეუღლისადმი იყო უსაზღვრო“, - იგონებს პუშკინის ერთ-ერთი თანამედროვე.

#### 1836 წლის 2 - 17 იანვარი

პუშკინებს ეკონომიურად უჭირთ (თავი გააქვთ ჯერ კიდევ 1835 წელს ხაზინიდან გაცემული სახსრებით), მაგრამ პოეტი მიმდინარე წელს რადიკალურ ცვლილებებს გეგმავს; მთელ იმედებს ახალი ჟურნალის გამოცემაზე ამყარებს. თავსაც ლაღად და ბედნიერად გრძნობს უმშვენიერესი ნატალიასა და შვილების გარემოცვაში.

„მინდა, მივხედო ჩემს ოჯახურ ცხოვრებას და მისით გავიხარო... ჩემი ოჯახი იზრდება, მრავლდება, ხმაურობს ჩემს გარშემო. ვფიქრობ, სასაყვედურო არაფერი მაქვს და არც სიბერის უნდა მეშინოდეს“, - წერს პუშკინი თავის ახლო მეგობარს, გადამდგარ პორუჩიკს პავლე ნაშოკინს.

პოეტი ყოველ კვირას დადის მშობლების მოსანახულებლად. დედა, ნადეჟდა ოსიპის ასული, ძალიან ავადაა. პუშკინი, რა თქმა უნდა, ხშირად სტუმრობს ბელიზარის<sup>4</sup> წიგნის მალაზიასაც, ცხოვრობს პოეზითა და ლიტერატურით. „განსაკუთრებული მიზეზის გარეშე არასოდეს იცვლიდა თავისი მუშაობის წესს. ყოველ დილას უთმობდა კითხვასა თუ სხვა გონებრივ სამუშაოს. დგებოდა რა ადრე, იმნამსვე იწყებდა საქმიანობას, ტანსაცმელს არ იცვლიდა იმის შიშით, რომ დილის სამუშაოები კაბინეტშივე უდროოდ არ შეეწყვიტა და არ გასულიყო სასეირნოდ“, - იგონებს პეტრე პლეტნევი<sup>5</sup>.

პუშკინი იგებს, რომ მეფე თანახმაა, გამოსცეს ყოველკვარტალური ლიტერატურული კრებული. პოეტი „СОВРЕМЕНИК“-ში თანამშრომლობისთვის იწვევს გოგოლს, ვიაზემსკის, ჟუკოვსკის, პლეტნევის, ოდოვესკის.

განათლების მინისტრი სერგეი უვაროვი მიმართავს ცენზურის უმაღლეს კომიტეტს, ახალი ჟურნალი დაექვემდებაროს მკაცრ კონტროლს.

საპასუხოდ, „МОСКОВСКИЕ ВЕДОМОСТИ“-ში იბეჭდება პუშკინის ოდა „ლუკულის“ გამოჯანმრთელებისთვის<sup>6</sup>. ლექსი საზოგადოებაში დიდ სკანდალს იწვევს. პამფლეტში აშკარად იკითხება მინისტრის სახე. ამბავი კი მანამდე



პოეტის სამუშაო კაბინეტი

ასე განვითარდა: სასიკვდილოდ ავადდება დიდი ქონების მფლობელი, ახალგაზრდა გრაფი შერემეტიევი. უვაროვი ჩქარობს და მის ქონებაზე პრეტენზიას აცხადებს. საბედნიეროდ, შერემეტიევი მალე კარგად ხდება; ამ ამბით გახალისებული ხალხი ანეკდოტებს თხზავს, ხოლო პუშკინი აგებს პამფლეტს, სადაც პოეტი ძალზე თამამ ნაბიჯებს დგამს, როცა უვაროვის სახით ასეთ სამიმ მტერს იძენს.

17 იანვარს, როცა ოდა მოსკოვიდან პეტერბურგში აღწევს, ყველა ხვდება, რომ ადრესატი უვაროვია.

გაცოფებული მინისტრი საჩივრით მიმართავს მეფეს.

ცნობილია, როგორ უყვირის ერთ-ერთ ცენზორს: „ამ არამზადას უნდა დაენიშნოს არა ერთი, არამედ ორი, სამი, ოთხი ცენზორი!“ მეფის ბრძანებით, პუშკინს საყვედურს უცხადებენ,

1 – პუბლიკაცია მომზადდა სვეტლანა აბრამოვიჩის წიგნის „Пушкин. Последний год“ მიხედვით. 2 – მწერალი, ჟურნალისტი. 3 – ჟანდარმერთა კორპუსის მეთაური. 4 – პეტერბურგელი გამომცემელი. 5 – მწერალი, კრიტიკოსი, პუშკინის მეგობარი. 6 – რომაელი მხედართმთავარი, უმდიდრესი ადამიანი, განთქმული ნადიმებით (ძვ.წ.აღ.-ით I ს.).



რაც რთულ მდგომარეობაში აგდებს მას. პოეტს მძიმე საუბარი აქვს გრაფ ბენკენდორფთან.

პუშკინი წერს, რომ ოდაში არ გულისხმობს ვინმე ერთ პიროვნებას, იგი ზოგადი სახეა და თვითონ მკითხველმა უნდა გაიაზროს, ვის ეძღვნება იგი.

**პოეტს მთელი მაღალი საზოგადოება უმხედრდება. მხოლოდ ახლობლები უთანაგრძნობენ.**

**1836 წლის 18 იანვარი - 28 თებერვალი**

18 იანვარს ვასილი ჟუკოვსკის<sup>1</sup> ბინაში, სადაც პუშკინიცაა, გოგოლი კითხულობს „რევიზორს“. ეს დღე რუსეთის სამამულო ლიტერატურის ისტორიაში შედის.

მეორე დღეს, 19 იანვარს დიდგვაროვანი ქალბატონის, ენგელგარდის სასახლეში გამართულ ბალ-მასკარადზე მეფის ოჯახთან ერთად მეუღლის თანხლებით იმყოფება პუშკინიც. **სწორედ იმ საღამოს ნატალია გონჩაროვას პირველად ხვდება**

**25 წლის პოლკოვნიკი, ფრანგი ჟორჟ დანტესი.** იგი, ნატალიათი მოხიბლული, წნერს თავის მფარველს, **ნიდერლანდების ელჩს ბარონ ლუი გეკერნს:** „მე უგონოდ ვარ შეყვარებული. „მას“ არ დაგისახელებთ, მაგრამ გაიხსენეთ ყველაზე მშვენიერი ქმნილება პეტერბურგში და თქვენ ამოიცნობთ მას“.

დანტესი აქვე აღიარებს, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა, რადგან „ქმარი შეშლილი ეჭვიანია“.

მძიმე ფინანსური სიტუაცია და ლიტერატურული დაპირისპირებები, რაც ყველასთვის შესამჩნევია, ამძაფრებს პოეტის სულიერ მდგომარეობას. რამდენიმე დღის განმავლობაში, ერთმანეთის მიყოლებით, ის სამ ახალ კონფლიქტში ეხვევა. სამივე შემთხვევას პოეტი, შეიძლება, დუელამდე მიეყვანა. ასეთი რამ ადრე მას არასოდეს მოსვლია.

თანდათან შესამჩნევი ხდება დანტესის ნატალიასადმი ლტოლვა; თუმცა, არც პოეტისთვის არ არის სიახლე, რომ ბევრი ახალგაზრდა შეყვარებულია მის მოხიბვლელ მეუღლეზე. თუმცა დიდი მარხვის დადგომის შემდეგ დანტესი იშვიათად ჩნდება პუშკინების წრეში და ჭორებიც ნელდება.

თებერვლის ბოლოს მძიმდება პუშკინის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც პოეტს ძალიან ასევდიანებს. ნატალია კი ხდება უფრო მოდური და პეტერბურგელთა მაღალ წრეში ზედმეტად თვალშისაცემი.

**1836 წლის 1 მარტი - 31 ივლისი**

1 მარტს „სანკტ-პეტერბურგის ცნობის ფურცელი“ ისევ იუნწყება, რომ მალე გამოვა „Современник“-ის პირველი ნომერი.

მეორე დღეს პლეტნევის ბინაში, 19 წლის სტუდენტი ივანე ტურგენევი პირველად ხვდება პუშკინს. პოეტი ვიაზემსკისთან, ოდოევსკისთან, სობოლევსკისთან და სხვა მწერლებთან ერთად ესწრება პლეტნევისა და ჟუკოვსკის ბინებში გამართულ შაბათის ლიტერატურულ საღამოებს, იხილავენ „Современник“-ში გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებს.

29 მარტს, კვირას, გარდაიცვლება პუშკინის დედა; პოეტი უკანასკნელ გზაზე აცილებს მშობელს, რომელსაც კრძალავენ მიხაილოვსკის სასაფლაოზე.

11 აპრილს გამოდის „Современник“-ის პირველი ნომერი, რაც დიდ მოვლენად ფასდება. იქ პუშკინი აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს: „პეტრე I-ის ნადიმი“, „ძუნწი რაინდი“, „მოგზაურობა აზრუმში“, „ხუტორის საღამოები დიკანკის მახლობლად“.

ზაფხულში პუშკინები აგარაკზე არიან. ნატალია მეოთხედ ხდება დედა. **დედაზე მგლოვია რე პოეტი ქმნის შესანიშნავ ლირიკულ ნაწარმოებს „კაპიტნის ქალიშვილი“.**

31 ივლისს ნატალია, მშობიარობისა და დედამთილის გარდაცვალების შემდეგ, პირველად ჩნდება მაღალ საზოგადოებაში. აქვეა დანტესიც, უკვე ბარონ გეკერნად ნოდებული (პოლანდიელმა ბარონმა ლუი გეკერნმა პირადი სიმპატიის გამო იგი იშვილა და მთელი თავისი ქონებაც დაუმტკიცა; მისცა გვარიც – გეკერნი).

დანტესი ახლა ოფიციალურად ითვლება მდიდარ სასიძოდ. იგი, უფრო თავდაჯერებული, აახლებს ნატალია გონჩაროვასთან არშიეს.

**1837 წლის 17 სექტემბერი - 20 ნოემბერი**

17 სექტემბერს, ცარსკოე სელოში, სოფია კარამზინას<sup>2</sup> დაბადების დღეზე, ერთმანეთს ხვდებიან პუშკინი და დანტესი. ყველა მხიარულობს, პოეტის გარდა. მისი ფიქრიანი, ველური მზერა არ შორდება ერთდროულად მეუღლესა და დანტესს. პუშკინის გამომეტყველება უკვე საშიში ხდება. ეს არის დრამის პირველი ნიშანი.

ამის შემდეგ დანტესისა და ნატალიას ურთიერთობა მთელს პეტერბურგში ხდება ჭორის საგანი. ქალი ვერ იგერიებს თავხედ ახალგაზრდას. პუშკინი ყველაფერს ამჩნევს, მისი სულიერი მდგომარეობა მძიმდება. ნატალია გრძნობს, რომ ოჯახისა და მეუღლის რეპუტაციას საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, ვრცელდება ხმები, რომ



პუშკინის მეუღლე – ნატალია გონჩაროვა



დანტესის პირველი შეხვედრა პუშკინებთან

1 – პოეტი, მწერალი. 2 – მწერალ ნიკოლოზ კარამზინის ქალიშვილი.



დანტესის მეუღლე – ეკატერინა გონჩაროვა

დანტესი თავადის ასულზე – მარია ბარიატინსკაიაზე ინიშნება. ისიც ცნობილი ხდება, რომ ახალგაზრდა გეკერნი (იგივე დანტესი) მძიმედაა ავად. ლუი გეკერნი ავრცელებს ჭორს, რომ მისი შვილობილი ნატალია გონჩაროვას სიყვარულით კვდება. ქალს სთხოვს, გაუგოს დანტესს, უთანაგრძნოს, რითაც უბიძგებს კიდევ ლალატისკენ.

2 ნოემბერს ნატალია მოწვევას იღებს იდალია პოლუტიკისგან<sup>1</sup>, რომელსაც, დანტესის დაჟინებით, მოტყუებით მიჰყავს სახლში ქალი და მას იქ დანტესთან ერთად მარტო ტოვებს. დანტესი ნატალიას ემუქრება, თავს მოიკლავს, თუ არ დანებდება. ქალი წინააღმდეგობას უწევს. ხმაურზე დიასახლისის ქალიშვილი შემოდის. გეკერნები (ლუი და დანტესი) განბილვებულნი რჩებიან.

ამ ამბიდან 2 დღის შემდეგ პუშკინი იღებს წერილს, სადაც უტიფრად წერენ, რომ მას ენიჭება „რქიანის ორდენი“. წერილი ფრანგულად არის დანერჩილი. პოეტის ოჯახის კეთილ სახელსა და სინამდის ჩრდილი ადგება. ცოლი ყველაფერს დანვრილებით უყვება ქმარს. პუშკინი შეძრულია. 4 ნოემბერს დანტესს უგზავნის წერილს, იწვევს დუელში.

ასე იწყება ნოემბრის დუელის ისტორია.

**1837 წლის 5 - 21 ნოემბერი**

პუშკინი ატყობინებს ბენკენდორფს, რომ ყველაფერი გამოიძია და დაასკვნა, რომ ანონიმური წერილი გეკერნებისგან არის. შუადღისას პოეტი თავად მიდის ბარონ ლუი გეკერნთან ბრალდებით; ისიც აღიარებს თავის დანაშაულს, თუმცა ამბობს, რომ ამის შესახებ დანტესმა არაფერი იცის. შვილობილის ნაცვლად თვითონ იღებს გამოწვევას და 24 საათს ითხოვს მოსაფიქრებლად. 6 ნოემბერს ისევ ითხოვს დუელის 2 კვირით გადავადებას.

მოხუც ბარონს სხვა გეგმა ჰქონდა, დუელს არ მოელოდა. ეს ამბავი თავზარს სცემს, მის კარიერასაც საფრთხე ემუქრება. გეკერნი რას არ იგონებს, თითქოს დანტესი ნატალიას დაზე, ეკატერინა გონჩაროვაზეა შეყვარებული, მასზე დაქორწინებას აპირებს. მოლაპარაკებები 10 დღეს გრძელდება. პუშკინი იძულებული ხდება, გამოწვევა გააუქმოს. მართლაც, დანტესი ეკატერინა გონჩაროვას ხელს სთხოვს და იმ ღამესვე, თავის დანიშნულთან ერთად წვეულებაზე ცხადდება.

ყველასთვის საიდუმლოდ რჩება შეუმდგარი დუელის ამბავი, მითქმა-მოთქმა კი გრძელდება: თითქოს დანტესმა ნატალიას სახელის გადასარჩენად ითხოვა ეკატერინას ხელი. ახალგაზრდა ავანტიურისტი საზოგადოების თვალში რაინდია. ხმებს ოსტატურად თვით გეკერნები ავრცელებენ, ცილს სწამებენ პოეტს, ჩრდილს აყენებენ მისი მეუღლის რეპუტაციას.

გეკერნების ვერსიას წარმატებით იტაცებენ პეტერბურგის სალონებში. ორ უცხოელს, რომელნიც რუსეთში მხოლოდ სამი წელია ცხოვრობენ, თავად არ შეეძლოთ ამის მიღწევა.

პუშკინის მტრები ხელსაყრელად იყენებენ ამ ისტორიას; რაკი პოეტს აშკარად ვერ უპირისპირდებიან, ზურგს უკან მართავენ ბინძურ ომს. სათავეში განაწყენებული მინისტრი უვაროვი, გრაფი ბენკენდორფი და სხვა გავლენიანი პირები დგანან.

ხმები პუშკინამდეც აღწევს. გადანყვეტს, ბოლო მოუღოს ამას.

21 ნოემბერს პუშკინი წერს 2 წერილს, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი ბედი. პირველი წერილი გეკერნისადმი, უკიდურესად შეურაცხყოფელი, მეორე კი, თავშეკავებული და ოფიციალური, გრაფ ბენკენდორფისადმი.

ორივე წერილში პოეტი ხელს ადებს გეკერნებს, ანონიმური წერილის ავტორებს.

ბენკენდორფისადმი წერილში პუშკინი წერს ჩაშლილ დუელზე. ეს არის არა მარტო ბენკენდორფისადმი, არამედ საზოგადოებისადმი მიმართვა. სიმართლის დადგენა, ესაა წერილის მიზანი.

პოეტი მოქმედებს მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილებით.

**1836 წლის 22 ნოემბერი - 28 დეკემბერი**

პუშკინი ორივე წერილს უკითხავს ვლადიმერ სოლოგუბს<sup>2</sup>. „მისი ტუჩები თრთოდა, თვალები სისხლით ევსებოდა, გამოხედვა იმდენად საშიში იყო, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ის ნამდვილად აფრიკული წარმოშობის იყო“, – წერს შემდგომში სოლოგუბი.



ჟორჟ დანტესი

სოლოგუბი ჟუკოვსკისთან მიდის. ჟუკოვსკი საქმის დაშოშმინებას ცდილობს. მიმართავს მეფეს, ნიკოლოზ I-ს, რომ ტრაგედია თავიდან აიცილონ. ჟუკოვსკი მეფეს უამბობს ნოემბრის არშემდგარი დუელის შესახებ, წინ რომ უძლოდა ნიშნობას.

მეფე სასახლეში იწვევს პუშკინს, სიტყვას ართმევს, რომ წერილს არ გაუგზავნის გეკერნებს და არც დუელს გამართავს. პოეტი დროებით მშვიდდება, ფიქრობს, რომ მეფე ალკვეთს ჭორების გავრცელებას.

მაგრამ ჭორები არ ნელდება, უფრო ზვირთდება, ფრანგული რომანების დარად. ეკატერინა გონჩაროვა ემზადება ქორწილისთვის.

1836 წლის 28 დეკემბერს, ნოემბრის ამბების შემდეგ, დანტესი და პუშკინი პირველად ხვდებიან ერთმანეთს ეკატერინა მეშერსკაიასთან<sup>3</sup> ვახშამზე. დანტესი განზრახ მიდის იქ, პოეტის გამოწვევის მიზნით. მიანიშნებს, რომ უფლება აქვს, იქ იყოს, სადაც მისი საცოლეა.

ყველანი ერთად თითქოს განათებულ სცენაზე არიან. ყოველი მათი სიტყვა,



ყესტი ბჭობისა და ჭორის საგანია კარამზინების წრეში. „პუშკინი იყო პირქუში, როგორც ღამე და მოღუშული, როგორც იუპიტერი მრისხანებისას“, – იგონებს სოფია კარამზინა.

**1837 წლის 10 - 25 იანვარი**

10 იანვარს იმართება გონჩაროვა-დანტესის ქორწილი. ნატალია ესწრება ჯვრისწერას, მაგრამ ვახშამზე არ რჩება.

ახლადდაქორწინებულნი ყველგან დადიან საპატიო ვიზიტებით. პუშკინი უარს ამბობს მათ მიღებაზე. „დასრულდა ბალზაკის მსგავსი რომანი, პეტერბურგელი ჭორიკების გულგასახეთქად“, – წერს ალექსანდრე კარამზინი (ნიკოლოზ კარამზინის ვაჟი).

გეკერნები ყველას თვალწინ ამჟღავნებენ შერიგების სურვილს. პუშკინი არ ჰყვება მათი თამაშის წესებს. „ანონიმური წერილი პოეტის გულში სანამღავივით იდო“, – წერს მოგვიანებით პეტრე ვიაზემსკი<sup>1</sup>.

მაგრამ პუშკინსა და გეკერნებს კვლავ უწევთ ერთ საზოგადოებაში ყოფნა. დანტესი რას არ იგონებს პუშკინის გასაღიზიანებლად. კვლავ ბოხოქრობენ ჭორიკები, თხზავენ მწარე ანექდოტებს, უმატებენ პიკანტურ პასაჟებს, რაც პოეტის ყურამდეც აღწევს. ლუი გეკერნი თვითონ იგონებს ბინძურ ანექდოტებს და მათ თავადვე ავრცელებს სალონებში.

„დუელი მოხდა იმიტომ, რომ გეკერნების ვერსიამ გაიმარჯვა პუშკინების ვერსიაზე და პოეტმა დაინახა თავისი მეუღლე და საკუთარი თავი საქვეყნოდ შერცხვენილი“, – დაწერს მოგვიანებით ანა ახმატოვა.

23 იანვარს ივანე ვორონცოვ-დაშკოვის<sup>2</sup> სასახლეში გამართული წვეულება ხდება გარდამტეხი პუშკინის ცხოვრებაში. „ერთ ღამეში ისე გაუტეხა (დანტესმა) სახელი ნატალიას თავისი მზერიტა და გადაკრული ფრაზებით, ყველანი შევძრწუნდით“, – გაიხსენებს გრაფინია დარია ფიკელმონი<sup>3</sup>.

პუშკინი მაშინვე გადაწყვეტს, ყველაფერს წერტილი დაუსვას. „მე არ მაკმაყოფილებს ის, რომ მე და ჩემი მეგობრები დარწმუნებულნი ვართ ჩემი ცოლის პატიოსნებაში; მსურს, რუსეთის თითოეულ კუთხე-კუნჭულში, სადაც ჩემი სახელი ცნობილია, შეუბღალავი იყოს ჩემი რეპუტაცია და ღირსება“, – იტყვის პოეტი.

ამ ტალახს მხოლოდ დუელი თუ ჩამორეცხავდა. 25 იანვარს პუშკინი ხელმეორედ უწერს წერილს ლუი გეკერნს.

**1837 წლის 26 იანვარი**

ბარონი იღებს წერილს პუშკინისგან: „ნება მომეცით, გავაკეთო დასკვნა იმის შესახებ, რაც ცოტა ხნის წინათ მოხდა. თქვენი შვილის ქცევა ჩემთვის ცნობილი იყო მანამდეც და ის არ შეიძლებოდა, სულერთი ყოფილიყო ჩემთვის. მე შემოვიფარგლებოდი დამკვირვებლის როლით, თუმცა მზად ვიყავი, ჩავრეულიყავი, როცა ამას საჭიროდ ვთვლიდი. შემთხვევამ დროულად გამომიყვანა გასაჭირიდან: მე მივიღე ანონიმური წერილები. მივხვდი, დრო მოვიდა, ამით მესარგებლა. დანარჩენი თქვენც იცით: მე ვაიძულე თქვენი ვაჟი, შეესრულებინა ისეთი საცოდავი როლი, რომ ჩემს მეუღლეს, მისი ასეთი სიმბდალით გაკვირვებულს, არ შეეძლო, თავი შეეკავებინა სიცილისგან. და ის სიმპათია, რომელსაც, შესაძლებელია, მასში იწვევდა ეს დიდებული და ამალღებული გრძნობა, ჩაინავლა სრულიად დამსახურებულად, შეიცვალა იგი ზიზღისა და გულისრევის შეგრძნებით. უნდა გითხრათ, ბარონო, თქვენი როლიც არ იყო ღირსეული. როგორც ჩანს, შვილის ქცევებს თქვენ ხელმძღვანელობდით, რაც მას უბიძგებდა ყოველგვარი საძაგლობისკენ; უსირცხვილო დედაბრის მსგავსად, თქვენ ყოველ კუთხეში უსაფრდებოდით ჩემს მეუღლეს, რომ გელაპარაკათ თქვენი ე. წ. უკანონოდშობილის სიყვარულზე. ხოლო შემდეგ, როცა ის, სიფილისით დაავადებული, იძულებული იყო, სახლში მჯდარიყო, თქვენ ხმებს ავრცელებდით, რომ სიყვარულისგან კვდებოდა; თქვენ თავგზას უბნევდით ნატალიას და თხოვდით, დამიბრუნეთ ჩემი შვილიო!

ამის შემდეგ მე არ შემიძლია, ავიტანო არანაირი ურთიერთობა თქვენთან. მხოლოდ ამ პირობით დავთანხმდი, მონაწილეობა მიმეღო ესოდენ ბინძურ ურთიერთობაში და არ აგყარეთ პატივი ჩემი და თქვენი სანათესაოს თვალში, რისი განზრახვა და შესაძლებლობაც მქონდა. არ ვნანობ, რომ ჩემმა მეუღლემ ანგარიში გაუწია თქვენს მამობრივ დაპირებებს. არ შემეძლო, მევარაუდა, რომ თქვენი ვაჟი, ამ ზნედაცემული საქციელის შემდეგ, ისევე გაბედავდა ჩემს მეუღლესთან დალაპარაკებას; უფრო მეტიც, მასთან ყაზარმული კალამბურებით ფლირტს, უიღბლო სიყვარულის თამაშს, როცა ის ასეთი მხდალი და უსინდისოა. მაშ, ასე, იძულებული ვარ, მოგმართოთ, ბოლო მოვუღოთ ხრიკებს; თუ გინდათ, თავიდან აიცილოთ ახალი სკანდალი, რომლის წინაშე, რა თქმა უნდა, მე არ გავჩერდები.

მაქვს პატივი, ვიყო თქვენი უმორჩილესი მსახური“.

რატომ სწერს უშუალოდ ლუი გეკერნს? პუშკინი წერილში დუელის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მთლიანი ტექსტი იმდენად შეურაცხყოფელია, სხვა გზას ბარონს არ უტოვებს, დუელის გარდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქმე არ გაჯანჯლდეს და, რაც მთავარია, პოეტი გეკერნს მათთან დაკავშირებული ინტრიგის ორგანიზატორად მიიჩნევს. მართლაც, ბარონი პოეტს ატყობინებს, რომ მისი ვაჟი გაუგზავნის სეკუნდანტს, ოგიუსტ დარშიაკს<sup>4</sup>. პოეტიც ეძებს სეკუნდანტს, მიმართავს ინგლისის ელჩს, რომ მან საქვეყნოდ გაახმოვანოს ჭეშმარიტება. ელჩის უარი პუშკინს



ლუი გეკერნი



პუშკინის სეკუნდანტი – კონსტანტინე დანზასი



ვლადიმერ დალი – პოეტის მეგობარი

მძიმე მდგომარეობაში აგდებს.

პოეტი იძულებულია, ისევ დანზასს მიმართოს სეკუნდანტობისთვის.

დ'არშიაკი და დანზასი ერთმანეთს ხვდებიან, თანხმდებიან დუელის პირობებზე.

**1837 წლის 27 იანვარი**

პუშკინი სახლში ალგზნებული ბრუნდება (პოეტს დაქირავებული აქვს თავად ვოლკონსკაიას სახლის პირველი სართული), ანესრიგებს წერილებს, საქალაქდებს (ცოლი ბავშვებთან ერთად სტუმრადაა წასული). ემშვიდობება ცოლისდას, ალექსანდრას, რომელიც რალაცას ხვდება.

პოეტი და დანზასი ერთმანეთს ხვდებიან საკონდიტროში და იქიდან ციგით ტროიცკის ხიდისკენ მიდიან.

შეხვედრის ადგილზე ორივე მხარე დროულად ცხადდება. თოვლი მუხლამდეა, საჭიროა განმენდა. სეკუნდანტები და დანტესი თოვლს წმენდენ, პოეტი ნამქერზე ზის და

გულგრილად უყურებს ამ საბედისწერო მზადებას.

პუშკინი პირველი მიდის ბარიერთან, იწყებს პისტოლეტის გამართვას. დანტესი ასწრებს გასროლას, პოეტი ეცემა და ამბობს, რომ, სავარაუდოდ, თქო აქვს დამსხვრეული. მაინც შეუძლია, გაისროლოს. დანზასი ახალ პისტოლეტს აწოდებს. პუშკინი ისვრის, დანტესი ეცემა და ამბობს, რომ მკერდშია დაჭრილი. ამაზე პოეტი აღფრთოვანებით შესძახებს: „ბრავო!“

დანზასი დ'არშიაკის დახმარებით პუშკინს კარეტაში სვამს. გზაში პოეტს ძლიერი ტკივილები ეწყება, შფოთავს, რამდენად საშიშია ჭრილობა, ცოლს ხომ არ შეაშინებს.

პუშკინი სახლში ხელში აყვანილი შეჰყავთ, აწვენენ კაბინეტში, დივანზე. ნატალია შეძრწუნებულია. იძახებენ ექიმებს, რომლებიც არ უმაღავენ პოეტს, რომ მდგომარეობა უკიდურესად საშიშია.

პუშკინის დაჭრის ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება. მოდიან მეგობრები. პოეტი ჟუკოვსკის ავალებს, მეფესთან გაეგზავნოს თხოვნით, აპატიოს დანზასს. მეფე ჰპირდება, რომ უშუამდგომლებს დანზასს, ხოლო პუშკინის ბავშვებზე ამბობს, რომ ისინი მისი შვილები იქნებიან; თან პოეტს ურჩევს, აღესრულოს ქრისტიანულად. მეფეს სურს, გაიგოს, მიიღებს თუ არა ზიარებას. „ჩვენ ძალით მივიყვანეთ პუშკინი ქრისტიანულ აღსასრულამდე“, – წერს ჟუკოვსკი.



დუელი

**1837 წლის 28 - 29 იანვარი**

მოჰყავთ მღვდელი და მომავდავს აზიხებენ. ღამით ავადმყოფს ეწყება საშინელი ტკივილები. დილით, ხოცა ცოტას მოიხედავს, პუშკინი მეუღლეს უხმობს და ეუბნება, ხომ სასიკვდილოდაა განიხილი. ამიკომ უბახებს, წავიდეს სოფელში, ოხი წელი შავი ატაჰოს და შემდეგ გათხოვდეს წესიერ კაცზე. ამ სიტყვებზე სასოწახკვეთილი ქალი ტიხილსა და ღოცვას იწყებს. მეუღლის მეხე პუშკინი მოიხეხებს, წახოს ბავშვები, ხომლებიც თითქმის მძინაჰენი მოჰყავთ (ოთხივე ახასხუნდოვანია).

იგძნობა, ხომ პოეტი თავის მინიეხ ცხოვრებას აჯამებს და ყუხს უგდებს მომავალ სიკვდილს.

პუშკინების სახლს აწყდება მთელი ქალაქი. ხალხი იმდენად ბუხია, წესიერის დასამყახებლად ჰეობხაენსკის ჰოცეს იძახებენ.

პუშკინს თავი მშვიდად უჭიხავს, თუმცა ყოველწამიეხად იღევა. თითქმის მთელი ღამე ვლადიმეხ დალი მას ხელს ახ ეშვებს. ჰელსი სედ უფხო და უფხო ეცემა. პოეტის თხოვნით, მას ყდუებით ასმევენ ცივ წყალს. ახაჩვეულებიეხი სელის სიმტეიეც ახ ცოვებს ავადმყოფს; ემშვიდობება მეგობრებს, ხომენიეც სიკვდილამდე გვეხიდან ახ შოხდებიან. თუმცა, "პუშკინს ვეხ ჩასწვდენს სიცოცხელში ახ მახტო მის მიმახთ გულგიელები, ახამედ მეგობრებიეც... ხამენი იყო მის ნატანჯ სელში ღხმად დაფახელი დიდსელოვნება, ძალა და თავგანნიეხა", - წეხს ვიახემსეი.



პუშკინის უკანასკნელი საათები

პუშკინი საჭმელს ითხოვს; თანაც მისი სუხვილია, ეს გააეეთოს მეუღლემ. "შენ იცოცხლებ!" - ეუბნება საწოლთან დაჩოქილი ქალი. ყველას იმედი უსახება, მაგხამ ეს ახის მომავდავის უანასენელი გაბხძოლება. სიკვდილის წინ თითქოს ფხიზდება, სახე უნათდება და ამბობს: "დასხედს სიცოცხლე!" მადე ისე ჩემად აღესხედება, გახმემომყოფები ვეხე ეი ამჩნევენ მის გახდაცვალებას. 29 იანვახს, 2 საათსა და 45 წეთზე ხესეთს უევე ახ ჰყავს პუშკინი.

ხამენიმე საათში ათასობით ადამიანი აწყდება კეხ მხოლოდ 37 წლის უდიესი პოეტისა და მოახხოვნის სახლს და მთედ ხესეთთან ეთად იქ ხრება სამედამოდ.

პუშკინის სახლი წმინდა ადგილი ხდება მისი სამშობლსთვის და უფხო დიადი, უფხო გასხივოსნებელი გამახეება სამყახოს ახე უხილავს.





“ჩვენ, უცხოელებს, მხოლოდ “უცხოელებში” ყოფნით გვეძლევა მანძი, დავუმტყიცოთ საფხანგეთს ეთოგება”, - ეს სიტყვები დიმიტრი ამილახვარმა სიკვდილამდე ჩამდინიე თვით აქე ნაჩმოთქვა.

1906 წლის 31 ოქტომბერს თეგის ოქის სოფელ ბაზოხინოში (ჩიდილოეთ ჯავასია), სამეფოს საეხოშოს სახდელთა ოჯახში დაიბადა საფხანგეთის მომავალი ეხოვნელი გიიი - დიმიტრი ამილახვარი (დაბადების ადგილის მიხედვით უცხოეთში მას ზედმეტსახელია “ბაზოხიას” შუაქმევენ).

ჩენი ჰუბლიყაყია სახელოვან დიმიტრი ამილახვარზე, იგივე, “საფხანგეთის ქაიოველ ომზე” (ამ ეპითეტიოთა იგი შემეყელი); იმაზე, საფხანგეთში დღესაც ხაჰომა ქაიოველი ჰიინცი (ჩოგოხ მას ეხოვებენ) ასე ჰოჰედიხეი, ხაჰომ შუაქჰვა გენეხაღმა შაიღ დე გოღმა მას “საფხანგეთის ლიხსება” და ბოღოს, ხა გზა განვლო და ჩოგოხ სასახელო დასხეღა თავისი ხანმოყელ სიცოცხელ.

### დიმიტრი ამილახვარი – «საფრანგეთის ქართველი ომი»

დიმიტრი ამილახვარი საფრანგეთში დღესაც ისე პოპულარულია, ნებისმიერ ფრანგს, მით უფრო, სამხედროს რომ სთხოვოთ, დაასახელოს ქვეყნის სამი ყველაზე გამორჩეული სამხედრო პირი, ასე გიპასუხებთ: ნაპოლეონი, შარლ დე გოლი და პრინცი ამილახვარი.

დიმიტრი ამილახვარი სახელოვან თავადანაურთა გვარის სახელოვანი წარმომადგენელია. მისი პაპა – ივანე ამილახვარი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალ-ადიუტანტი, მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, იბრძოდა ყირიმისა და ოსმალეთის ომებში, შამილის წინააღმდეგაც; გამოქვეყნებული ჰქონდა დღიურები და მოგონებები (ჟურნალ „Кавказский сборник“-ში), სადაც უამრავი საგულისხმო ფაქტია მისი ეპოქის თანამებრძოლებზე – გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანებზე, კონსტანტინე მამულაშვილზე, მალაქია გურიელზე, სხვებზე, აგრეთვე, შამილზე.

რაც შეეხება დიმიტრის მშობლებს: პოლკოვნიკი გიორგი ამილახვარი და ნინო ერისთავი განერიდნენ „წითლებს“ და 1905 წელს გადაიხვეწნენ ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ინგუშეთში; იქ დაიბადნენ მათი ვაჟებიც – დიმიტრი და კონსტანტინე. საქართველოში ამილახვრები დაბრუნდნენ 1917 წელს. გიორგი ამილახვარმა ქართულ არმიაში დაიწყო სამსახური და სახელიც მოიხვეჭა, როგორც ნიჭიერმა და ერთ-ერთმა საუკეთესო კავალერისტმა.

დიმიტრიმ სწავლა დაიწყო თბილისის სათავადანაურო გიმნაზიაში, სადაც მისი თანაკლასელები სხვებთან ერთად იყვნენ ცნობილი ხელოვანები – ილიკო სუხიშვილი და სერგო ზაქარიაძე.

1921 წლის თებერვლის ავადსახსენებელი დღეებიც მოახლოვდა. თბილისის დაცარიელებული ქუჩები და რუსი ბოლშევიკების მიერ აფრიალებული წითელი დროშები, კოჯრის მისადგომებთან დალუპული იუნკრები და მოღიმარი სერგო ორჯონიკიძე – ყველაფერი ეს მძიმე რეალობაა. გამარჯვებას ზეიმობს მე-11 წითელი არმია. რუს ჯარისკაცებს შორისაა ახალწვეული ნიკიტა ხრუშჩოვიც, რომელიც წლებისა და წლების შემდეგ ამყად იტყვის: „საქართველოს განთავისუფლებაში მეც მივიღე მონაწილეობა და კარგად მახსოვს ქართველების ბედნიერი სახეები!“

„ბედნიერი საქართველოს“ საუკეთესო შვილებთან ერთად, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდნენ, იყო გიორგი ამილახვრის ოჯახიც.

თურქეთიდან პარიზში ჩასული ორივე ვაჟი – დიმიტრიცა და კონსტანტინეც\* მიაბარეს ნაპოლეონის მიერ დაარსებულ, ტრადიციებით განთქმულ სენ-სირის ცნობილ სამხედრო სკოლაში.

თანამედროვეთა გადმოცემით, – აღნიშნავს პროფესორი ვაჟა კიკნაძე, – ეს სასწავლებელი დიმიტრის იმიტომაც აურჩევია, რომ მხედართმთავარი გამოსულიყო და სამშობლო დაეხსნა ბოლშევიკური ურჩხულისაგან.

სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის დასრულებისთანავე (1926 წ.) დიმიტრი გაამწესეს „უცხოური ლეგიონის“ იმ ბრიგადაში, რომელიც განლაგებული იყო ჩრდილოეთ აფრიკაში. აქ იგი მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. სიდი-ელ-აბასში (ქალაქი მაროკოში) გამოჩენილი სამხედრო სიმამაცისთვის 20 წლის დიმიტრის მიანიჭეს კაპიტნის წოდება.

ფრანგი სამხედრო ისტორიკოსი ასე ახასიათებდა ამილახვარს: „დიმიტრი ამილახვარი მნიშვნელოვანი ფიგურაა ფრანგული არმიის ისტორიაში!“ ფრანგმა



ივანე ამილახვარი ოჯახთან ერთად

\* – კონსტანტინე ამილახვარს წარმატებული სამხედრო კარიერა არ ჰქონია, თუმცა იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა ქართველი ემიგრაციის მემარჯვენე ფრთას. პირადად იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს.



გიმნაზიის მოსწავლე – დიმიტრი ამილახვარი

პოეტმა მორის როსტანმა კი ასეთი სტრიქონებით შეამკო დიმიტრი ამილახვარი:

„და იქცა ზღაპრად უმოკლესი სიცოცხლე შენი, თავადიშვილო შორეული საქართველოდან!“

დიმიტრი ამილახვარი, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, საქართველოში ბევრმა არ იცის, საფრანგეთის ეროვნული გმირია.

წერილის ბოლომდე ბევრს საინტერესოს შეიტყობთ ამ სახელოვან პიროვნებაზე.



1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1940 წელს კი გერმანული არმია საფრანგეთში შეიჭრა. ჰიტლერელებმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილისა და დედაქალაქის ოკუპაცია, ფაქტობრივად, თოფის გასროლის გარეშე მოახდინეს. ერთ-ერთი პირველი, ვინც იმხანად გერმანელებს დაუფარავად დაუპირისპირდა, ლეგენდარული გენერალი, საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი – შარლ დე გოლი იყო. ის ლონდონში გაიხიზნა და იქ სამშობლოს გასანთავისუფლებლად სამხედრო ორგანიზაცია „თავისუფალი

საფრანგეთი“ შექმნა. ფრანგ პატრიოტთა უმრავლესობა დე გოლს გაჰყვა.

დიმიტრი და კონსტანტინე ამილახვარების გზებიც სწორედ მაშინ გაიყო: სტალინისა და, ზოგადად, ბოლშევიკების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამო, კონსტანტინე ჩაენერა „მოხალისეთა ლეგიონში“\*; ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა უფრო იმიტომაც მოინადინა, რომ პარიზში დარჩენილ რძალსა და ძმისშვილებს (დიმიტრის ოჯახს) გესტაპოდან პრობლემები არ შექმნოდათ; დიმიტრი კი ამ დროს, „უცხოურ ლეგიონთან“ ერთად, გერმანელების მიერ ოკუპირებულ ნორვეგიაში, ფრანგული საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში იბრძოდა.

მართალია, ფაშისტურმა შენაერთებმა ადვილად დაამარცხა ნორვეგიის სამხედრო ძალები, მაგრამ ჩრდილოეთის ქალაქი ნარვიკი არ ნებდებოდა გერმანელებს. ფრანგი სარდალი მონკლარი იგონებდა, რომ ნარვიკის ბრძოლაში მხოლოდ „ბაზორკას“, ანუ ამილახვრის სამხედრო სიმამაცემ იხსნა ფრანგები სრული განადგურებისგან. ამ ქალაქის დაცვისას გამოჩენილი გმირობისთვის დიმიტრი ნორვეგიის უმაღლესი ჯილდოთი – „საბრძოლო ჯვრის“ ორდენით დაჯილდოვდა.

ნორვეგიიდან ოკუპაციის შემდეგ ამილახვარი, ჩინით უკვე მაიორი, ისევ აფრიკაში გაამწესეს; კერძოდ, ერიტრეაში (აღმოსავლეთ აფრიკა), გერმანიის მოკავშირე – იტალიის ჯარებთან საბრძოლველად. აქ მან თავი ისახელა ქალაქების – მასაუასა და დამასკოს ალებისას. „ბაზორკას“ ასეულმა მაშინ პირველმა გაარღვია ზღვაზე თავდაცვითი ზღუდეები; ხელთ იგდო ათასობით ტყვე და ესკადრონის ნაღმოსანი, აგრეთვე, ფლოტის უფროსი, იტალიელი ადმირალი.



შარლ დე გოლი აჯილდოებს დიმიტრი ამილახვარს

ამბობენ, იტალიელმა ოფიცერმა დამიანო ძამბრეტომ დანებების შემდეგ დიმიტრი ამილახვრის ნახვა ისურვა; „მამაცი ყოფილხართ, ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, ვინც შეუძლებელი შეძლო!“ – ასე მიმართა მან ქართველ ლეგიონერს და საჩუქრად გადასცა პირადი სატაბელო იარაღი. წარწერიანი პისტოლეტით დააჯილდოვა დიმიტრი ამილახვარი დე გოლმაც და მიანიჭა ვიცე-პოლკოვნიკის ნოდება.

სწორედ დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოთქვა ამილახვარმა ისტორიული სიტყვები: „დღეს ჩვენ, უცხოელებს, მხოლოდ „უცხოურ ლეგიონში“ ყოფნით გვეძლევა შანსი, დავუმტკიცოთ ერთგულება საფრანგეთს“.



„ნეტავი, სიკვდილამდე შიშის გრძნობა განმაცდევინა!“ – უთქვამს ნარვიკის, ერიტრეას, მასაუას, დამასკოს, ბირ-ჰაქეიმის, ელ-აბასის, ელ-ალამეინის ბრძოლების მონაწილეს დიმიტრი



ამილახვარს. ცნობილია, რომ ერთ-ერთი შეტაკების დროს ის მტრის ბანაკში მარტო შეჭრილა და დაჭრილი თანამებრძოლი ხელში აყვანილი გამოუყვანია. ოფიცრის გამბედაობით განცვიფრებულ მონინალმდეგეს თურმე ცეცხლი შეუწყვეტია, ხოლო, როცა ის თვალს მიეფარა, მტერს ტაშით გაუცილებია უშიშარი ქართველი.

ბირ-ჰაქეიმთან გადამწყვეტი შერკინებისას პოლკოვნიკმა ამილახვარმა პირველად გამოიყენა ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლის ახალი სისტემა. გერმანულ ნაწილებს სარდლობდა „უდაბნოს მელად“ ნოდებული, გამოცდილი გენერალ-ფელდმარშალი – ერვინ რომმელი, ვისზედაც ლეგენდები დადიოდა – ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცები მას ზეადამიანად მიიჩნევდნენ. ეს მითი სწორედ უშიშარმა დიმიტრი ამილახვარმა დაანგრია, რომელმაც მტრის ორი ათეული ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან. გენერალმა დე გოლმა პოლკოვნიკი საპატიო ჯილდოთი „გათავისუფლების ჯვრით“ დააჯილდოვა, პროფამისტურმა ხელისუფლებამ კი ამილახვარს დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა.

სხვათა შორის, ბირ-ჰაქეიმის ბრძოლა II მსოფლიო ომში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შეტაკებად, რომელმაც ვერმახტის\* განადგურებაში უდიდესი როლი შეასრულა.



„იგი იყო მაღალი, ათლეტური აგებულების; ჰქონდა დიდრონი, ცისფერი თვალები, გამოირჩეოდა არისტოკრატიული მანერებით. გარეგნობასთან ერთად, ბუნებამ მას მახვილი გონება და რაინდული სული მიანიჭა. იმ თავის მოსასხამსაც ელეგანტურად, მოხდენილად ატარებდა“, – წერდა დიმიტრი

ამილახვარზე ფრანგი გენერალი – კიტრე.

მართლაც, ქართველ ოფიცერს ჰქონდა ერთი შავი მოსასხამი, რომლის გარეშე ბრძოლის ველზე ის არასოდეს გადიოდა. ამბობდა კიდევ, ვიდრე ეს მოსასხამი მაქვს, ტყვიის არ მეშინიაო.

1942 წლის 24 ოქტომბრის დილას მან საბედისწეროდ დაკარგა ეს მოსასხამი და რამდენიმე საათში სასიკვდილოდაც დაიჭრა. ეს იყო ელ-ალამეინთან შეტაკებისას. როგორც ამბობდნენ მისი თანამებრძოლნი, მას ნაღმის ორი ნამსხვრევი მოხვდა – ერთი საქართველოსთვის, ერთიც – საფრანგეთისთვის. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ლიბიის უდაბნოში, ელ-ალამეინის ფრანგულ სამხედრო სასაფლაოზე.

საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის ბრძანებით, დიმიტრი ამილახვარი გამოცხადდა „საფრანგეთის წინააღმდეგობის გმირად“ და დაჯილდოვდა „საპატიო ლეგიონის“ უმაღლესი

ორდენით. საფრანგეთის მთავრობამ სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის ერთ-ერთ გამოშვებას (სადაც სწავლობდა ოფიცერი) უწოდა ამილახვარის სახელი. 2005 წელს, „ბაზორკას“ დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, პარიზის ერთ-ერთ ქუჩასაც ჩვენი თანამემამულის სახელი დაერქვა.

1944 წლის დეკემბერში "უცხოელთა ლეგიონის" ხელმძღვანელობამ, თანამებრძოლებმა დალუპული მეთაუხის, პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვარის ქჩივი - უმშვენიესი იხინე დაიხანი მუელის სხოვნის სალამოზე, ქ. კუხში მიიწვიეს. სალამოზე დასასწავლად ის გაემგზავრა დასთან, თამაჩთან და თავის შვილებთან - თამიხიოსთან და ოთაჩთან ერთად. მოყინულ გზაზე მანქანა მოცუდა, ხეს შეეჯახა და იხინა დასთან ერთად დაიღუპა; ბავშვები გადახრნენ.

ობლებს მფახველობა დიმიტრი ამილახვარის თანამებრძოლმა და შემდგომში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა კენინგამ გაუწია. ჰეზიდენტმა შაჩ დე გოლმა კი ამილახვარის შვილები "საფრანგეთის შვილებად" გამოაცხადა.

ბიძოლის ველზე დალუპდ სახელოვან ქართველ ხინდს ამ სიყვებით მიმათა გენეხაღმა მონეახიმა:

"მას ახავის წინაშე დაუროქია. დაუროქ მხოლოდ უფალს და ლეგიონის ეხოშას; მაგამ სასიყვილოდ დაჭიღმა მესამედ ისე ჩაიროქა, ხომ ველახ ნახიღოგა. ასე დაიღუპა 35 წლის დიმიტრი ამილახვარი. ქართველი ფრანგი ოფიცერი, ყველგან და ყოველთვის თავისი გვახის ლიხსული შვილი!"

საფრანგეთში ახის სამხედრო მუზეუმი, სადაც ერთი კუთხე ახის ნაპოლეონის, მეოხე - შაჩ დე გოლის, მესამე კი დიმიტრი ამილახვარის.

\* – ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები.



## ალოიზის ვილა – აღმოსავლური ზღაპარი


ალოიზის ვილა - ბახოჯოს სტილის შენობა სოხუმში, ქაქაქის ლიხსშესანიშნაობა, აფხაზეთის დედაქალაქის სიმბოლო. იგი განუმეოხებელ ჯვარს უკვებს ყოველ მნახველში. აქედან იმლება ქაქაქის ჰანოხამის განუმეოხებელი ხედები. ალოიზის ვილა აღნიშნულია ყველა სუხისსის გზამკვლევაზე, ხოლო აღგილობიხივებისთვის იგი ახის ქაქაქის ეხთ-ეხთი ყველაზე მხატვრული ახიკეკეხული ძეგლი. "ალოიზის ვილა" მისი მშენებლისა და მეპატრონის, იმეხონდელი ცნობილი ვაჭრის - იოაკიმ ალოიზის პატივსაცემად ეწოდა.

### სინიციის არქიტექტურა

ალოიზის ვილა აშენდა 1896 წელს ჩერნიავესკის მთის\* ძირას (ყოფილი ჭავჭავაძისა და მთის ქუჩების გადაკვეთა), სოხუმის პორტის უფროსის მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ დე სიმონესათვის.

შენობა ჩაფიქრებული იყო ახალრუსულ სტილში, მაგრამ დე სიმონეს სიკვდილის შემდეგ მისმა ქვრივმა ვილა 5.000 რუბლად მიჰყიდა იოაკიმ ალოიზის, საფრანგეთის ქვეშევრდომს (წარმოშობით ბერძენს). ალოიზი იყო მენარმე, ვაჭართა პირველი გილდიის წევრი; დაქორწინებული იყო ნინა კარაგეზოვაზე. მათ ჰყავდათ ორი ვაჟი — მიხეილი და გიორგი.

ალოიზები სოხუმში საცხოვრებლად კიევიდან გადმოვიდნენ 1901 წელს. აფხაზეთში გადმოსახლების შემდეგ გარკვეულ ხანს ცხოვრობდნენ მეგობრებთან. მალევე იყიდეს მიწის ნაკვეთი ზღვის სანაპიროზე, მიხაილოვსკის ქუჩაზე (ყოფილი რუსთაველის გამზირი).



ალოიზის ვილა.  
არქიტექტორი – ალექსეი სინიციანი. სოხუმი.  
XX ს.-ის 10-იანი წლების ფოტო

ვილა იოაკიმ ალოიზიმ სოხუმში ყოფნის 2 წლის შემდეგ შეიძინა. მას სურდა, ეცხოვრა მდიდრულ სახლში, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებდა მის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. სახსრებსაც არ ზოგავდა. მოიწვია კიდეც მოსკოვიდან ცნობილი არქიტექტორი ალექსეი სინიციანი. სამ წელში ალოიზიმ სინიციანის მეშვეობით ვილა გადააკეთა ბრწყინვალე, ორიგინალური არქიტექტურის ნაგებობად, მისცა მას ეკლექტური იერი; შეუნარჩუნა, როგორც მოდერნისტული, ნეოგოთიკური, ამავე დროს, შესძინა მავრიტანული სტილი (ალოიზი ცოტა ხანს ცხოვრობდა მაროკოში და აღმოსავლური მანერაც ამიტომ იზიდავდა).

იოაკიმის მოთხოვნით, საცხოვრებელი არქიტექტურულად გააფორმეს ამონარიდებით ყურანიდან. ვილის კარიბჭესთან დაამონტაჟეს ლომების უზარმაზარი ქანდაკებები. ეზოში

მოეწყო პატარა ბაღი, შუაგულში ანტიკური სტილის შადრევნითა და კუპიდონით. მეორე სართულის დერეფნებს ამშვენებდა ხის მოაჯირი ცხოველების გამოსახულებებით, ხოლო დერეფნის კედლებზე ეკიდა დიდრქებიანი ცხოველების – ირმების, ბიზონებისა და ჯიხვების თავების ფიტულები.

ალოიზის ვილა, შეიძლება, ითქვას, სინიციანის საუკეთესო ნამუშევარია, თუმცა მისი ინიციატივით აიგო, აგრეთვე, სასტუმროები „რივიერა“, „ელადა“...

### სხვა „გრანდ“ შენობები...

ვილის აშენებით ალოიზი არ შეჩერებულა. მალე შეუდგა საკუთარი თეატრისა და სასტუმროს აშენებას. 1907 წელს ააშენა 670 მაყურებელზე გათვლილი თეატრი, სამსართულიანი სასტუმროთი „გრანდ-ოტელი“, 35 კომფორტული ნომრით. სასტუმროს ჰქონდა ავტომობილების სადგომიც. აქვე იყო კინოთეატრი „ოლიმპია“.

მიხაილოვსკის სანაპიროზე აამუშავა იმ დროისთვის შესაფერისი საპარიკმახერო, სახელით „ჟანა“, საუკეთესო რესტორანი „ბრიზი“ და კაზინო. ასევე, საკონდიტრო „ჰოლანდია“, ბაზარი. ყველაფერი ეს შეასრულა თბილისელმა არქიტექტორმა – სარქისოვმა.

\* – მანამდე ისტორიულად მთას „სამატა რუხ“ (აფხაზ.) ერქვა. ეს სახელი მთას ეწოდა რუსი მეცნიერის ჩერნიავესკის პატივსაცემად, რომელმაც მე-19 საუკუნის დასასრულს იქ ააშენა თავისი აგარაკი.



## სასახლე – კომუნალურ საცხოვრებლად

1920 წლამდე ალოიზი თავის აშენებულ ბინაში უზრუნველად ცხოვრობდა; საბჭოთა ხელისუფლებამ კი მოითხოვა, მეუღლესთან ერთად ის ვილის რამდენიმე ოთახს დასჯერებოდა. ალოიზის ვილა კომუნისტებმა კომუნალურ საცხოვრებლად გადააკეთეს, რაც იმ დროს არ იყო იშვიათი. ვილის შიგნითა სივრცე დააქუცმაცეს პატარა ოთახებად, ყველა აივანი გადახურეს.

ძალიან დიდხანს ვილის ოთახებიდან ერთ-ერთში ცხოვრობდნენ ალოიზის დები; ვაჟები კი პირველი მსოფლიო იმის დაწყებამდე საზღვარგარეთ წავიდნენ სასწავლებლად და სოხუმში, მშობლიურ სახლში არც დაბრუნებულან. ალოიზი, შვილების დაბრუნების მოლოდინში, 1925 წელს გარდაიცვალა. მასზე კომუნისტების მოსვლის შემდეგ არაფერია ცნობილი.

მხოლოდ შემორჩენილია ალოიზის რამდენიმე განცხადება: „იყიდება კაზინო“ (უკვე ნაციონალიზებული); „დაკარგულია პენსნე, ოქროს ჩარჩოთი, ძვირფასი სახსოვარი. დაბრუნების შემთხვევაში მპოვნელი დასაჩუქრდება“. ალოიზი თურმე მთელი თვე აქვეყნებდა განცხადებებს, მაგრამ არავინ გამოხმაურებია.

შემორჩენილი ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ, რომ 1925-38 წლებში ვილაში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა აფხაზი მწერალი და დრამატურგი სამსონ ჭანბა.

1946 წელს თეატრისა და სასტუმროს შენობაში გაჩნდა ხანძარი. ნახანძრალი შენობები 1949 წელს აღადგინეს და გააერთიანეს ერთ ნაგებობად, სადაც ამჟამად ჭანბას სახელობის დრამატული თეატრია.

### დაბადება თავიდან

1992-93 წლებში, აფხაზეთში განვითარებული მოვლენების დროს, ალოიზის ვილა ძალიან დაზიანდა, დანგრევის პირამდე მივიდა. მიტოვებული ვილის კიბეებზე კატების უზარმაზარ ხროვას თუ ნახავდა კაცი, თითქოს იქაურობა მათ მბრძანებლობაში გადავიდა. ომამდე და მერეც ვილის კოშკის გვერდით ცხოვრობდა ვინმე მაშა-მიშა (როგორც მას ქალაქში ეძახდნენ).

ვილაცამ ვილის ეზოში ძველი ტექნიკის თავმოყრაც დაიწყო და იქაურობა სანაგვეს დაამსგავსა. ხის დეტალები და კიბეები ჩამოიშალა. მაგრამ ვილაცას უნდა ეზრუნა, რომ ეს უნიკალური შენობა, რომელიც შეტანილია არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, გადაერჩინა, დაებრუნებინა მისთვის სიცოცხლე.

მართლაც, როცა ალოიზის ვილა კერძო მეპატრონის გვაზავას ოჯახის საკუთრება გახდა, დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც დღემდე გრძელდება.

ინჟინერ-კონსტრუქტორებს მოუწიათ უზარმაზარი სამუშაოების განევა, ყველაფრის სწორად გათვლა. ორიგინალური დეკორი ჩვენს დრომდე პრაქტიკულად არ მოღწეულა. რესტავრატორებს ჰქონდათ მხოლოდ ძველი ფოტოები. მორთულობების აღსადგენად ადგილზე შეიქმნა საამქროები. მხატვრები სათითაოდ ხატავდნენ არაბული ორნამენტების ყოველ ფრაგმენტს.

სახლი, რომელიც ასე დიდი ჩანდა, მხოლოდ რამდენიმე ოთახს მოიცავდა. დანარჩენი არაფუნქციონირებადი შენობა, კოშკი, აივნები, შიგნითა დერეფნები, კიბეები და მოაჯირი იყო. სამი ახალი გუმბათი, რომელიც მანამდე ხის იყო, აღადგინეს მეტალში. გუმბათის ფირფიტები ჩამოიტანეს გერმანიიდან. სართულებს შორის გადახურვა იყო ხის, ახლა ბეტონის გააკეთეს. ლიობების ისრული კამარის, სართულებშორისი დეკორატიული სარტყლებისა და ქანდაკებების აღდგენა ყველაზე მძიმე სამუშაო იყო.

7 წელია, გრძელდება ალოიზის ვილის აღდგენითი სამუშაოები. იმედა, ეს დიდებული შენობა ისევ გაახარებს თვალს თავისი ბრწყინვალეობით.



ალოიზის თეატრისა და კინოთეატრ „ოლიმპიას“ შენობა.  
არქიტექტორი – სარქისოვი. სოხუმი.  
XX ს.-ის 30-იანი წლების ფოტო



# კვეკვერცხი

ნუნუ ჯანელიძე



ერთი ჩვეულებრივი კვერცხი იყო; იჯდა თავისთვის თვის ბულბულებით ამოვსებულ მყუდრო საბუდარში და სხვებივით წინილის გამოჩეკას ელოდებოდა.

ერთხელ პატრონი მოვიდა, კვერცხები სათითაოდ აიღო ხელში, ყურთან მიიტანა, აჯანჯლარა, თითქოს უსმენსო; მერე კვერცხები უკანვე ჩაალაგა საბუდარში, მხოლოდ ერთი კვერცხი გამოაცალკევა და საბუდრის კიდეზე დადო.

გავიდა ხანი; წინილები გამოიჩეკნენ, კვერცხი კი კვერცხად დარჩა. ყველას უკვირდა მისი ასე ყოფნა, ხოლო, როცა ყველაზე ცნობისმოყვარე წინილამ, ქოჩორამ ჰკითხა, შენი წინილა სად არისო, კვერცხმა

ემშაკურად უპასუხა, იგვიანებს, მე ხომ განსაკუთრებული კვერცხი ვარო!

მისი განსაკუთრებულობა იმით გამოიხატებოდა, რომ როცა კვერცხი წინილების ძიძგილაობაზე ხან ერთ გვერდზე, ხანაც მეორეზე გადაგორდ-გადმოგორდებოდა, უცნაურ ხმებს გამოსცემდა.

მალე წინილები წამოიჩიტნენ, საბუდრიდან გადახტდნენ და ეზოში დაინყეს სირბილი. დარჩა ვეებერთელა საბუდრის კიდეზე დადებული კვერცხი მარტო. ინრიალა, იტრიალა, უცებ კიდიდან დაგორდა და შუაგულ საბუდარში ჩავარდა, ჩავარდა და რალაც ნებოვან გროვავშიც ამოისვარა (მოგეხსენებათ, საბუდარში გამხმარი ბალახ-ბულახის გარდა ყოველთვის იპოვება სხვა რამეც). ერთხელაც შეტრიალ-შემოტრიალდა და რაც საბუდარში ბუნდლა იყო, სულ ტანზე აეკრა.

როცა წინილები საბუდარში დაბრუნდნენ და ბუმბულში ამოგლაგნილი კვერცხი ნახეს, გაოცდნენ და ჰკითხეს, ეს რა მოგვლიაო? კვერცხი არ დაიბნა და ყოჩაღად უპასუხა: ხომ გითხარით, განსაკუთრებული ვარ, ნახეთ, ფრთებიც კი ამომივიდაო.

ფრთებიანი კვერცხის ამბავმა ეზოს მამლის ყურამდეც მიაღწია, მისი ნახვა იწება და ფრიად კმაყოფილიც დარჩა. მართლაც, რა მაგარი კვერცხი ყოფილაო, წარმოთქვა მამალმა (მამალი ცოტა ენას უკიდებდა, თანაც მიჩვეული იყო ყიყიყოს დამარცვლით ყივილს და „კვერცხის“ ნაცვლად „კვეკვერცხი“ წარმოთქვა). თანაც დაამატა, კვეკვერცხი მარტო ფრთებიანი კი არა, შიგნიდანაც მთლიანად ოქროსიაო. ახლა ოქროსგულიანი კვერცხის ამბავმა შეაზანზარა მთელი ეზო.

ჩვენი კვეკვერცხის დიდება მეზობელ საქათმეებსაც მისწვდა. დედლები მასზე ზღაპრებს თხზავდნენ და ძილის წინ თავიანთ შვილებს უყვებოდნენ. ბატები იმასაც კი ამბობდნენ, კვეკვერცხი ისეთ ხმებს გამოსცემს, უეჭველად ანგელოზური წარმოშობისააო.

ასე გახდა კვეკვერცხი საყოველთაო მოვლენა, უფრო სწორად, ის აღმოჩნდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. დიდებით რეტდასხმულმა კვეკვერცხმა თვითონაც დაიჯერა თავისი განსაკუთრებულობა.

ქარის ყოველ დაბერვა-დაქროლვაზე, როცა გადაგორდ-გადმოგორდებოდა ხოლმე, ხან ვის კალთაში ჩაგორდებოდა და ხანაც ვისაში. თავის ბუმბულ-ლინლს ვისაც შეუღიტიებდა, ჯერ გულს მოუღობდა, მერე თავის მოსამსახურედ გაიხდიდა.

ბოლოს ისე წავიდა საქმე, კვეკვერცხი წმინდანადაც კი აღიარეს. მოდიოდნენ მომლოცველები შორეული საქათმეებიდან და ხონჩებით ძღვენი მოჰქონდათ. მოპოვებულ ვარიკები დითირამბებს თხზავდნენ მასზე, მომხატვრო ყვინჩილები მის პორტრეტებს ხატავდნენ.

კვეკვერცხი უფრო და უფრო წინ მიინევდა და ამ კოტრიალ-კოტრიალში მეფის სასახლეშიც კი აღმოჩნდა. მეფესთან ერთად სამეფო ტახტზე დასკუბდა და ქვეყნიერებას ზემოდან, კვეკვერცხულად დაუნყო ყურება.





მართალია, ძველებურად გადაგორებ-გადმოგორებისას უცნაურ ხმებს გამოსცემდა, მაგრამ ეს რატომღაც ყველას ციურ ხმებად ერქვენებოდა. მეტიც, არავის აზრადაც არ მოსდიოდა, კვერცხს, რომელსაც ფრთები ჰქონდა, ფრენა რატომ არ შეეძლო.

მხოლოდ ისევ თავხედმა ქოჩორამ გაბედა მისთვის ამ კითხვის დასმა, რაზეც კვეკვერცხმა ამაყად უპასუხა:

– ჩემი ფრენა როგორ შეიძლება, მე ხომ ოქროსი ვარ!

სხვათა შორის, იმ დღიდან მთელმა საქათმემ აითვალუნა ქოჩორა, ინდაურებმა საპროტესტო აქციაც კი გამართეს ქოჩორას თავის გადახოცვის მიზნით.

ერთ დღესაც კვეკვერცხმა საქვეყნოდ გამოაცხადა, წმინდა ადგილების მოსანახულებლად უნდა წავიდე, მე ხომ ციურ ხმებს გამოვცემ, ქვეყნიერების გადასარჩენად უნდა ვილოცო.



ბევრი იგორა თუ ცოტა იგორა, წმინდა ადგილებამდე მიაღწია.

მშვენიერი ვაკე ადგილი იყო, მართლაც რომ ზედგამოჭრილი საკოტრიალოდ. მაგრამ კვეკვერცხმა მალე მოიწყინა, რადგან იქ ბევრი სხვაც ნახა მასავით ქვეყნიერების გადასარჩენად მიგოგმანებული (?), ეს კი სულაც არ ეპრიანა. აიხირა, ე, ეგერ რომ მწვერვალია, იქ უნდა მოვხვდე, ჩემი საკადრისი მხოლოდ მწვერვალიაო.

რა თქმა უნდა, საიდანღაც ამგორებლებიც უცებ გაჩნდნენ და ჩვენი კვეკვერცხი სულ ციმციმ ააბრძანეს მწვერვალზე. ახლა გამეცალეთ, მწვერვალზე მხოლოდ ერთი ადგილია, უბრძანა კვეკვერცხმა ხელქვეითებს.

ბედნიერებით აღვსილმა მწვერვალზე მოკალათება დაიწყო, ისე, როგორც თბილ საბუდარში ჩვეოდა, მხარ-თეძოზე წამოწოლაც კი მოიწადინა. ბევრი იტრიალა, იხვანცალა, ჭირის ოფლმაც კი დაასხა, მაგრამ მწვერვალზე მოხერხებულად ვერაფრით დაჯდა.

მისი სიმრგვალე (შუბლი და კეფა სად ეწყებოდა და სად უმთავრდებოდა, თვითონაც რომ არ იცოდა) და მწვერვალის წვერი ვერაფრით ეწყებოდა ერთმანეთს. სხვათა შორის, ყველამ უნდა იცოდეს, მწვერვალს ერთი უცნაური თვისება აქვს: თავის წამახული,

ბასრ წვეტზე დიდხანს ვერავის გააჩერებს, მით უმეტეს, კვერცხს.

ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამდენი ნაკოტრიალები კვერცხი ისეთი სისწრაფით დაეშვა მწვერვალიდან და ისეთი ძალით დაენარცხა ძირს, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. ნაჭუჭებად ქცეული კვეკვერცხიდან ისეთი სიმყრალე ამოვიდა, ირგვლივ ყვავილებიც კი ჩამოჭკნენ.

– ლაყე ყოფილა, ლაყე ყოფილა! – აყვირდნენ ამ ამბის შემსწრენი და ცხვირებზე ხელ-მოჭერილები უკანმოუხედავად გაიქცნენ. ყველაზე გამწარებით ისინი გარბოდნენ, ყველაზე ახლოს რომ იყვნენ კვეკვერცხთან; არც გაეწილებოდათ: სიმყრალის გაძლება ახლოს გაცილებით აუტანელია.

საბრალო კვეკვერცხის ნაჭუჭებიდან აცლილი ბუმბულ-ლინლი ქარს ბნიალ-ბნიალით მიჰქონდა მინდორ-ველად. ვიღას ახსოვდა ამბავი ერთ დროს ვითომ ოქროსგულიანი, ფრთებიანი კვეკვერცხისა.





# არაქენია

ნუნუ ჯანელიძე



იყო ერთი უხეირო ქვეყანა. ამ უხეირო ქვეყანაში იყო ერთი მდინარისპირა დაბა, სადაც პატიოსანი და გამრჯე ხალხი ცხოვრობდა. ისინი თავს თევზჭერით ირჩენდნენ, გვიან ღამემდე დაულაღავად შრომობდნენ და თავიანთ კოპნია დაბას კიდევ უფრო ამშვენებდნენ.

მაგრამ ამ პატიოსან ხალხშიც გამოერია ერთი კაცი, შრომას რომ არად დაგიდევდათ. ყოველდღე გამოინკიპებოდა, ქუდს დაიხურავდა და ქალაქში მიდიოდა, ვითომდა საქმიანი შეხვედრისთვის.

როცა საღამოს სახლში დაბრუნებულს შეეკითხებოდნენ, დღეს რა ჰქენიო, კაცი პასუხობდა, რას ვიზამდი, არც არა ვქენიო.

ამ სიტყვების გამო დაბელებმა მას „არაქენია“ შეარქვეს. თავისი მეტსახელი დიდად არ სწყენია კაცს, შეიფერა კიდევ, ხომ ხედავთ, თქვენგან გამორჩეული ვარო და ქალაქში სიარულსაც მოუხშირა.

იმდენი იარა არაქენიამ, რომ ქალაქის თავმა შეამჩნია. ის გაპრანჭული კაცი ვინ არისო, იკითხა. მდინარისპირა დაბის ცნობილი არაქენია არისო, უპასუხეს.

სწორედ ასეთი კაცი მჭირდება, თქვა ქალაქის თავმა და არაქენია საუფროსოს წევრად მიიწვია. არაქენია ცას ენია სიხარულით. საუფროსოშიც მშვენიერ სავარძელში მოკალათდა.

რა კარგი რამე ყოფილა არაქენიობაო, ფიქრობდა გახარებული.

მართლაც, საუფროსო ზედგამოჭრილი იყო არაქენიასთვის, რადგან იქ მრავლად იყვნენ მასსავით არაქენიობაზე დაშურებულნი. კაცმა მალე ალლო აულო იქაურობას და მოინდომა, მეტი ნიჭი გამოევლინა უსაქმურობაში.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია უხეირო ქვეყნის უხეირო მეფეს. მბრძანებელმა კანონი გამოსცა, საგანგებოდ შეექმნათ არაქენიის სამთავრო, სადაც მხოლოდ უქნარ-არაქენიები იღვანებდნენ.

პირველ მინისტრად, რა თქმა უნდა, ნაცნობი არაქენია დანიშნეს. ახლა ის სულ გაიფხორა, გასუქდა და გაყვიყვიანდა, კისერს ძლივს ატრიალებდა.

ამასობაში, დაბისპირელები ძველებურად შრომობდნენ, თავსაც ირჩენდნენ და არაქენიის სამთავროსაც უგზავნიდნენ სარჩოს.

არაქენიები ხომ, როგორც წესი, პატიოსანი მშრომელების ხარჯზე არაქენიობენ.

მალე ეს ახალი სამთავრო სრულიად გადაივსო უსაქმურებით. ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არაქენიობაში.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მთავარ არაქენიას; ამიტომაც გახსნა







მსურველთათვის არაქენიის კურსები, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზომცხვარი არასპეციალისტები იღებდნენ არაქენიის მაგისტრის სერთიფიკატს. დაწესდა ჯილდოც. მთავარი ჯინჯილი, რა თქმა უნდა, ჩვენს არაქენიას ერგო. დანარჩენები კი ჯინჯილაკებს დაკმაყოფილდნენ.

სამთავროში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ისმოდა ჯინჯილაკების ჩხარაჩხური. ყოველი დილა იწყებოდა თათბირზე წარმოთქმული ერთი და იგივე სიტყვებით: „მე, როგორც პირველი არაქენია...“ და ყოველი თათბირის შემდეგ არაქენიები უფრო მორჩილნი და საყვარლები ხდებოდნენ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, ამაღლებულადაც, ტილები რომ არ გამომტყვრალიყვენენ საიდანაც! რაკი არავის არაფრის გაკეთება სურდა, არაქენიის სამთავროში ისე დატილიანდნენ, რომ ყველაზე კოკობზიკა არაქენიებმაც იკადრეს, თავის მოსაფხანად ხელები გაეტოკებინათ.

მაგრამ დიდი ხნის ქექვა-ფხანის შემდეგ ტილებთან რომ ვერაფერი გააწყვეს, ერთმანეთს დაერივნენ, არა, შენი ბრალია, არა, შენო! ატყდა ერთი ჩოჩქოლი და განევ-გამონევა.

არაქენიას ისევ თანადაბელებმა უშველეს – ქეჩოში ხელი ნაავლეს და კაბინეტიდან გამოაბრძანეს.

რას აკეთებთ, მე ხომ არაქენია ვარო, აყვირდა ჩვენი პატივცემული. არაქენია რომ ხარ, იმიტომაცო, უპასუხეს.

დიდხანს ფიქრობდნენ დაბელები, რა ექნათ არაქენიასთვის.

თავი რომ მოვკვეთოთ, არ გამოვა, მთელს სამთავროში ყველას ხომ არ დავაყრევინებთ თავებსო. ცხეც არ ივარგებს, იქ რომ ჩავსვათ, უსაქმურობას გააგრძელებსო. სჯობს, სამაგალითოდ დავსაჯოთ, გამოსასწორებლად სამუშაოები შევასრულებინოთ, რომ საკუთარი ოფლითა და შრომით გამოიმუშაოს დღიური ლუკმაო.

ასე დასრულდა არაქენიას ამბავი, მაგრამ დასრულდა კი?

ქვეყანაში, ისიც უხეიროში, სადაც შრომას პატივს არ სცემენ და ისეთ ადამიანებს არ აფასებენ, ვინც კეთილსინდისიერად საქმიანობს, არაქენიებს რა გამოლევს?!





გაჩი ბჩაენი (1917-1986 წ.წ.) - ამეხიკეი ჰოეტი, მწეხარი, სენეახისტი.  
 მეშაობდა ექნად "თაიშში"; იყო "ნიუ-იოხის" ხედაქოხის მოადგილე. ხოცა გაჩი ბჩაენმა გამოსცა თავისი ჰიხველი წიგნი (XX ს.-ის 40-იან წლებში), ეოლეგამ ლეიზა ბოგენმა ამ ჰოეტიხი ეხებულის შესახებ აღნიშნა: "ბჩაენი ფეობს ეთ-ეით ყველაზე უშეცდომო ჰოეტიხ შესაძლებლობას".  
 მისი ხომანის - "გასეიხნება მთვახეზე" - მიხედვით 1944 წელს გადაიღეს ამავე სახელწოდების ფილმი. 1949 წელს ჰოლივუდში ბჩაენის სენეახით შექმნილი ეინონანახმოები "ადგილი მზის ქვეშ" დაჰიდლოვდა ოსკარის ჰხემით.  
 სიცოცხლის ბოლომდე გაჩი ბჩაენი შემოქმედებითად მოღვაწეობდა ხელოვნების სხვადასხვა სფეიხში. ბაჩათი, ხომელსაც მეითხველს ვაცნობთ, ეპისტოლახული მწეხლობის ეთ-ეითი მიშხიდევი წანახმოებია. ჰატახა გოგონასათვის (და ახამახტო მისთვის) სელისა და გონების სახელოდ მიწოდებული მამის (გაჩი ბჩაენის) აღსახება-მონოლოგი შეძახილია, გვიყვახედს ადამიანი, გვახსოვდეს უბჩალო ქეშმახიკება: ამ ცოდვილ წეთისოფედში ახავისზე ეეტესეები ახა ვახთ და ხომ ახავინაა ჩვენს წინაშე ახაფხით ვადებელი.

## „არავის შენი არაფერი მართებს“

### სეპილი 9 წლის ქალიშვილს

ბარი ბრაუნი  
თარგმნა ნანა ჭანტურიამ

გამარჯობა, საყვარელო,  
 ახლა შობის დღეებია და მე ჩვეულ საზრუნავს შევეუპყრივარ, რა საჩუქარი შეგიჩრიო. ვიცი, რაც გახარებს – წიგნები, გასართობი თამაშები, კაბები. მაგრამ მე ძალზე მიყვარს საკუთარი თავი და, მინდა, ისეთი რამე გისახსოვრო, რაც დარჩება შენთან ერთად რამდენიმე დღეზე და, თუნდაც, წლებზე მეტად. მსურს, მოგიძღვნა ისეთი რამ, რაც ყოველ მომდევნო შობას გაგახსენებს ჩემს თავს.  
 და, იცი, მგონია, შევარჩიე კიდეც ასეთი საჩუქარი. გისახსოვრებ ძალზე უბრალო ჭეშმარიტებას, რომლის დასაუფლებლად მე, პირადად, წლები დამჭირდა. შენ თუ მას ახლავე შეიმეცნებ და ჩანვდები, საკუთარ ცხოვრებას უთვალავი საშუალებით გამარავალფეროვნებ და მომავალში ეს დაგიცავს კიდეც არაერთი საზრუნავისგან.  
 მაშ ასე: არავის შენი არაფერი მართებს.  
 ეს კი ნიშნავს, რომ არავინ ცხოვრობს შენთვის, ჩემო პატარა. იმიტომ, რომ შენ არავინ გგავს, არავინ გიმეორებს. ყოველი ადამიანი საკუთარი იღბლით ცხოვრობს.  
 ერთადერთი, რაც შეიძლება მან განიცადოს, საკუთარი ბედნიერებაა. როცა შენ გაიაზრებ, რომ შენს კეთილდღეობას შენს მეტი ვერავინ უზრუნველყოფს, განთავისუფლდები შეუძლებელზე ფიქრებისგან.  
 ეს იმასაც ნიშნავს, რომ არავინაა ვალდებული, შენ უყვარდე. თუ მაინც ვინმეს უყვარხარ, ეს ნიშნავს, რომ შენშია ის განსაკუთრებულობა, რაც სხვას აბედნიერებს. გაარკვიე, რაც არის ის რაღაცა და ეცადე, სწორედ ის მნიშვნელოვანი გამდიდრო, გააძლიერო; მერე უკვე შენ უფრო ბევრი შეგიყვარებს.  
 როცა ადამიანები რაღაცას აკეთებენ შენთვის, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ასე სურთ; ან უბრალოდ იმიტომ, რომ შენშია მათთვის ძალზე ნიშანდობლივი მარცვალი, ის რაღაცა, რისი მოწონების სურვილსაც აღძრავ მათში.  
 მაგრამ, გიმეორებ, არა იმიტომ, რომ ვინმეს შენი რამე მართებს. თუ შენს მეგობრებს მოუნდებათ, იყვნენ შენს გვერდით, მათი მხრიდან ეს მოვალეობის აუცილებლობით არ იქნება განპირობებული. არავინაა ვალდებული, პატივი მოგაგოს. სიკეთესაც ნუ ელოდები ნებისმიერისგან.



გარი ბრაუნი ქალიშვილთან ერთად



და იმ დროს, როცა შენ გაითავისებ, რომ არავინაა ვალდებული, შენს მიმართ გამოავლინოს სიკეთე, გამოხატოს წყალობა, შენ ისწავლი, როგორ განერიდო ასეთ ადამიანებს.

იმიტომ, რომ შენც არავისი მოვალე არ უნდა იყო.

და ერთხელაც გიმეორებ: არავის შენი არაფერი მართებს.

ბევრზე უკეთესი შენ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის გამო უნდა გახდე. იმიტომ, რომ, თუ ეს შენ გამოგივა, იმ დანარჩენებს სურვილი ექნებათ, იყვნენ შენს გვერდით, მოუნდებათ, რასაც მათთვის გაიღებ, სანაცვლოდ დაგიბრუნონ. მაგრამ თუ ვიღაც-ვიღაცებს შენთან ყოფნა არ მოუნდებათ, მიზეზს საკუთარ თავში ნუ მოიძიებ. თუ ეს მაინც მოხდება, მოსინჯე სხვა ურთიერთობები და მავანთა პრობლემა საკუთრად არ მიიჩნიო.

და მაშინ, როცა შენ გაიაზრებ, რომ გარშემომყოფთა სიყვარული და პატივისცემა შენივე მოსაპოვებელია, შეუძლებლის მოლოდინში უკვე აღარ იქნები, არ გაგიცრუვდება იმედები. სხვა არავინაა ვალდებული, გაიღოს შენთვის საკუთარი „მე“-ს ნაწილი, გაგიზიაროს გულისნადები, შეხედულებები. და თუ ამას ისინი მაინც გააკეთებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ეს დაიმსახურე. მაშინ უფლება გექნება, იამაყო მეგობრების სიყვარულით, მათი გულწრფელი დამოკიდებულებებით, იმით, რაც შენ მართლაც დაიმსახურე.

მაგრამ არასოდეს და არავისგან ყოველივე ეს აუცილებელ პირობად, ვალდებულებად არ მიიჩნიო.

თუ ასე მოიქცევი, შენს ირგვლივ ყველას დაკარგავ. ისინი „არანაირი სამართლით შენები“ არ არიან, ადამიანების „დაუფლებასა“ და „მოპოვებას“ თითოეული დღით უნდა ცდილობდე.

თითქოს მთის სიმიძიე მომეხსნა მხრებიდან, როცა აღმოვაჩინე, რომ არავის ჩემი არაფერი მართებდა. ვიდრე მეგონა, რომ ჩემზე, როგორც ერთ-ერთი მსხვერპლის თავზე, ლამის, გოდების ზარს აქუხებდნენ, ფიზიკური და ემოციური შესაძლებლობების უდიდესი მარაგი მეხარჯებოდა იმ ვითომ „ჩემივე კუთვნილის“ მისაღებად.

მაგრამ სინამდვილეში არავინ იყო ჩემს წინაშე ვალდებული, თავისი დამოკიდებულებით ყოფილიყო თვინიერი, გამოეხატა პატივისცემა, მადლიერება, თავაზიანობა, ჩემს გამო დაეხარჯა, თუნდაც, გონებრივი რესურსი.

და მაშინ, როცა ამას მივხვდი, გაცილებით მეტი უკუგება მივიღე ჩემი ყველა ურთიერთობიდან; ამასთან, ფოკუსირება მოვახდინე სწორედ იმ ადამიანებზე, რომელთაც სურდათ, გაეკეთებინათ ის საქმე, რაც მათგან მჭირდებოდა, რასაც ვითხოვდი, და ამან კეთილი სამსახური გამიწია – მეგობრებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან, შეყვარებულებთან, რიგით გამყიდველებთან თუ, ან, თუნდაც, უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას.

მე ყოველთვის მახსოვს, რომ იმას, რაც მჭირდება, მხოლოდ მაშინ მოვიპოვე, თუ შევალწეე ჩემი თანამოსაუბრის სამყაროში. მე უნდა ვიაზროვნო ისე, როგორც ის ფიქრობს, უნდა ვიცოდე, რას მიიჩნევს ის არსებითად ან, ბოლოს და ბოლოს, რა სურს მას.

მხოლოდ ამ გზით შემიძლია, მივიღო ის, რაც საჭიროა ჩემთვის. გაუფგებ რა სხვას, მხოლოდ მაშინ შემიძლია, ვთქვა, სინამდვილეში რა მჭირდება მისგან.

არ არის ადვილი, ამ წერილში შევაჯამო ყველაფერი ის, რის გაგებასაც წლები მოვანდომე. მაგრამ, უნდა იცოდეთ, თუ ამ წერილს ხშირად გადაიკითხავ, მისი მნიშვნელობა თანდათან ნათელი გახდება შენთვის.

ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. რაც მთავარია, იმთავითვე უნდა შეიმეცნო ჩემი შეგონება:

ძვირფასო, არავის შენი არაფერი მართებს!



პაპაქანი, ეპი ჭაყანი



ანი ანდრონიკაშვილი

ნელს ბოხს (1885-1962 წ.წ.) - ედიეს დანიელ მეცნიერს, თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ახაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორს, 20-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს, ნობელის ჰემიის დაუხედაც - მთელი მსოფლიო კახად იცნობს.

II მსოფლიო ომის დროს ბოხი საცხოვრებლად გადავიდა ჯერ ინგლისში, შემდეგ კი აშშ-ში, სადაც, ასევე, მომავალში ნობელის ჰემიის დაუხედაცთან, თავის ვაჟთან, ოგე ბოხთან ერთად მუშაობდა მანჰეტენის ჰემიქსზე.

1961 წლის 9 მაისს მოსკოვში, შეხვეტიევის აემოპოხტში ჩამოსუდ ნელს ბოხს, სხეებთან ერთად, დახვდა აკადემიკოსი - ელეფთერ ანდრონიკაშვილი.

მოსკოვის შემდეგ დანიელ ფიზიკოსს გადანიყეტილი ჰქონდა, ცენინგხადში მხევედიოდ უახლოეს მეგობახსა და ჯოლეგას, აკადემიკოსს - ვედიმეხ ფოქს, საბჭოეთისთვის მიულებედ ჰეხსონას, ხომელიც ხელისუფელდაცან იდევენებოდა.

მიანოდეს ჯიდეც სტუმახს მცდახი ინფოხმაცია, ფოქი ამეამად შეუძლოდ გიძნობს თავს და საქახთველოში მეუხნალობსო.

თბილისში ჩასვდა ამიკომაც გადანიყეტილა.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ახლო ნათესავი ანი ანდრონიკაშვილი თავის ჰუბელიყაციაში "ნელს ბოხის ქახთული ვოიავი" იგონებს დიდი მეცნიერის საქახთველოში მოგზაუხობის, აქ მილებელი შთაბეჭდილებების ცაღეუდ ფხაგმენცებს, საინტეხესო დეცადებს.

## ნელს ბოხის ქართული ვოიავი

ანი ანდრონიკაშვილი

დიდი დანიელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნელს ბოხი 1961 წლის 9 მაისს მესამედ ჩავიდა მოსკოვში. შერემეტიევის აეროპორტში მას სხეებთან ერთად დახვდა ელეფთერ ანდრონიკაშვილი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც საპატიო სტუმარი საქართველოში მიიწვია.


„თქვენთვის საინტერესო იქნება, ერთმანეთისთვის შეგედარებინათ მეცნიერების განვითარების შესაძლებლობანი ორ პატარა ქვეყანაში, საქართველოსა და დანიაში – სოციალისტურსა და კაპიტალისტურში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობაც თანაბარია“, – უთქვამს მაშინ სტუმრისათვის ქართველ მეცნიერს.

ელეფთერ ანდრონიკაშვილი იგონებს:

„1961 წლის 14 მაისის საღამოს თბილისელმა ფიზიკოსებმა აეროპორტი აავსეს. რეაქტიული თვითმფრინავის ძრავების გრუხუნმა გვამცნო იმის შესახებ, რომ ღრუბლებიდან ჩვენს მინაზე ეშვება თანამედროვე ფიზიკის დმერთი, ყველაზე დიდი დიდთა შორის – ნელს ბოხი... შავებში გამოწყობილმა მაღალმა ფიგურამ, ხელში წვრილი შავი ქოლგით, თავი დახარა და გამოვიდა ტრაპის ზედა ბაქანზე. ამ დროს გაისმა ტაშისცემა და აღფრთოვანებული შეძახილები: „ბოხი! ბოხი!“ მან კი თავი უკან გადასწია, რათა დამხვედრი ხალხისთვის შეეხედა სქელი წარბებიდან, მხედველობას რომ უფარავდა. ბოხის მისასალმებელმა შესტმა ტაშიც გააორმაგა. მერე ხელი გამომიწოდა და მითხრა:

– ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნება, ერთმანეთს შევადარო ორი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის განვითარების პირობები, ქვეყნებისა, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა თანაბარია და რომლებიც ასეთი განსხვავებული სოციალური კანონებით ცხოვრობენ“.

ნელს ბოხს თან ახლდნენ მეუღლე მარგარეტი და ვაჟიშვილი ოგე, ასევე, მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის



ნელს ბოხი

დარგში (ისიც ცოლთან ერთად იყო). საპატიო სტუმრები აეროპორტის სამთავრობო აპარტამენტებამდე მიაცილეს, რათა ვიზიტის პროგრამა განეხილათ.

დიდმა მეცნიერმა პროგრამიდან ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის ამოშლა ითხოვა. ამავე დროს, ელევთერ ანდრონიკაშვილს უთხრა, რომ სიამოვნებით ეწვეოდა მას სახლში, რათა საოჯახო გარემოში ესაუბრათ. შემდეგ სტუმრები სასტუმრო „ინტურისტში“ მიიყვანეს და ვახშამი შესთავაზეს.

– თუ ღმერთი გნამთ, არავითარი ვახშამი! – წამოუძახია ნილს ბორს, – მხოლოდ ორი ბოთლი მინერალური წყალი!

ელევთერ ანდრონიკაშვილმა დანიელი სტუმრები სადილზე შინ მიიწვია. მას ოჯახი არ ჰყავდა, მაგრამ ამის შესახებ ნილს ბორისთვის არაფერი უთქვამთ და დროებით შერთეს „მეუღლე“, ფიზიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა, ლამაზი თანამშრომელი (რომელზეც ის შემდეგ მართლაც დაქორწინდა). „დასახლისმა“ სახლი მოაწესრიგა და სტუმრების მისაღებად ყველაფერი მოამზადა.

ელევთერ ანდრონიკაშვილის მოგონებებიდან:

„ნილს ბორის სახელი ყველასთვის სათაყვანებელი იყო და დამსწრეთაგან საუბრის ინიციატივას ვერავინ იღებდა. მაგრამ, როგორც კი სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ, ვითარება გამოსწორდა: ვილაცას ნაექცა ჭიქა, ნითელი ღვინით სავსე. შემფოთებულმა ხელები აიქნია და ბოკალს ბოთლიც მიაყოლა.

– შენ ხომ ყოველთვის რაღაცა უნდა დაგემართოს! – გაუწყრა მეუღლე დამნაშავეს.

დაიწყო სადღეგრძელოები. როდესაც წვნიანი შემოიტანეს, ჩემგან მარჯვნივ მჯდომი ნილს ბორი წამოდგა და საუბარი დაიწყო. ამ დროს ხელებით მაგიდას ეყრდნობოდა. რაც მეტს ლაპარაკობდა, მაგიდასაც უფრო ძლიერად ეყრდნობოდა.

უცბად გაუგებარი რამ მოხდა: ოვალურ გასაშლელ მაგიდასთან ნილს ბორის პირდაპირ მჯდარი აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, რომელიც ერთი წუთის წინ მშვიდად მიირთმევდა წვნიანს და კოვზი პირისკენ მიჰქონდა, ახლა მოულოდნელად თევზის დონეზე აღმოჩნდა, თითქოს უეცრად ძალიან დაბალ სკამზე გადაინაცვლაო... კიდევ ერთი წამიც და ყალყზე შემდგარ მაგიდაზე ჭურჭელი დაცურდა... ნილს ბორმა მშვიდად დაიწყო მისკენ დაცურებული ჭურჭლის უკან

დაბრუნება, თან ისე, რომ არც სიტყვა გაუწყვეტია და თანაც ისევ მაგიდას აწვებოდა, უფრო და უფრო მეტი ძალით...

მომხდარის „მექანიკა“ მალე გასაგები გახდა: მაგიდა შეცდომით მხოლოდ ცალ მხარეს გაეშალათ, იმ მხარეს კი, სადაც მე და ბორი ვისხედით, ბრჯენი არ ჰქონია. როგორც კი საქმის ვითარებაში გავერკვიე, უმაღლვე გამოვნახე გამოსავალიც: მუშტი მუშტს დავადე და ორივე ჩემს მუხლებსა და მაგიდის თავს შორის შევუყენე“...

როდესაც ნილს ბორი დაჯდა, მასპინძელმა, ელევთერ ანდრონიკაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ მაგიდას აკავებდა, იხუმრა:

– ახალგაზრდა ქართულმა ფიზიკამ მსოფლიო მეცნიერების ფიზიკურ დანოლას გაუძლო!


ნილს ბორმა დაახლოებით 15-20 წუთი ისაუბრა სტუმართმოყვარე საქართველოს შესახებ, შეაქო საუნივერსიტეტო განათლება.

და მთელი ამ დროის მანძილზე სახლის პატრონი მაგიდის ქვემოდან „ანონასწორებდა“ ჯამ-ჭურჭლითა და საჭმელ-სასმელით დამძიმებულ სუფრას.

თეთრ სუფრაზე დაღვრილი ღვინის ლაქა კი უკვე აღარავის



ელევთერ ანდრონიკაშვილი



ოგე ბორი –  
ნილს ბორის ვაჟიშვილი



ახსოვდა. შემდეგ იყო საუბარი „ხვანჭკარის“ ღირსებებზე, რომლის ერთ ბოთლს გენიოსი ფიზიკოსი მარტო ცლიდა, ასევე, ნიკო ფიროსმანზე, ქართულ ეროვნულ ხელოვნებაზე, საერთოდ, კულტურაზე.

მეორე დღეს სტუმარი კახეთში წაიყვანეს. იქ წინასწარ გაგზავნეს სატვირთო მანქანა, რომელსაც მიჰქონდა მაგიდები და სკამები, ცხვრის ხორცი სამწვადედ, ღვინო, ხილი, ლიმონათი, ქვაბით ჩიხირთმა, ლობიო ნიგვზით, ბადრიჯანი.

კახეთში XVI საუკუნის შუამთის მონასტერი დაათვალიერეს; ასევე, იყალთოს ტაძრის ნანგრევები, სადაც XII საუკუნეში ქართული აკადემია მოქმედებდა და სადაც, გადმოცემით, შოთა რუსთაველი სწავლობდა. უცბად ქართული სიმღერა მოესმათ. ნილს ბორი დაინტერესდა:

– ეს რა არის?

აუხსნეს, რომ ხის ქვეშ ქართველი გლეხები ქეიფობენ. მეცნიერმა მათი გაცნობა ისურვა.

დაახლოებით 10 კაცი, უმეტესად, ხანდაზმულები, მონყობილიყვნენ ხალიჩის ირგვლივ, რომელზეც საჭმელი, დოქები და თასები ელაგა. თავში, ღვინის ცარიელ პატარა კასრზე, თამადა იჯდა... სტუმრების დანახვაზე ის წამოდგა, მისალმებაზე უპასუხა და იკითხა:

– ვინ არიან ეს უცხოელები?

– ეს ყველაზე დიდი მეცნიერი – ნილს ბორია... – დაიწყო განმარტება ერთ-ერთმა თანამგზავრმა. თამადამ მოსაუბრეს ხელის მოძრაობით გაჩერება ანიშნა.

– მეგობრებო, – მიმართა მან მისი სუფრის წევრებს ქართულად, – ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა მსოფლიოში ყველაზე დიდი მეცნიერი, პროფესორი ნილს ბორი. მან შექმნა ატომური ფიზიკა. მის მიერ შექმნილ მოსწავლეები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ითვისებენ. იგი ჩვენთან დანიიდან ჩამოვიდა. ვუსურვოთ პროფესორ ბორს და მის თანამგზავრებს დიდხანს სიცოცხლე, ბედნიერება და ჯანმრთელობა...

როდესაც თამადის სიტყვები ნილს ბორს ინგლისურად უთარგმნეს, არ დაიჯერა: ნუთუ რომელიღაც მივარდნილ ქართულ სოფელში იმდენად გათვითცნობიერებულნი არიან, რომ ამდენი რამ იციან უცხოელი ფიზიკოსის შესახებ; ჩათვალა კიდევ, რომ რაღაც სპექტაკლი თამაშდებოდა. ელფეთერ ანდრონიკაშვილს პატიოსნებაც კი დაუფიცია, აქ საგანგებოდ არაფერი მოგვიწყვიათ.

– ვინ არის ეს კაცი? – იკითხა დიდმა ფიზიკოსმა.

– ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი,

– უპასუხეს მას, – ფიზიკის მასწავლებელი...

– თუ ეს სიმართლეა, – განაგრძო ნილს ბორმა, – მაშინ აინშტაინის განტოლება დაწეროს!

– კეთილი, – თქვა სკოლის მასწავლებელმა და ქალაქის ნაგლეჯზე ფორმულა დაწერა, – თუ გნებავთ, შრედინგერის განტოლებასაც დაწერ...

მოკლედ, გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. შემდეგ სუფრის ერთი წევრი – დაბალი ტანის მოხუცი კახური ნაბდის ქუდი – წამოდგა და დიდ მეცნიერს მიუახლოვდა. იგი დაიხარა, ფრთხილად აიღო მისი ხელი და აკოცა. ჩამოგორებულმა ცრემლმა ნილს ბორს სახე დაუსველა. ღრმად ჩაფიქრებულს ვიღაცამ ღვინის სასმისი მიანწოდა, გამოართვა და ჩუმად შესვა.

გლეხებთან გამომშვიდობების შემდეგ სტუმრები სადილად მიიწვიეს. მაგიდა ღია ცის ქვეშ იყო გაშლილი. წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს, გაისმოდა აღტაცებული შეძახილები, ლაპარაკობდნენ მეგობრობაზე. როდესაც ერთ-ერთმა ხელი წაიღო „ხვანჭკარის“ ბოთლისკენ, რომელიც ნილს ბორის წინ იდგა, მეცნიერმა თქვა, ეს ჩემი ბოთლიაო და იგი გამონვდილი ხელიდან მოშორებით გადადგა:

– საუცხოო ღვინოა, მე ის ჯერ კიდევ გუშინ მომეწონა თქვენთან სადილის დროს!

შემდეგ კი, როდესაც ტყეში მხიარული ნადიმი უკვე მთავრდებოდა, ხოლო ის ყველასთვის



მარგარეტ და ნილს ბორები ელფეთერ ანდრონიკაშვილთან (შუაში) ერთად. თბილისში სტუმრობის დროს



მოულოდნელად ადვილად ცლიდა მისი მოწონებული „ხვანჭკარის“ უკვე მეორე ბოთლს, ყველამ გაიგონა ბორის დაბალი ხმით წარმოთქმული სადღეგრძელო:

– დღევანდელი მოგზაურობისას მე ვტკებობდი თქვენი ულამაზესი მწვანე ველებითა და მათ თავზე წამომართული თოვლიანი მწვერვალებით. დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენმა შესანიშნავმა, გასაოცარმა მელოდირმა სიმღერებმა. ამ ბუნებამ და ჰანგებმა მომაგონა შორეული შოტლანდია, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან ჰგავს თქვენს მხარეს და, ალბათ, ამიტომ გამახსენდა შოტლანდიური ლეგენდა, რომელიც, მინდა, თქვენც გაამბოთ...

– მთებში მივარდნილი პატარა შოტლანდიური სოფლის მცხოვრებლებმა იცოდნენ ერთი სიმღერა, რომელიც ძალიან უყვარდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში იგი თანდათან მივიწყეს. ერთ მშვენიერ დღეს ამ სოფელში მოხეტიალე მუსიკოსი გამოჩნდა. უცნობს მთელი სოფელი შეევედრა – მათი „დაკარგული სიმღერა“ შეესრულებინა. მუსიკოსმა აღიარა, რომ იცნობს ამ ჰანგებს, მაგრამ ეშინია, ვაითუ, სიმღერამ სოფელს დიდი უბედურება მოუტანოსო. ხალხი მაინც დაჟინებით ითხოვდა თავისას... თხოვნა შეუსრულა. მეორე დღეს ამ სოფლის ყველა ახალგაზრდა სალაშქროდ გაემზადა... ისინი მთელს დედამიწაზე მიმოიფანტნენ, რომ ხმლებით ხელში შებრძოლებოდნენ დაუნდობელ ურჩხულთ, რომელთაც მზეთუნახავები ჰყავდათ გამომწყვდეულნი.

მალე სოფელში არც ერთი მამაკაცი აღარ დარჩა. მაგრამ სიმღერა ხომ მოისმინეს!

ნილს ბორმა უკანასკნელი წინადადება რიხით წარმოთქვა და განაგრძო:

– ახლა ყველამ იცის, რომ ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია; მაგრამ ჩვენს დროში ადამიანმა თავად შექმნა ახალი, სავსებით რეალური ურჩხულები, გაცილებით უფრო სასტიკნი და საშიშნი. ეს ახალი ურჩხულები მთელ კაცობრიობას განადგურებით ემუქრებიან. და მათთან ბრძოლა ხმლებით შეუძლებელია. მათთან საბრძოლველად ყველა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს რეალობა. ისინი უნდა შეკავშირდნენ ამ ბრძოლისათვის... ხალხმა უნდა მიაღწიოს მტკიცე მშვიდობას. თქვენი შესანიშნავი სიმღერები გვაუწყებს, რომ თქვენ ის ხალხი ხართ, ადამიანის ხელით შექმნილ ურჩხულებთან რომ იბრძოლებს!

მეორე დღეს ყველანი ერთად ფიზიკის ინსტიტუტს ეწვივნენ, დაათვალიერეს ლაბორატორიები. როდესაც ლიფტით ჩამოდიოდნენ, კარი კი დაიხურა, მაგრამ კაბინა ადგილზე გაიყინა.

„თავისი სიცოცხლის 76 წლის მანძილზე ლიფტში პირველად გაჭედებულმა ნილს ბორმა მორალური ტრავმა მიიღო, – იხსენებს ელფეთერ ანდრონიკაშვილი, – მან იდაყვში ხელი მტაცა და რალაც გაურკვეველი და



ნილს ბორი და ალბერტ აინშვთინი

შეშინებული ბგერები გამოსცა. მე ლილაკებს ვაჭერდი – ყველას, რაც იყო... ბორი ახალ-ახალ ბგერებს გამოსცემდა, მისი თითები სულ უფრო მეტად მიჭერდნენ მხარში. ლიფტის გარეთ დაახლოებით ათი კაცი თავზარდაცემული იდგა და არ იცოდა, რა ელონა. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ, როგორც იქნა, ძირს დავეშვიტ“.

...დანიასი დაბრუნების შემდეგ დიდმა ნილს ბორმა თბილისში ასეთი შინაარსის წერილი გამოგზავნა:

„ძვირფასო პროფესორო ანდრონიკაშვილო! საქართველოს დღეები ყველა ჩვენგანისთვის ჭეშმარიტად საუცხოო იყო და ჩვენ თან წამოვიღეთ დაუფინყარი შთაბეჭდილებანი თქვენი ქვეყნის სილამაზის, უძველესი ძეგლებისა და ხალხის სულის შესახებ...“

P.S. მახსოვს, ჩამდენ ჩამეს მიყვებოდა ჩემი ბაბუა, იევაზ ანდრონიკაშვილი ელფეთი ანდრონიკაშვილის - ამ სახელოვანი პიროვნების შესახებ; ძალიან უყვარდა და ჰაკივს სცემდა, მაგჩამ მის ძმას, იხაკი ანდრონიკოვს ვეი ჰაკიობდა, გვახი ხომ გადაიყეთა... თუმცა მე იხივე ძალიან მიყვარდა!



წინო თარიღვილი

ჩემს ცოლებს

ვიცი, რომ მზითვად  
 არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“,  
 არც წასაღებად  
 დაკეცავენ ქირმანის შალებს,  
 არც ქართულ კაბას  
 ჩამაცმევენ ჯვრის დასანერად,  
 არც ვერცხლის ქამარს  
 მომავლებენ დარდიან წელზე.  
 ცაში ოთახი განათდება იაპონურად,  
 ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე  
 და მრავალ წერილს გამაყოლებთ გზის საპოვნელად;  
 მრავალ მოკითხვას დაუხვდები, ვით მკვდარ მიმოზებს.  
 დავიძალეები სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,  
 დიდი იქნება აღტაცება სხივგამართული...  
 უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები,  
 და სადღეგრძელოს მოიტაცებს  
 სიტყვა ქართული.  
 ნამჯისფერ სხივებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი,  
 გულის პასუხი ყარამფილებს\* ველარ დაყნოსავს  
 და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,  
 რადგან მზითევში არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.



1926 წელი

მინიატურა

კაქტუსი

ნარგიზა ბენიძე

ეს პატარა კაქტუსი ჩემმა მეგობარმა სოხუმიდან ჩამომიტანა, თან მითხრა: „შენს აივანზე მოვტეხე, კიდევ ცოცხალია“. ეს იყო 1999 წელს.  
 ვუვლიდი, ვეფერებოდი, ვფიქრობდი, თუ კაქტუსი აყვავდებოდა, ჩვენ სოხუმში დავბრუნდებოდით. გავიდა თორმეტი წელი, კაქტუსი ერთხელაც არ აყვავებულა.  
 იმედს არ ვკარგავდი, ველოდებოდი კაქტუსის აყვავებას, ამიტომ სოხუმიდან შემთხვევით ჩამოტანილი კაქტუსი ჩავდე ჩანთაში. ასე აღმოჩნდა ის ამერიკაში ჩემთან ერთად.



ადვილად შეეჩვია ჩვენი პატარა მცენარე ახალ სამყოფელს აქ, ქალაქ ფილადელფიაში. აყვავებისა კი რა მოგახსენოთ?!. გავიდა სამი წელი. კაქტუსი კვლავ ჯიუტად დუმდა. ამასობაში მე გადავიღალე. ვფიქრობდი, არაფერი აღარ მინდა, აღარც კაქტუსის აყვავებას ველი, ჩემთვის უკვე სულ ერთია, სად ვიყავი, სად ვარ, სად ვიქნები-მეთქი.  
 და საოცრება. ერთ მშვენიერ შემოდგომის მზიან დღეს, აყვავდა კაქტუსი. ნახეთ, რა საყვარელია. მიხარია ამ პატარა მცენარის ფესვები სოხუმიდან მოდის.  
 მსოფლიოს ყველა კუთხეში გაბნეულო ჩემო სოხუმელებო, აფხაზეთის მკვიდრო! თქვენია ეს კაქტუსი, თქვენც გეკუთვნით და თუ ჩვენ აფხაზეთში ვერ დავბრუნდით, სადაცა ხართ, იქ იხარეთ, იქ გამრავლდით! და მაინც გახსოვდეთ: კაქტუსი აყვავდა!

მარად თქვენი ნარგიზა ბენიძე





XIX ს.-ის 90-იან წლებში ქუთაისში მსახურობდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ილია ჭყონია. სწორედ იმ პერიოდში გაიცნო მან ქუთაისში მცხოვრები მაჭუტაძეების რძალი, ინგლისელი – ანა ტარსეი, რომელიც გათხოვებამდე (ის იყო ქუთაისელი დიმიტრი მაჭუტაძის მეუღლე), წლების მანძილზე, ცხოვრობდა დიდი რუსი მწერლის, ლევ ტოლსტოის ოჯახში და მის შვილებს ასწავლიდა ინგლისურ ენას. ილია ჭყონიას ანა ტარსეი-მაჭუტაძისგან ჩაუნერია მეტად საგულისხმო ამბავი:



დიმიტრი მაჭუტაძის ოჯახი. მარცხნიდან: მინი, ანა და ჯენი მაჭუტაძეები

ლევ ტოლსტოის ნაბრძანები ჰქონდა, სამუშაო კაბინეტის დალაგებისას მოსამსახურეები არ გაკარებოდნენ მის სანერ მაგიდას (იმ დროს იქმნებოდა თურმე გენიალური „ომი და მშვიდობა“).

– ამიტომაც, მწერლის მაგიდას ყოველთვის ან გრაფის მეუღლე, ან მე ვწმენდით ხოლმე, – იხსენებს მაჭუტაძის მეუღლე.

ერთ-ერთ მოსამსახურეს დავინწყებია მწერლის მითითება სამუშაო მაგიდის შესახებ და ნიგნებთან ერთად „მიულაგებია“ ფურცლებიც. რამდენიმე საათის შემდეგ კაბინეტში შესულმა მწერალმა აღმოაჩინა, რომ სამუშაო მაგიდიდან გამქრალიყო წინა სალამოს დასრულებული, ჩასწორებებით აჭრელებული ერთი გვერდი. აწრიალდა ოჯახი, შეწუხდა მოსამსახურე გოგონაც; იფიცებოდა, კაბინეტიდან გახვეტილ ნაგავს ქალაღდის ნაკუნიც არ გაჰყოლიაო.

ორი დღე უშედეგოდ ეძებდნენ ნაწერს. ტოლსტოის უთქვამს, ის ფურცელი უნდა მოიძებნოს, რომანს ვერ ვაგრძელებო.

– მესამე დღეს ეზოში ვსეირნობდი, – იგონებს ანა ტარსეი-მაჭუტაძე, – თვალი მოვკარი სანაგვე ყუთს. მივალ, იქაც მოვიძიებ-მეთქი, გავიფიქრე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ვნახე, რასაც ვეძებდი! სასწრაფოდ მივირბინე გრაფთან და მივართვი ეს მისთვის ძვირფასი ფურცელი. მან გაბრწყინებული თვალებით შემომხედა: „გმადლობთ, მისს! იცოდეთ, რომ დღეს თქვენ რუსულ ლიტერატურას „ომი და მშვიდობა“ გადაურჩინეთ!“

## ერთხელ

## ერთხელ

1911 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ დაასრულა ქუთაისის გიმნაზია და სწავლის გასაგრძელებლად ჯერ პეტერბურგში, მალევე კი ჩავიდა გერმანიის ქალაქ კენიგსბერგში (სადაც დაიბადა და რომელსაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არ გასცილებია ფილოსოფიის ტიტანი – იმანუელ კანტი).

კონსტანტინემ აქ ერთი სემესტრი დაჰყო, ვინაიდან ქალაქის პოლიცია უცხოელ და, განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ სტუდენტებს ეჭვის თვალთ უყურებდა. თანაც, მას ერთი არცთუ სასიამოვნო ფათერაკიც გადახდა.

იმ სალამოს კონსტანტინე ორ მეგობართან ერთად კაფე „იმპერატორში“ შევიდა ლუდის დასალევად. იქვე ლოთობდნენ არისტოკრატთა წრის სტუდენტები, რომელთათვის მოდადაც კი იყო ქცეული მუდმივი დებოშები, დუელები. თანამეინახეთა შორის იჯდა ვიღაც ლამაზმანი, რომელმაც თვალებით აშიკი და მანჭვა გაუმართა უცხო ქალაქში მოხვედრილ აბაშელ ბიჭს. ნასვამი ახალგაზრდები იმდენად გათავზედნენ, რომ კონსტანტინეს იქით აუშარდნენ, როგორ ეარმიყები ჩვენს ქალიშვილსო. ბოლოს, ორი ამხანაგიც მიუგზავნეს, დუელში გინვეეთო. ქართველი სტუდენტი გაცხარდა და პისტოლეტით დუელი შესთავაზა. მათ კი დაიჩემეს, რაპირებით\* ვიბრძოლოთო.

მეორე დღეს, ზუსტად პირველ საათზე, დათქმულ ადგილზე გერმანული სიზუსტით გამოცხადნენ დუელიანტები – ქართველი კონსტანტინე გამსახურდია და გერმანელი – კურტ ფონ იქსიკიული, სეკუნდანტებთან ერთად. დუელი შედგა რაპირებით და ახალგაზრდები თითო-თითო ჭრილობის მიყენების შემდეგ, დაზავდნენ. ამ დღიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქართველი მეცნიერი ნოდარ გრიგალაშვილი დაწერს:

„არ ვიცი, ვინ იყო და რა კაცი დადგა ეს კურტ ფონ იქსიკიული, მაგრამ ის კი ბედის მწარე ირონია იქნებოდა, ასე უბრალოდ, ერთი გაურკვეველი ვინაობის ლამაზმანის გამო დუელის მსხვერპლი გამხდარიყო 20 წლის კონსტანტინე გამსახურდია და ქართულ ენაზე აღარ შექმნილიყო „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“...“



კონსტანტინე გამსახურდია (მარჯვნივ) მეგობრებთან ერთად ტავერნაში.\*\* ქ. კენიგსბერგი

\* – საჩხვლეტი იარაღი; აქვს გრძელი და მოქნილი, ოთხნახნაგოვანი პირი.

\*\* – 100 წლის წინანდელი ეს უნიკალური ფოტო ერთ-ერთმა კერძო კოლექციონერმა შეიძინა „მშრალ ხიღზე“.



## ირლანდია - ზურმუხცის კუნძული

### ეთნიკური საფუძველი – კელტები\*

ირლანდია - თავისუფლებისმოყვარე ირლანდიელებით დასახლებული ქვეყანა და ბიტიანეთის აქტიუზის\*\* უდიდესი, სიმწვანეში ჩაფლული კუნძული. "ზურმუხცისუბანი კუნძული" მისი ქვეყანას მოიცავს. კუნძულის დიდი ნაწილი უჩიხავს ირლანდიის ხესპერსიკას (4,5 მლნ მოსახლეობით; დედაქალაქი - დუბლინი), ჰაჰაჰა კი - გაერთიანებულ სამეფოში შემავალ ჩრდილოეთ ირლანდიას ანუ ოლსტერს (1,8 მლნ ადამიანით; დედაქალაქი - ბელფასტი).

ქვეყნის პიხველი მცხოვრებლები იყვნენ შავიზღვისპიხეთიდან მოსული ელეტა ტომები, ხომელთაც მისცეს კუნძულს სახელწოდება - "ეიხნი". ხომელებმა კი, ხოგოიხ ცნობილია, უწოდეს მას "ჰიბერნია". აიხს ეთი ვეხსიაც: ხომ ირლანდიელები აიხიან პიხინეს ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის - იბეიელების წინაპრები. 4.000 ათასი წლის წინათ გამოიყვეთა ელეტებისა და ირლანდიელი ხალხის ეთობლივი გენომის (გენების კომპლექსი) ეთნიკური საფუძველი. ირლანდიას "ზურმუხცისუბანი კუნძული" უხვი წვიმების შედეგად ნახმოქნილი ხასხასა, მწვანე საფაიხის გამო შეაქვეს.

### წოდების გზებით

ძველი ირლანდიელები ცხოვრობდნენ ცალკეულ ტომებად. დაახლოებით 430 წელს წმინდა პატრიკმა მათ შორის გაავრცელა ქრისტიანობა. უკვე VI ს.-დან ირლანდია გადაიქცა დასავლური სწავლულებისა და მეცნიერების ცენტრად. VIII ს.-ში ნორმანებმა\*\*\* და დანიელებმა დაიწყეს თარეში ირლანდიის მიწაზე. XII ს.-დან ირლანდიის ბედი მრავალი ასწლეულის განმავლობაში ინგლისელთა ხელშია. ე.წ. ველური ირლანდია, როგორც მას უწოდებდნენ ინგლისელები, გადაიქცა უწესრიგობისა და გაჩანაგების არენად. ინგლისელები 800 წლის მანძილზე ცდილობდნენ, როგორმე გაეტყხათ ირლანდიელი ბელადების თვითნებობა.



სიმწვანეში ჩაფლული ირლანდია

1649 წელს ინგლისელი გენერალი კრომველი მრავალრიცხოვანი და გამოცდილი ჯარით მოვიდა ირლანდიაში, იერიშით აიღო ქალაქები და ბრძანა, უმონყალოდ დაეხოცათ მოსახლეობა. 9 თვეში კრომველმა დაიმორჩილა თითქმის მთელი კუნძული. ცდილობდა, ჩაეხშო ირლანდიელთა სწრაფვა თავისუფლებისკენ.

გაერთიანებულმა სამეფომ თავისი მაინც გაიტანა და 1801 წლიდან ირლანდია ოფიციალურად დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს ნაწილად

იქცა. შიმშილობისა და სიღარიბისგან თავი რომ დაეღწიათ, მრავალი ირლანდიელი გადასახლდა ავსტრალიაში, კანადასა და შეერთებულ შტატებში (დღეს დაახლოებით 3,5 მლნ ამერიკელი თვლის, რომ ირლანდიური წარმომავლობა აქვს).

მთელი XIX ს. ბრძოლა იყო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სხვადასხვა დროს შეიქმნა რადიკალური პარტიები „სახალხო პარტია“, „ირლანდიელთა ერთიანი კავშირი“, „ახალი ირლანდია“, „საიდუმლო საზოგადოება“, „დაუმორჩილებლები“. მათი მიზანი იყო ანარქიული აჯანყებები, ტერორისტული აქტები, პოლიტიკური შეურიგებლობა, საბოლოოდ კი, ირლანდიის გამოყოფა ინგლისისაგან. ირლანდიელები არ ეუბებოდნენ მჩაგვრელებს.

საბოლოოდ, 1921 წელს სამხრეთ ირლანდიამ მიიღო დომინიონის სტატუსი. ჩრდილოეთი კი, ერთ დროს ინგლისისგან დამოუკიდებელი, შეუერთდა დიდ ბრიტანეთს. 1937 წელს სამხრეთ ირლანდია გახდა თავისუფალი ქვეყანა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურად მაინც ინგლისის მეფე ითვლებოდა. მხოლოდ 1949 წლიდან მას მართავს დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი პრეზიდენტი.

### თავისუფლებისმოყვარე და სტუმართმოყვარე

ოფიციალური ენა ირლანდიაში ირლანდიურია, რომელიც ეფუძნება კელტურს. მართალია, ქვეყნის ყველა მცხოვრები მეტყველებს ინგლისურზე, ის მაინც მეორე ოფიციალური ენაა. ირლანდიური ენის თავისებურებაც ისაა, რომ ინგლისური სიტყვები ირლანდიური მახვილით გამოითქმის.

ის, ვინც ფლობს ირლანდიურს, ატარებს საგანგებო სამკერდე ნიშანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ

42 \* – ინდოევროპული ტომები, დასახლებულნი ჩვ.წ.ალ.-მდე I ათასწლეულის დასაწყისში თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე. \*\* – ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი. \*\*\* – ჩრდილოგერმანული ტომები, რომლებიც VIII-XI სს.-ში არბევდნენ ევროპის ქვეყნებს.



ენაზე სხვა მოსაუბრეს შეუძლია, უშუალოდ მიმართოს მას.

თავისუფლებისმოყვარე ირლანდიელებს ეამაყებათ თავიანთი ეროვნება. „გადამეხვიე, მე ირლანდიელი ვარ!“ – მათი პერანგებისა და სუვენირების ტიპიური წარწერაა. „100%-იანი ირლანდიური ნაკეთობა“ – ასეთ ეტიკეტს ნახავთ ძალიან ბევრ საქონელზე, წინდების ჩათვლით.

კამათი – ირლანდიელთა ნაციონალური სისუსტეა. არ ღირს, გამოიწვიო დიალოგში ირლანდიელი, განსაკუთრებით, ნაციონალურ თემაზე. ირლანდიელი მუდამ მზადაა,

თანამოაზრისთვის უკანასკნელი პერანგიც გაიხადოს, ბოლო გროშიც გაიღოს. ნორმალურად ითვლება, როცა რომელიმე კონტინენტზე სტიქიური უბედურებისგან დაზარალებულს ეხმარება, თუნდაც, სოციალურად შეჭირვებული ირლანდიელი.

ირლანდიელები ხომ ძალზე თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ უცხოელებისადმი, განურჩევლად მათი ეროვნებისა. გამონაკლისნი არიან მხოლოდ ინგლისელები, რომელთა მიმართაც ირლანდიელები ფრთხილები და ოდნავ უნდობლებიც კი არიან. ნებისმიერი ადამიანი, სტუმრად მოსული მათ ქვეყანაში, ირლანდიელის წარმოდგენით, მისი პოტენციური მეგობარია; სტუმარს იმდენად გულთბილად ხვდებიან, ის მალევე მათიანად გრძნობს თავს.

ირლანდიაში პოტენციურად ძალიან დაბალია დანაშაულობათა სტატისტიკა, რაც მოგზაურობას ქმნის კომფორტულსა და უსაფრთხოს.



სამხრეთ ირლანდიის დედაქალაქი – დუბლინი

### წმინდა პატრიკის დღე

სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე კულტურული მოვლენაა წმინდა პატრიკის, იგივე, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ – 17 მარტს, დუბლინსა და სხვა მსხვილ ქალაქებში. ამ ფესტივალში მონაწილეობა საუკეთესო საშუალებაა, გაეცნო ნაციონალური კულტურის თავისებურებებს, გაიგო წარსულის მრავალფეროვანი და საინტერესო ისტორიების შესახებ.

როგორც ამბობენ, ამ დღემ გადალახა ნაციონალური საზღვრებიც და იქცა ირლანდიის საერთაშორისო დღედ. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში (აშშ), ბუენოს-აირესში (არგენტინა), მელბურნში (ავსტრალია), ტოკიოში (იაპონია), ახალ ზელანდიაში აღნიშნავენ წმინდა პატრიკის დღეს.

ამ დღეს ქუჩები ივსება ათასგვარი ფერით, ეწყობა სახალხო სეირნობები. განსაკუთრებით, გხვდებათ თვალში მწვანესამოსიანი (ირლანდიელთა ნაციონალური ფერი) მოქალაქეები. ღილის შესაკრავში ყველას გაყრილი აქვს სამყურა, ერთდროულად ირლანდიისა და წარმატების სიმბოლო.

ითვლება, რომ ეს ტრადიცია დაიბადა ირლანდიაში. თუმცა, ნიუ-იორკელები ამტკიცებენ, რომ წმინდა პატრიკის სადღესასწაულო მსვლელობა გაიმართა 1762 წელს, მათ ქალაქში. მაშინ ირლანდია ინგლისის კოლონიად ითვლებოდა და, ადვილი შესაძლებელია, ამ შესვლით ამერიკის მოსახლეობამ მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა მათ მიმართ.

წმინდა პატრიკი დაიბადა IV ს.-ში, მდიდარ ოჯახში. ირლანდიელების გაქრისტიანების გარდა მას მიიჩნევენ, ასევე, კელტებში დამწერლობის

გამავრცელებლად. ირლანდიელები ჰყვებიან, რომ სამყურას სამი ფოთლის მაგალითზე წმინდა პატრიკმა მათ აუხსნა წმინდა სამების არსი. მრევლი ვერაფრით ხვდებოდა, როგორ შეიძლებოდა, უფალი ყოფილიყო სამი სახით, როგორც სამყურას ფოთოლი სამი ნაწილით.

სამყურა, როგორც წარმატების სიმბოლოც, ირლანდიაში უმაღლესი სასწავლებლების, სამხედრო ნაწილების, სპორტული ჯგუფების, კიდევ სხვა არაერთი ორგანიზაციის ემბლემაცაა.

სამყურას ფოთოლი უბრალოდ კი არ ამშვენებს ირლანდიის რაგბის კაპიტრისა და ნაკრების ტანსაცმელს,



წმინდა პატრიკის დღესასწაული



ქორნილში დაუპატიჟებელი „ჩალის ბიჭუნები“

ფორმაზე გამოსახული სამყურის გამო მისი გამოჩენის დროიდან, ანუ 1874 წლიდან, ირლანდიის რაგბის ნაკრებმა ზედმეტსახელად „სამყურები“ მიიღო. ირლანდიის რესპუბლიკამ წმინდა პატრიკის სამყურა დაარეგისტრირა, როგორც მისი კუთვნილი სავაჭრო ნიშანი და მთავარი ჰერალდიკური სიმბოლო.

### აფათები, ასე საინტერესო

წითურა ირლანდიელების უცნაური და მხიარული ტრადიციები, ჩვევები, თავისებურებანი მთელს მსოფლიოშია ცნობილი. მაგალითად, მისალმებისას ირლანდიელები ერთმანეთს უწევენ საჩვენებელ თითს. საინტერესოა „ყველა წმინდანის დღე“, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 31 ოქტომბერს.

უფრო კონკრეტულად შევჩერდებით კიდევ ზოგიერთ ადათზე:

#### დაბადების დღე – ფეხებით ზევით

ესაა ძველი ირლანდიური ტრადიცია, რომელიც საკმაოდ პოპულარულია დღესაც. ამ უცნაური პრაქტიკით ყოველ დაბადების დღეს ბავშვს იჭერენ ფეხებით მაღლა და თავით მსუბუქად იმდენჯერ ურტყამენ იატაკზე, რამდენი წლისაცაა, პლიუს ერთიც\*. ის ერთი დარტყმა ნიშნავს, პატარას ჯანმრთელობა უსურვო მთელი წლის მანძილზე, შემდეგ დაბადების დღემდე.

#### „პატარა ქალბატონების დაბადება“

ეს უძველესი ადათია, რომელსაც ახლაც დღესასწაულობენ ქალბატონები მთელს ირლანდიაში. როგორც წესი, ირლანდიელი მამაკაცებისთვის მიუღებლად (სირცხვილადაც) ითვლებოდა ოჯახში, თუნდაც, ჭურჭლის გარეცხვა. არავინ ერიდებოდა, ამის გამო ის სხვების წინაშე დაემცირებინათ. ბუნებრივია, თავმოყვარე ირლანდიელი მამაკაცი თავს არიდებდა ამ უხერხულობას. მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთი დღე არიან ძლიერი სქესის წარმომადგენლები დაკავებულნი საოჯახო საქმიანობით; როცა საშობაო დღეებით გადაქანცულ ქალბატონებს აძლევენ დასვენების საშუალებას. ეს ხდება „პატარა ქალბატონების დაბადების დღეს“ – ანუ 6 იანვარს.

#### ქორნილში მიპატიჟების გარეშე

კიდევ ერთი ირლანდიური ტრადიციაა ქორნილში მისვლა მიპატიჟების გარეშე, როცა ახალგაზრდა ვაჟები ქორნილს სტუმრობენ საკუთარი ინიციატივით; მათ ამ დროს ახურავთ ჩალის ქუდები, რომელიც სახესაც უფარავთ. ეს ე.წ. „ჩალის ბიჭუნები“ (მათ ამ დღეს ასე ჰქვიათ) „ეცნობიან“ გოგონებს, იწვევენ საცეკვაოდ. მაგრამ მალევე ტოვებენ იქაურობას, ვიდრე მათ ვინმე ამოიცნობს. ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

#### მკვდარი ყვავის დღე

26 დეკემბერს, შობის მეორე დღეს\*\* ირლანდიაში წმინდა სტეფანეს დღეს აღნიშნავენ; ისვენებენ, უხარიათ, ერთობიან. მაგრამ ეს დღე მაინც განსაკუთრებულია სამხრეთ ირლანდიის ერთ-ერთი კუნძულისათვის – დინგლისთვის (იყო დრო, როცა ამ დღეს აღნიშნავდა მთელი ირლანდია). ეს საკმაოდ მშვიდი ქალაქი ზამთრის ამ დღეს ივსება ტურისტებით; და ეს ხდება „მკვდარი ყვავის“ გამო!

დილის 6 საათისთვის ჩალის სამასკარადო ტანსაცმელში გამონწყობილი ირლანდიელები ავსებენ ქუჩებს, მოედნებს. ტრადიციული მუსიკის თანხლებით აფრიალებენ დროშებს, რომ ყველას ამცნონ „ყვავის დღე“. მეორე დღემდე არავინ იძინებს. სამასკარადოდ გამონწყობილი მუსიკოსთა და მოცეკვავეთა ჯგუფები სახლიდან სახლში, პაბიდან\*\*\* პაბში ინაცვლებენ და აგროვებენ ფულს ან საკვებს. ბაფთებით მორთულ ხეებზე კი კიდებენ მკვდარ ყვავებს. თუ რომელიმე ოჯახი არ გაიღებს შესანიშნავს, არის საშიშროება, რომ შავ ფრთოსანს მოგიგდებენ სახლის ზღურბლთან; ეს კი იმ წელს, იმ ოჯახისთვის ნიშნავს უიღბლობას (წესით კი, მკვდარ ფრინველს დღის ბოლოს მარხავენ და ზედ აყრიან ფულის მონეტებს).



„მკვდარი ყვავის“ დღე

\* – ესაა ჩვენში იუბილარებისთვის ყურების დაქაჩვის პრაქტიკა. \*\* – კათოლიკური ტრადიციით. \*\*\* – ინგლისში: ლუდხანა; პაბებს აქ ზოგჯერ უწოდებენ პუბებს.



ყვავი იმიტომაა მიჩნეული მსხვერპლად, რომ გადმოცემით, კრომველის შემოსევისას მან გასცა ირლანდიელი ჯარისკაცები. ჩამოჯდა დოლზე და მას მაშინ ჩაუნისკარტა, როცა ირლანდიელთა საჯარისო ნაწილები უახლოვდებოდნენ კრომველის არმიას. ფრინველმა თითქოს გააფრთხილა მტერი, მოწინააღმდეგე გაიხლოვდებოდა, კრომველის ჯარისკაცებმა ამოხოცეს ყველა ირლანდიელი.

ღალატი ჩიტსაც კი არ უნდა ეპატიოს! – თვლიან ირლანდიელები.

**პაბი – გამოცდის ეტიკეტი**

ირლანდიელებს ძალიან უყვართ პაბები, დროის დიდ ნაწილსაც იქ ატარებენ. მეტიც: იქ მათ თავიანთი „გამოცდის ეტიკეტი“ გააჩნიათ; ე.წ. „მრგვალი სისტემით“, პაბში შესული ირლანდიელები რიგრიგობით იხდიან შეკვეთის საფასურს; თანაც ფრთხილობენ: იციან, რომ თავშეკავებით, ასე ვთქვათ, „ჯიბეში ხელების ჩანყოფით“ შეერყევათ რეპუტაცია, რომელიც გააყვება სიცოცხლის ბოლომდე. მეტიც: მომთხოვნი და კეთილი ირლანდიელი ამბობს, რომ ძუნწის შთამომავალს გვარის მეტსახელად, შესაძლოა, ექცეს ეპითეტი „ხელმოჭერილი“. ამიტომაც, ირლანდიურ პაბებში ფულის გადახდისაგან არავინ არასდროს იკავებს თავს.

**არაპუნქტუალური ირლანდიელები**

უცნაურია, მაგრამ ზურმუხტისებრ კუნძულზე ნორმალურად ითვლება, თუ ირლანდიელი იგვიანებს ნახევარი საათით. შეიძლება, „თავიც იმართლოს“, „ჩვენ ჩვენი ირლანდიური ნახევარი საათი გვაქვს“.

ეკონომიურად ამ ძლიერ ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტიც კი ძალზე არარეგულარულად დადის. ჯობია, იმგზავროთ ტაქსით ან დაიქირავოთ ავტომობილი.

**ლუდისა და ვისკის კულტურა**

ლუდი ის სასმელია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ირლანდიური კულტურა. ლუდის ხარშვის ტრადიცია აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან იწყება.

ლეგენდის თანახმად, ირლანდიის მფარველ წმინდანს – პატრიკს ჰყავდა მღვდელი, სახელად მესკანი, რომელიც მისთვის ლუდს ხარშავდა. ირლანდიელი მღვდლები ლუდს დიდი მარხვის დროს სვამდნენ და მას სახელიც შეურჩიეს – „თხევადი პური“.

ვისკის, ისევე, როგორც ლუდის დამზადების ტრადიცია, ირლანდიაში მღვდლებს უკავშირდება. თუმცა ვისკის მასობრივი წარმოება ირლანდიაში XVII ს.-ში დაიწყო. მას აყენებენ 7 წლის მანძილზე და გამოირჩევა განუმეორებელი არომატით.

**აღორძინებული ქვეყანა**

ხოგოხც უკვე აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე ირლანდია ინგლისის დაქვემდებარებაში იყო. ნახევარ საუკუნეზე მეტია, ირლანდიელები ცდილობენ, ააღიძინონ უკუჩხა, ენა.

ირლანდიური, ხოგოხც უკლებიუხი მოსახლეობის ენა, ახათ იღვენებოდა ინგლისელების მხიდან, მისი სწავლება დაწყებით სკოლებშიც კი აჩიძლედი იყო. 2007 წლიდან ირლანდიური ენა ახამაჰყო ქვეყნის, უჰოჰავშიის ოფიციალური ენაცაა.

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია საჰამოდ ჰაჰაჰა სახელმწიფოა, მან დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო უკლეჰის ყველა სფეჰოს განვითაჰებაში. მჰავალსაუკუნოვანი სასახლეები და ციხე-უოშეები ახენილ ზლაჰაჰში გაგჰმწობინებს თავს.

ირლანდიელებს უყვართ მუსიკა და, ჰაც მთავაჰია, აჰაჰი ცეკვები მთელ მსოფლიოშია განთჰმელი. მოცეკვავეებს ტანი სწოჰად უჰიჰავთ, ფეხებს კი სწიჰაფად და ზესტად ამოძიჰავენ. კიჰდიციური ირლანდიური მუსიკალური ინსტრუმენტები: უკლეჰი აჰფა, ირლანდიური გუდასტვიი, ვიოლინო, აჰოჰეონი, სალაშეჰი და დიჰა.

XVII ს.-მდე ირლანდიელი ავსოჰები წეჰდნენ მხოლოდ ირლანდიური ენაზე და ეს ტეჰსტები ირლანდიური ენაზე წაჰელებდა ხელმისაწვდომი\*. XVIII ს.-ის შემდეგ ირლანდიას უკვე ჰყავს მსოფლიო მნიშვნელობის აჰაჰითი ცნობილი ავსოჰი: ჰონათან სვიფტი, მაინ ჰიდი, ოლივეჰ გოდსმიტი, ჰიისტი ბჰაჰნი, ოსჰაჰ უიდი, ჰეიმს ჰოისი, ნობელიანტები - ბატეჰი იეიტსი, ბეჰნაჰდ შოჰ, სემუელ ბეჰეტი და შეიმას ჰინი.

1973 წელს, ᰄოდესაც ირლანდია უჰოჰავშიის წეჰი გახდა, ის ამ ჰავშიის ყველაზე ლაჰიბი ქვეყანა იყო, ჰით სელ მოსახლეზე 2.400 წლიური დოლარის შემოსავლით. დღეს ეს მაჰვენებელი 55.000-ს აჰაჰებს, ამით ის უჰოჰავშიის წეჰებს შოჰის მხოლოდ დეჰემუჰეს ჩამოჰრება. უჰოჰავშიის ჩაჰროში ყველაზე ბეჰი უმაღლესდამთავჰეული სწოჰე ირლანდიას ჰყავს, მთელ მსოფლიოში ამ ჰით-ჰით ყველაზე თავმოყვაჰი ქვეყანას.



\* – ისინი, ძირითადად, ამერიკაში, კერძო კოლეჯციონერთა არქივებშია.



ამეხიური მწეხალი ჰეი ბედეხი (1920-2012 წ.წ.) მოღვანობდა ფანტასტიკის, საწინებებთა და ეტეუტიკის ვანხში. მოწოვებული აქვს ახაუთი საწატიო ჯიღო. მათ შოხის, ჰელიუხის ჰეშია. მწეხალს განსაუთეუბელი ჰოწედახობა მოუწოვა მისივე ნანახმოებების მიხედვით გადალებემა ფიღებემა. ბედეხის გახდაცვალების შემდეგ "ნიუ-იოხ თაიში" წეხდა: "მისი დამსახეუბა თანამეღოვე სამეცნიერი ფანტასტიკის ღეუტეუბე ვანხად ჩამოყალიბეა".

"ახდაეგებეი", შეიღებეა, ჩაითვალოს ეთ-ეთი გამოჩეუდ ნოვედ. უადმიანო სამეყხო სასტიკი და დაუნობელია: იმიტომ, ჰომ მახტო ხახ და, ამენად, განწიხელი; ჰოცა განსებებს ვეხავის უბიახე და შენს გელისთქმას ახავინ ისმენს. მაშინ ღამაც გახდაუვლია, - მიიჩნევეს მწეხალი.

### არდადეგები\*



### რეი ბრედბერი თარგმნა ღალი მუხამე

ახალი დღე გათენდა – ბალახის სურნელით, რომელიც მიინევედა ცისკენ, მორიალე ღრუბლებთან და ეფინებოდა არემარეს. დღე თითქოს სიწუმისგან იყო ნაქსოვი. მღუმარებას არღვევდნენ მხოლოდ ფუტკრები, ყვავილები, ხმელეთი და ოკეანე. ყველაფერი დროის დინებას ემორჩილებოდა, ყველაფერი, რაც მოძრაობდა, ფარფატებდა, ცახცახებდა. ბობოქარი ზღვაც უტყვი იყო; შრიალებდნენ მხოლოდ ყვავილები და ფუტკრები ოქროს წვიმად ეფინებოდნენ სამეყურა ბალახებს.

ზღვის ტალღებსა და მათაა გაქვავებულ ფერდობებს შორის რკინიგზის ლიანდაგი მიიკლაკნებოდა, ძველი, დაჟანგებული. ეტყობოდა, რომ აქ, დიდი ხანია, არავის გაეველო. უცაბედად ლიანდაგები აზრიალდა. იქვე ჩამომეჯდარმა შაშვემა თითქოს იგრძნო ვიღაცის შორეული გულისცემა, შეშინებული აფრინდა და ოკეანის ტალღებს გადაეველო.

დიდხანს ხმიანობდა რელსები და, როგორც იქნა, გამოჩნდა პატარა საზიდარი, ორცილინდრიანი, ძრავის გრუხუნითა და რიკინით. ტენტით\*\* გადახურულ სარკინიგზო ოთხთვალაზე ისხდნენ დედა, მამა და შვილი – შვიდი წლის ბიჭუნა. საზიდარი მიჰყვებოდა ლიანდაგებს, აპობდა უდაბნოს და ჰორიზონტს უახლოვებოდა. სამივე მგზავრი დაჟინებით გაჰყურებდა უსასრულო გზას და ფიქრები თავისით ირეოდა: „მერე რა იქნება?“

ცოლი და ბიჭი უხმოდ გაჰყურებდნენ ზღვას და ისმენდნენ მის მონოტონურ გუგუნსა და დუდუნს.  
– რა ლამაზია, არა? – თქვა ქალმა.  
– იქნებ, შევისვენოთ და გზა მერე განვაგრძოთ? – კაცი ჭოგრიტიდან გაჰყურებდა შორეთს.  
– მოდი, ჯერ ჟანგმოდებულ, დაშლილ რელსებს მივხედავ! თითქმის ყველა აყრილია. დავიცადოთ, ვიდრე შევაკეთებ!

ქალმა ქმარს ჰკითხა:  
– დღეს რამდენი გავიარეთ?  
– ოთხმოცდაათ მილამდე, – უპასუხა კაცმა და განაგრძო დურბინით ყურება, – ზეგ მონტერეეში ვიქნებით, მერე დღეს, თუ გინდა, პალო ალტოში წავიდეთ.  
ბიჭმა წაარბენინა სანოვაგით სავსე კალათა ნაპირამდე. დედა-შვილი მიუსხდა კიდეც გამლილ სუფრას. მამაც გამოჩნდა. მას კლასიკური პიჯაკი და ჟილეტი ეცვა. ჰალსტუხი ეკეთა და შლაპა ეხურა, თითქოს სტუმარს ელოდებო.

– ჩვენ მარტონი ვართ, მამა? – იკითხა ბიჭმა ღეჭვა-ღეჭვით.  
– კი.  
– და მეტი არავინ არ არის, არსად?  
– მეტი არავინ.  
– ადრე იყვნენ ადამიანები დედამინაზე?  
– რატომ მეკითხები? ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, სულ რამდენიმე თვეა გასული. მე მგონი, შენც უნდა გახსოვდეს!

– ცუდად მახსოვს, მამა; როცა მინდა, მახსოვდეს, უფრო მაზინყდება, – თქვა ბიჭმა და თითებშორის ქვიშა გაატარა, – იმდენი ადამიანი იყო, რამდენიც ქვიშაა ამ პლაჟზე?  
– არ ვიცი, – უპასუხა კაცმა.

\* – იბეჭდება მცირე შემოკლებით.

\*\* – ტილოს ფარდაგი.



\* \* \*

ერთ მშვენიერ დღეს გაღვიძებულებმა აღმოაჩინეს, რომ სამყარო დაცარიელებულიყო; ხალხი სადღაც გამქრალიყო, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა – გაფენილი ქათქათა სარეცხით, გაკრიალებული მანქანებით კოტეჯების წინ და სხვა... მაგრამ არ ისმოდა ეზოში ვიღაც-ვიღაცების „აბა, კარგად!“ „დილა მშვიდობისა!“ არც ბავშვების ყრიაშული, არც ტელეფონების ნკრიალი; ქალაქი აღარ ხმაურობდა.



მანამდე კი, აი, რა მოხდა. საღამოს, როცა ცოლ-ქმარი ერთად იჯდა ტერასაზე, „საღამოს გაზეთი“ მოიტანეს; კაცს არც გაუშლია გაზეთი, სათაურებისთვისაც არ გადაუხედავს, ისე იკითხა:

- საინტერესოა, როცა მას ჩვენ მოვებზრდებით, სამსახურიდან ყველას გამოგვყრის?
- ჰო, სადამდე მივიდა, ვერც შეაჩერებ! ეჰ, რა გულუბრყვილონი ვართ, არა?
- არა და, რა კარგი იქნებოდა, - კაცმა ყალიონი გააბოლა, - ერთ დილით გავიღვიძოთ და მსოფლიოში აღარავინ იყოს! ჰოდა, დაინყე ყველაფერი თავიდან!

კაცი სავარძელზე გადაწვა და განაგრძო:

- რომ შეიძლებოდეს, ხელი დააჭირო რაღაც დანადგარს და ყველა ადამიანი ერთბაშად გააქრო, დააჭერდი? - ჰკითხა ქალმა.

- ალბათ, ჰო! - უპასუხა კაცმა; უბრალოდ, ყველაფერი წაიშალოს; დარჩეს მხოლოდ მიწა და ზღვა, კიდევ ყვავილები, ბალახი და მსხმოიარე ხეხილი, ცხოველებიც დარჩნენ. მოკლედ, ყველაფერი დარჩეს, ადამიანის გარდა; ადამიანი, რომელიც ნადირობს, როცა არ შია, ჭამს, როცა მძძარია, დაუნდობელია, როცა ამის მიზეზი არა აქვს. მოკლედ, ადამიანები რომ გაქრნენ.

- იმედია, ჩვენ მაინც დავრჩებით! - ღიმილით მიუგო ცოლმა.

- კარგი იქნებოდა! - კაცი ჩაფიქრდა.

- აბა, წარმოიდგინე, ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი არდადეგებით ვისიამოვნებდით! მოვიმარაგებდით სასმელს, საჭმელს და გავმართავდით ყველაზე ხანგრძლივ პიკნიკს - ვიქნებოდით მხოლოდ შენ, მე და ჩვენი ბიჭი ჯიმი. არავის და არაფერს მოვისურვებდით; მოვიგონებდით რაიმე ძველებურ წესს მოგზაურობისათვის და ვიყიდით სენდვიჩებს, სამ ბოთლ გაზიანს და მერე, როგორც მოგვიხერხებოდა. შევივლიდით ცარიელ მაღაზიებში, ცარიელ ქალაქებში და დავტკებოდით მომავალი დაუსრულებელი ზაფხულით. დიდხანს ისხდნენ ჩუმად ტერასაზე, გაზეთით ხელში.

ქალმა იკითხა: - ჩვენ არ ვიგრძნობდით ბოლოს მარტოობას?

\* \* \*

აი, როგორი იყო ახალი სამყაროს დილა. გამოღვიძებისთანავე მოესმათ მიწის ხმაური, იმ მიწის, რომელიც ახლა გადაქცეულიყო დიდ მინდვრად, ქალაქი ჩაძირულიყო სიმწვანეში, ყვავილებში.

თავიდან ეს ყველაფერი ცოლ-ქმარმა მშვიდად, აუღელვებლად აღიქვა. ალბათ, იმიტომ, რომ უკან იყო ქალაქი, რომელიც, დიდი ხანია, არ უყვარდათ, უკან დარჩა თითქოს ჩაკეტილი ცხოვრება, მექანიკურ სკაში მოფუსფუსე.

ქმარი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა და თქვა ისე მშვიდად, თითქოს ამინდზე ლაპარაკობდა;

- ყველანი გაქრნენ! ახლა უნდა მოვიფიქრო, რა ვქნა!
- რა, არ ნახვალ სამსახურში? - ჰკითხა ცოლმა.

- სად ნახვალ?! აა, შენ კიდევ არ გჯერა? - გაიცინა კაცმა, - ვერ წარმოგიდგენია, რომ ყოველდღე სამსახურში არ ვივლი, რომ არც ჯიმი ივლის სკოლაში? მორჩა, დამთავრდა, არავითარი ფანქრები, არავითარი წიგნები და უფროსის მუავე გამოხედვა! მორჩა, ჩვენ გაგვიშვეს და ანი არასოდეს არ დავუბრუნდებით ძველ ცხოვრებას! წავედით!

და კაცმა წაიყვანა ცოლი ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში; ისინი არ მომკვდარან, უბრალოდ, ჩვენგან წავიდნენ. კაცი შევიდა ტელეფონის ჯიხურში და ჯერ ჩიკაგოში დარეკა, მერე ნიუ-იორკსა და სანფრანცისკოში. სიჩუმე.





სიჩუმე. სიჩუმე.

– თავს დამნაშავედ ვგრძნობ, – თქვა ქალმა, – ისინი გაქრნენ, ჩვენ კი დავრჩით. მაგრამ მე... მიხარია. რატომ? თითქოს უნდა ვდარდობდე.

– დარდობდე? არაფერი ტრაგედია არ მომხდარა, ისინი არ უნამებიათ, არ დაუტანჯავთ, ისინი უბრალოდ გაქრნენ ისე, რომ ვერც გაიგეს. ჩვენ არავისთან ვალში არა ვართ. ჩვენ ერთი რამ გვევალება – ვიყოთ ბედნიერები.

– მაშინ შვილები უნდა გავაჩინოთ?

– რატომ? ადამიანები ისევ რომ გამრავლდნენ? არა! დაე, ჯიმი იყოს უკანასკნელი! ის რომ დაბერდება და მოკვდება, მერე სამყარო თავვებსა და ობობებს, ცხენებსა და ძროხებს დარჩებათ. ისინი უჩვენოდაც კარგად იქნებიან. შემდეგ კი, დაე, სხვებმა განაგრძონ ჩვეული ბედნიერებით ცხოვრება. ბუნებრივად ააშენოს ქალაქები, თანაც, სულ სხვანაირები, ვიდრე ჩვენია. ახლა კი ავდგეთ და შევუდგეთ ჩვენს ოცდაათწლიან მოგზაურობას!

\* \* \*



სანამ მამა აკეთებდა ძველ, უანგმოდებულ რელსებს, მანამდე დედა-შვილი ზღვის ნაპირზე ნიჟარებსა და ლამაზ, ვარდისფერ კენჭებს აგროვებდა. სალამოს ყველანი ერთად ისხდნენ და სვამდნენ ფორთოხლის გაზიან წვენს, თან ბოთლში მოთამაშე ბუმტუკებს აკვირდებოდნენ. მამამ გადაშალა პატარა ჯიმის ატლასი და თქვა, ერთი თვის შემდეგ საკრამენტომდე ჩავალთ, იქიდან დავიძვრებით სიეტლისაკენ.

იქ პირველ ივლისამდე დავრჩებით, ივლისი კარგი თვეა ვაშინგტონისთვის, მერე როცა აცივდება, უკან წამოვალთ, გზადაგზა ვითევზავებთ, ვინადირებთ...

ბიჭს მოეწყინა, ზღვისკენ გაიქცა და შორს, ტალღებში ჯოხი ისროლა, მერე თვითონ გაეკიდა ამოსაღებად, ვითომ ჭკვიანი ძაღლი იყო.

კაცი განაგრძობდა: გამოვიზამთრებთ ტაქსონაში, გაზაფხულისკენ წავალთ ფლორიდაში, ივნისში, დავეშვით, ნიუ-იორკამდე ჩავალწვეთ; ორი წლის შემდეგ ზაფხული გავატაროთ მეხიკო-სიტიში, სანამდეც ლიანდაგები მიგვიყვანს, იქ ჩავიდეთ; მერე რომელიმე მიტოვებულ, ძველ ხაზსაც თუ აღმოვაჩენთ, იქით გავემგზავროთ. მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, მისისიპზე ნავით გამეცურა და ჰა, ამ ნატვრასაც ავიხდენ. ეს მოგზაურობა მთელი ცხოვრება გვეყოფა.

კაცს, ის ის იყო, უნდა დაეხურა ატლასი, რომ რალაც ბრჭყვიალა წერტილი გაკრთა ჰაერში, ქვიშაზე დაეცა და სველი წერტილი გააჩინა. ცოლმა შეშფოთებით შეხედა ქმრის აცრემლებულ თვალებს:

– რა კარგი იქნებოდა, სალამოს რომ დავენოლილიყავით დასაძინებლად და ლამით ყველაფერი ისევ თავის ადგილას დაბრუნებულიყო. ყველაფერი, ყველაფერი თავისი სისულელეებით, ხმაურით, ბრაზუნით, თუნდაც, ბოროტი ადამიანებითა და უქნარ ბავშვებით, ყველაფრით, რაც იყო, იმ უაზრო ფუსფუსით, წვრილმანებით, იმედით, სინანულებითა და სიყვარულებით! ეჰ, მართლაც, რა კარგი იქნებოდა, არა?!

ქალმა თავი დაუქნია. და ამ დროს ორივე შეკრთა – მათ შორის შუაში იდგა ჯიმი ბოთლით ხელში. ბიჭი გაფითრებული იყურებოდა:

– მამა, შენც... შენც ვერავისთან გაერთობი, არა? ასეა, ვერავისთან?

დედას უნდოდა, რალაც ეთქვა, მამა ბიჭისკენ დაიხარა, ბიჭი განზე გახტა ყვირილით:

– სულელებო! სულელებო! ცუდებო, სულელებო!

ბიჭი ადგილს მოწყდა და ზღვისკენ ზღუქუნით გაიქცა. დედას უნდოდა, დადევნებოდა, მაგრამ მამამ გააჩერა, დაანებე თავიო; უცებ ორივე გაშეშდა: ნაპირზე მყოფმა ბიჭუნამ რალაცა დაწერა ქალაღლის პატარა ნაგლეჯზე და ისე, ტირილი რომ არ შეუნყვეტია, ბოთლში ჩაჩურთა, თავი მაგრად მოუჭირა და ზღვაში მოისროლა. რა დაწერა ბიჭმა? ბოთლი წელა მიცურავდა ტალღებზე. ბიჭი აღარ ტიროდა.

მერე ჯიმი წელ-წელა დაწყნარდა, ისევ მივიდა მშობლებთან და მათთან ერთად გახედა ჰორიზონტს, სადაც ოდნავ მოჩანდა ნათელი წერტილი – ბოთლი თავისი წერილით.

ნეტავ, მან ჩვენი სურვილი დაწერა? – ფიქრობდა ქალი – დაწერა ის, რაზეც ახლა ვსაუბრობდით? ჩვენი ოცნება?



მეთხველს ვეჩვევით, აუცილებლად ნაიკითხოს ეს ჰატახა, მაგამ ფიქიანი ნოველა; მით უფრო, ხომ მისი ავტოი ნინო გოცირიძე ჯე მხოლოდ V კლასის მოსწავლეა (თბილისის 115-ე საჯარო სკოლა).

თხიზა ინყება ულან ტყეში ამოხილი, მოწყენილი ხის ამბით (და, ასევე, გიქედება); უფრო ზუსტად, ეს ახის თითქმის ცხოვრება თავისი დეხითა და სიხაჯით, ზოგჯე მახტომობისა და დასახილანი გზის სუვით. ნინიკო ახამახტო ქმნის განწყობას, საინტეხესოდ გაახიბული ჰასაჟით გამოსატავს სათქმელს, ხომ უთიუთობათა მიღმა ეთმანეთს უნდა ვხედავდეთ და ვგიქნობდეთ; ამიკომაცაა, ხომ "ხის გახმობა ვეჩავინ შეამჩნია".

ეს უანასენელი ფიზა თითქოს ნოველეხი დასახილაცაა.



ნინო გოცირიძე

## ცხოვრება ცყეში

### ნინო გოცირიძე

ერთ ულან ტყეში მაღალი ხე იდგა. ხშირად მოწყენილი იყო. ძალიან უნდოდა ამ ტყიდან წასვლა, მაგრამ არ იცოდა, ამ ადგილს როგორ მოშორებოდა. ხეს იქაურობა საშიში და მოწყენილი ეჩვენებოდა. ხან ისიც ეგონა, რომ განგებ გაურბოდნენ. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მელაკუდა ეწვია. დიდხანს უტრიალა ხეს გარშემო, მერე სხვა ადგილი მოძებნა და ბინა ძლიერი მუხის სიახლოვეს შეარჩია.

ხეს ზოგჯერ მგლები ეწვეოდნენ; ხროვა მოგროვდებოდა, ცოტა ხანს შეჩერდებოდა და ყმუილ-ყმუილით დაიშლებოდა. ხე კი ხმაგაკმენდილი იდგა და ვერაფერს ამბობდა; ან რა უნდა ეთქვა, როცა ლაპარაკი არ შეეძლო. სამაგიეროდ, ფიქრი იცოდა. შეეძლო, დიდხანს ეფიქრა და ჩუმად მდგარიყო, ვიდრე ფოთლებს ქარი არ აუშლიდა და ფიქრს არ შეანწყვეტინებდა.

ხე მაშინაც ფიქრებით იყო გართული, როცა მასთან ფრინველები და ცხოველები მივიდნენ. ამან ის გაამხნევა და დიდი ხნის განმავლობაში პირველად გაიხარა.

თხუნელამ ხის სიახლოვეს მიწა ამოთხარა, ტურებმა და მელიებმა ერთად ითამაშეს და ხეს შემოურბინეს. ციყვმა კი პატარა ფულუროს გაკეთება სთხოვა. ხეც დათანხმდა, რადგან ეგონა, რომ პატარა მეგობართან არ მოინწყენდა. ამის შემდეგ ხესთან ცხოვრება ბევრს მოუნდა. ბელურა ჩიტებმაც ჭიკჭიკით მოუხმეს თავიანთ მეგობრებს და ხის ტოტებზე დასკუპდნენ.

გავიდა დრო. ტყეში კეთილმა კაცმა გამოიარა. მას გაუკვირდა, რომ ამდენი ფრინველი და ცხოველი ერთ ხესთან ნახა თავმოყრილი. ის იქაურობას მეორე დღესაც ეწვია, პატარა ნერგები დარგო და წავიდა. კაცი ხშირად მოდიოდა ტყეში და ნერგებს უვლიდა. ჩვევად ჰქონდა, ამ უზარმაზარი ხისთვის შეეველო თვალი. დაიხურავდა ქუდს და მიდიოდა.

პატარა ნერგებიც თანდათან გაიზარდნენ. დიდ ხეებად წამოიშართნენ და იქაურობა ულან ტყედ აქციეს. ხე კი განაგრძობდა ფიქრს. ფიქრობდა ყველაფერზე და ვერც კი ამჩნევდა, თანდათან როგორ ხმებოდა. ნელ-ნელა ელეოდა ძალა და ფიქრის სურვილსაც კარგავდა.

გარშემო კი მხიარულება იყო. ცხოველებსა და ფრინველებს მოსწონდათ იქ ყოფნა, ციყვიც უდარდელად დახტოდა. მხოლოდ ის კეთილი კაცი არ ჩანდა.

ხის გახმობა ვერაჟინ შეამჩნია.





მოსწონს, ხოცა ავინყებდა, ხომ სცენაზე და ცხოვრობს იმ სივრცეში, ხომელსაც სპექტაკელი სთავაზობს, - მიაჩნია ღილი ხუჩითს, ვეჩიყო ანჯაფაჩიძისა და გიოჩი შიხვაშიძის ჰუმორების დაუხეცს, ნომინაციაში "საუკეთესო ქალის ღილის" გამაჩქვებულს, სოხუმის ჯონსტანტინე გამსახუდიას სახელობის ქართული თეატრის მსახიობს.\*

ღილი ხუჩითის სასცენო ბიოგრაფია (თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ) იწყება სოხუმიდან, მთავარი ღილებიდან, აუდიტორიიდან, ხომელიც მსახიობთან ერთად აზიხვინებს.

მაყუბლებითა და აპლოდისმენტებით განებუბებული თითქოს ყოველ ჯიხზე ეცნობა ჰეხსონაფს, ხომ უჯე აღმორენილით მეხე ჯიღვ და ჯიღვ გაგაოცოს, მოგიძღვნას ისიც, ხის გახეშე მას ახ შეუძლია სცენაზე ყოფნა.

სოხუმი?! ეს ზღვისპირა ქალაქი, მშობლიუხად ქვეელი, ღილისთვის ზღვაში ჩამახხელი ენჭებუბით ნამღვილი და მიუნვლომელია, მაგამ იქ დაჩრა მისი თეატრი, ხომელსაც ელოში აცენილი მისტიკით და მაინც უჯიო სიყვარულით, "უბუნებდა" ის და დღესაც თამაშობს.

ესეც ღილი ხუჩითის ცხოვრების ნაწილია.

## ღილი ხურითი იმიტომ დგას სცენაზე, რომ...

ღილი ხურითი – თეატრალუბისათვის და, არამარტო მათთვის, ეს სახელი და გვარი მსახიობობასთან ერთად გაიგივებულია სცენურ აზროვნებასთან, ყველაზე მომთხოვნი მაყურებლის ღრმა შთაბეჭდილებებთან. 35 წელია, სცენაზე დგახართ; შესანიშნავად მახსოვხართ თქვენი პირველი სოხუმური სპექტაკლიდან. ეს იყო ჯესიკა შექსპირის „ვენეციურ ვაჭარში“. თითქოს ყველაფერი გუშინ იყო – საპრემიერო დღესასწაულიც, მილოცვებიც, თაიგულებიც. მას შემდეგ დაგროვდა უამრავი სათქმელი, პერსონაჟი – სიღრმისეულად გახსნილი. კითხვაც გამოიკვეთა: თუ დრო, ზოგადად, წლებია, დღევანდელი გადასახედიდან ეს ფენომენი თქვენთვის რით გაიზომა?

დრო წლებით კალენდარზე იზომება. მაგრამ წლები განცდილი ემოციებით გვამახსოვრებს თავს. მონო-სპექტაკლში, რომელიც ილიაუნის თეატრში დაიდგა, ჩემი პერსონაჟი, აღსასრულის ჟამს ამბობს — თუ წლებს ციფრებით იმახსოვრებ, ჩათვალე, რომ არაფერი გამახსოვრდება. მე კი მახსოვს, მე ყველაფერი მახსოვს!

დიახ, მას ახსოვს ლალი, ხშირად გაჭირვებული, მაგრამ უდარდელი ბავშვობა, დიდი და მოსიყვარულე ოჯახი, ყრამული, პირველი, ვნებიანი სიყვარული, ბავშვები; მერე ომი, დაბომბვა, მიწასთან გასწორებული სოფელი, მისი შვილების შიშისგან გაფართოებული თვალები, სიკვდილთან პირისპირ დარჩენა... მას ეს დრო ახსოვს. ეს იყო მისი ცხოვრება.



ღილი ხურითი

ჩემთვისაც დრო მოვლენებთან ემოციური კავშირით განისაზღვრება. დრო არის შენი ყოფის ის მონაკვეთი, როდესაც ცხოვრების ქარტეხილებში ადამიანად დარჩენას ცდილობ.

სიამოვნებით გაცნობებთ, რომ თქვენ გამაპინძლობთ ჟურნალის ახალი რუბრიკა „ნითელ ხალიჩაზე“. ნითელ ხალიჩაზე დადგომა, მოგეხსენებათ, გამორჩეულ ხელოვანთა ხვედრია. ჰოდა, „იალქანმაც“ გააკეთა თავისი არჩევანი – ამ ფერად „ავანსცენაზე“ პირველი გაიყვანა მსახიობი, ვისზეც მაესტრომ, თემურ ჩხეიძემ ბრძანა, ღილი ხურითი ჩემთვის ერთეულთა შორისააო. კეთილი იყოს ჩვენს ახალ სარბიელზე თქვენი დებიუტი! რას გვეტყოდით „ნითელი ხალიჩიდან“?

ჩემთვის დიდი პატივია, პირველმა გავიარო თქვენს „ნითელ ხალიჩაზე“. დაგასახელონ გამორჩეულთა შორის, მართლაც, სასიამოვნო რამ არის, მაგრამ ეს, უპირველესად, დიდი ტვირთია. მე სრულად ვაცნობიერებ ამას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენგან ყოველ ჯერზე მეტსა და მეტს მოითხოვენ, შენ კი არა გაქვს უფლება, გაანბილო ადამიანები. ასე რომ, „ნითელი ხალიჩა“ მარტო თავის მოწონება როდია. ეს იმაზე მეტი პასუხისმგებლობაა, ვიდრე მანამდე გქონდა.

„ბავშვი ვერასოდეს აგისხნის, რაა სიკეთე“, – წერდა დიდი ტოლსტოი. მაგრამ ბავშვებზე გულმონყალენი მაინც არავინაა ამ სამყაროში, სადაც, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა დავრჩეთ; უნდა გავიხანგრძლივოთ დრო, რომელიც არასდროს არავისზე ბოროტობს. ბავშვობიდან, ყველასა და ყველაფერზე აღმატებული ამ უკეთილშობილესი ხანიდან რა გამოიყოლა და რა დატოვა იქ პატარა ღილიმ?

გეთანხმებით იმაში, რომ ბავშვობა ყველაზე აღმატებული ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. ბავშვის სამყარო ყველაზე კეთილი და ფერადი სამყაროა. ასაკის დადგომასთან ერთად ცხოვრება, სამწუხაროდ, ბევრ „სიურპრიზს“ გვთავაზობს ხოლმე. ასეთ დროს ვცდილობ, დავბრუნდე ბავშვობაში და იქ ვეძებო თავშესაფარი, გავიხსენო, მცირედი საჩუქარიც კი რა ბედნიერებას მანიჭებდა და მავსებდა მადლიერებით. ბავშვობა მახსენებს, რომ ცხოვრება ყველაზე დიდი საჩუქარია და, მიუხედავად გადატანილი ტკივილებისა და განცდებისა, გვაქვს მიზეზი, ვიყოთ მადლიერები.

\* – მსახიობი დაკავებულია, აგრეთვე, თეატრებში: „სამეფო უბანი“, „ილიაუნი“, „ლიტერატურული თეატრი“.



ერთადერთი, რაც ჩავტოვე ბავშვობაში, ეს ტყუილია. როგორც თითოეულ ჩვენგანს, ხანდახან მეც მიწევდა ტყუილების თქმა; მაგრამ ეს ისე უნიჭოდ გამომდიოდა, თვითონვე ვხვდებოდი და სახეზე აღმური მედებოდა. მერე მივხვდი, რომ პატარ-პატარა ტყუილები არაფერში მჭირდებოდა და გადავწყვიტე, უარი მეთქვა მათზე. მე შევიძულე ტყუილი და სამუდამოდ ჩავტოვე ის ბავშვობაში.



ლილი ხურითი

**წარმოიდგინეთ, ცხოვრობთ ისეთ დროსა და ეპოქაში, როცა არ არსებობს სცენა, მაყურებელი, არც ერთი თქვენი პერსონაჟი, პარტნიორი, რეჟისორი. საინტერესოა, სხვაგან სად და რომელ სფეროში დაიხარჯებოდით?**

ეს ცოტა წარმოუდგენელია ჩემთვის, მაგრამ თუ მაინც მოვხვდი ასეთ დროსა და ეპოქაში, ალბათ, დავხატავდი. მე ვხატავდი ბავშვობაში და ყველას ეგონა, რომ ამ დარგს ავირჩევდი. თუმცა აღმოჩნდა, რომ თეატრი „უფრო მეტად“ ყოფილა ჩემში. ზოგადად, ყველაფერს, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, შემოქმედებითად ვუდგები (მათ შორის, სახლის საქმეებსაც). ბავშვობიდანვე ასეთი ვიყავი. მახსოვს, როცა ბებიასთან ვიყავი სოფელში არდადეგებზე, შემეძლო, მთელი დღე სიმინდის ყანაში მარტოს გამეთარებინა. ვვარცხნიდი ტაროებს, ვაცმევდი, მათთან ერთად წვეულებებს ვაწყობდი, ვცეკვავდი, ვმღეროდი. მოკლედ, არ ვინწყენდი. ასე რომ, იმ „ისეთ დროსა და ეპოქაში“ რაღაც მსგავსს გასართობს მივაგნებდი, ალბათ, და იქ მოვიწყობდი ერთი მსახიობის თეატრს. თან დავხატავდი.

**ძვირფასო ლილი, მოგხსენებათ, რომ დღეს რადიკალურად შეიცვალა ახალგაზრდების დამოკიდებულება წიგნებისადმი. რა თქმა უნდა, „იალქანსაც“ აკლია თავისი პოტენციური მკითხველი. ესაა ინტერნეტ-თაობა, ის გოგო-ბიჭები, სოციალურმა ქსელმა წიგნებს რომ დააშორა. მათთვის ისიც უნდა იყოს ცნობილი, რომ დიდი ამერიკელი ბიზნესმენისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების შემქმნელის – ბილ გეითსის შვილებს განსაზღვრული ერთი საათის გარდა აკრძალული აქვთ კომპიუტერით სარგებლობა, ანუ დროის უქმად დაკარგვა. ნუთუ, ინტერნეტდამოკიდებულთათვის თეატრიც თანდათან ნაკლებმომზიდველი ხდება. სრული ანშლავით გადავსებული დარბაზის დროსაც ისაკლისებთ ამ გოგო-ბიჭუნებს?**

ინტერნეტდამოკიდებულება მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. ბავშვები უმეტეს დროს ტექნიკასთან ატარებენ და ერთმანეთთან ურთიერთობასაც ტექნიკით ამყარებენ.

ამას წინათ სადღაც ამოვიკითხე აინშტაინის წუხილი — „მეშინია იმ დროის, როცა ტექნიკა ადამიანურ ურთიერთობებს ჩანაცვლებს და ჩვენ გვეყოლება იდიოტების თაობა“. რაღა დაგიმალოთ და მსგავსი შიშები მეც შემიპყრობს ხოლმე. რთულ დროში ვცხოვრობთ, დიდი ცვლილებების ხანაში, როცა ცხოვრების რიტმი ძალზე აჩქარებულია. ადამიანი მაინც ცდილობს, არ ჩამორჩეს დროს, რომელსაც ვერ ეწევა. ამის გამო მუდმივ სტრესში ვიმყოფებით და შედარებით მნიშვნელოვანი მოვლენები ყურადღების მიღმა გვრჩება. ახლობელი ადამიანებისთვისაც კი დრო „არ გვყოფნის“. ან თუ ბუნებაში მივივივართ, იმის ნაცვლად, რომ დავტკბეთ ფერებით, საოცრებებით, აიფონზე ვაფიქსირებთ კადრებს და მერე მათ სახლში ვათვალიერებთ. ამასობაში კი გადის თუ გარბის დრო, რომელიც არასოდეს არ ბრუნდება. მაინც, მინდა, ვიყო ოპტიმისტი და დავიჯერო, რომ დიდი მეცნიერის შიშები არ გამართლდება.

რაც შეეხება თეატრს, მინდა, გითხრათ, რომ სასიამოვნოდ გაცეცხული ვარ. თეატრში ახლა, ძირითადად, ახალგაზრდები დადიან. შეიძლება, ითქვას, დღეს უფრო უფროსი თაობის მაყურებელთა პრობლემაა, რომელნიც სოციალურ მიზეზთა გამო ვერ ახერხებენ წარმოდგენებზე დასწრებას. თეატრს რთული პერიოდები ბევრჯერ ჰქონდა, მაგრამ მას აქტუალობა არასოდეს დაუკარგავს. გაუძლებს ამ დროებსაც, რადგან ვერანაირი ტექნიკა ვერ ჩანაცვლებს ცოცხალ ურთიერთობებს.

**ბევრი ადამიანი ცხოვრობს იმიტომ, რომ ითამაშოს, იმსახიობოს, დაგაბნოს, ვერ მიხვდე, რომელია მისი ნამდვილი სახე; თქვენ კი, პროფესიიდან გამომდინარე, რაც შეიძლება, უკეთ უნდა ითამაშოთ, რომ „იცხოვროთ“.** აუცილებელია სხვადქცევა, ნიღბების ოსტატურად მორგება. და ამას ეძახიან დრამატურგიულ სიმართლეს. დამეთანხმებით, რომ ცხოვრებისეული და სცენური როლების მოთამაშეები სრულიად განსხვავებული ნიჭის ადამიანები არიან. თამაშის რა ნიჭი, რა შესაძლებლობებია ეს (ორივე შემთხვევაში)?

თუ სწორად გავიგე შენი შეკითხვა, იმას, რასაც შენ გულისხმობ, თამაში არ ჰქვია. სხვა სახელს დავარქმევდი, მაგრამ მინდა, დელიკატური ვიყო. რაც შეეხება თამაშს, ეს სიტყვა ჩემთვის უარყოფით შინაარსს არ მოიცავს. ცხოვრებაც ხომ თეატრია, სადაც ჩვენ სხვადასხვა როლს ვირგებთ ჩვენივე ნებით. ჩვენ დიდი ბავშვები ვართ. ბავშვიც ხომ თამაშობს სახლობანას, მაგრამ ის არ იტყუება. ის რეალურად განიცდის ყველაფერს. მას რომ სათამაშო გაუტყდეს, ცხარე ცრემლებით



მარცხნიდან: დიმა ჯაიანი, გიზო სირაძე, კახა ძაძამია და ლილი ხურითი. სოხუმი



ლილი ხურითი და დიმა ჯვანი. „ზღვა, რომელიც შორია“

იტყვებს. ის გულწრფელია და რეალურად ცხოვრობს პირობით სამყაროში. ასე ვართ ჩვენც. ვთამაშობთ სახლობანას, თეატრობანას, დირექტორობანას. მთავარია, რამდენად გულწრფელები ვართ და რას ემსახურება ჩვენი თამაში. ის, ვინც სხვის მოტყუებას ცდილობს, უნიჭო ადამიანია, ცხოვრებაში იქნება ეს თუ სცენაზე.

ლილი, სოხუმი თქვენთვის ის ქალაქია, სადაც თბილისიდან სამუშაოდ ჩახვედით და რომელიც მერე ჩვენთან და მშობლიურ თეატრთან ერთად უკვე დევნილმა დატოვეთ. ქართული თეატრის სცენასაც და სანაპიროს ბულვარსაც კარგად ახსოვს ეს მუდამ ღიმილიანი, მომხიბვლელი ქალიშვილი. სამწუხაროდ, აფხაზეთი ჩვენთვის დღეს მხოლოდ წარსულია, მომავლისა და დღევანდელი გარეშე. დროსა და მისტიკაში მოგზაურობით ახლა იქ საით გაგიწევდათ გული?

მართალი გითხრათ, არ მიმიწევს გული, რადგან სოხუმი ჩემთვის მარტო ქალაქი არ იყო. სოხუმი ურთიერთობები იყო და მე ვერ წარმომიდგენია ეს ქალაქი იმ ადამიანების გარეშე, რომელნიც ქმნიდნენ ამ ურთიერთობებს.

თუკი უფლის ნებით მაინც მოხდება ჩვენი დაბრუნება, მე იქ აუცილებლად წავალ. პირველ რიგში, მოვძებნიდი და მივინახულებდი იმ ადამიანების საფლავებს, იქ რომ დარჩა და ვერ დავიტირეთ; რა თქმა

უნდა, გავივლიდი სანაპიროზე, მერე შევჩერდებოდი ბარათაშვილის ხიდთან, იქიდან თეატრთან ჩამოვიდოდი, ბოლოს კი ლესელიძეზე, ეკლესიაში სანთელს დავანთებდი და წამოვიდოდი, რადგან ჩემი სოხუმი აღარასდროს დაბრუნდება.

აფხაზეთის ომის შემდეგ გავა წლები და სოხუმის დევნილი თეატრის სცენაზე თქვენ ითამაშებთ აფხაზი ქვრივის, საიდას როლს (გურამ ოდიშარის განმარტებული პიესა „ზღვა, რომელიც შორია“). ვისაც უნახავს ეს ზნეობრივი სპექტაკლი და ახსოვს საიდა, დამეთანხმება, შესარულო ასეთი პატარა როლი და ღრმა შინაგანი გამომსახველობით, ამასთან, ზუსტი ემოციით მაყურებლამდე ესოდენ დიდი სათქმელი ტკივილთან ერთად მიიტანო, შესაძლებელია მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით. თქვენ ეს სირთულე საუცხოოდ დაძლიეთ. შემდეგ ისიც აღნიშნეთ, რომ მთელი ცხოვრება მხოლოდ ეს ერთი როლი რომ ვითამაშო, არ მომწყინდებაო. საიდას, ამ ღრმადსევედიანი პერსონაჟის გახსნაში დაგეხმარათ თუ არა აფხაზეთში გატარებული წლები?

რა თქმა უნდა! როცა ამ სპექტაკლს ვთამაშობდი, სუნიც კი მცემდა, სოხუმისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური, ზღვის, ყავის, ევკალიპტისა და მაგნოლიების ნაზავი, მათრობელა სურნელი, რომელიც ტკბილ და, ამავდროულად, გაუსაძლისი მონატრების ტკივილს აღძრავდა ჩემში. ამის თამაში შეუძლებელია. ეს განცდილი უნდა გქონდეს!

რომელია თვისება, რომელიც ყველაზე მეტად გოცნებებს ადამიანში და სურვილი გაქვთ, დაინახოთ ის, ასე ვთქვათ, „დუმბადისეული კუთხიდან“ (დუმბადის ცნობილი ფრაზა – „ადამიანს იმ კუთხიდან უნდა შეხედო, საიდანაც ის უკეთ იმზირება“)?

გულწრფელობა. როდესაც ადამიანი გულწრფელია, ის ყველა მხრიდან კარგად იმზირება.



ლილი ხურითი თემურ ჩხეიძესთან ერთად

თქვენ მაყურებლისთვის იყავით შორენაც („დიდოსტატის მარჯვენა“) და ელიზა დიულიტლიც („პიგმალიონი“), ნინა ზარეჩნაიაც („თოლია“) და ოქსანაც („ბოშები“), სერაფიმაც („სრბოლა“) და მარტოხელა ქალიც („ადამიანის ხმა“), ჟანა დარკიც („ორლენელი ქალწული“) და ვიოლეტაც („ქალი ყვავილით“), ნასტიაც („ფსკერზე“) და ზეინაბიც („ლალატი“), დრანაც („სეზანი და დრანა“) და მედეაც („ანტიმედეა“)\*... სხვადასხვა ეპოქის ამ პერსონაჟებს შორის, რომელია ის, რომელიც ყველაზე მეტად არ გგავთ და ამიტომაც საკუთარი „მე“-თვის იმ თითქოს არაბუნებრივი ნიღბის მორგებამ მეტი გარდასახვა მოითხოვა თქვენგან?

ვერ ვიხსენებ ასეთს. ნიღაბს მორგება უნდა. არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი განცდილი გქონდეს, რაც შენმა პერსონაჟმა განიცადა. შენი მეხსიერების კიდობნიდან მსგავსი შეგრძნებები უნდა ამოყარო და გადაამრავლო იმდენჯერ, რამდენსაც შენი პერსონაჟის გრძობათა ბუნება მოითხოვს. შესაბამისად, არაფერი უცხო, რაც შენმა პერსონაჟმა განიცადა, შენთვის უცხო არ არის. ძალისხმევას კი ყველა პერსონაჟის ძერწვა ითხოვს. იოლად არაფერი გამოდის. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამომდის. მუშაობის დაწყებიდან პრემიერამდე ჩემი ტვინი ფიქრს არ წყვეტს. არც პრემიერის შემდეგ, რა თქმა უნდა. სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ახალი დეტალები უნდა შევიძინო პერსონაჟს. არა, კი არ შევიძინო, აღმოვაჩინო მასში, რადგან ის უკვე

\* – მიმდინარე წელს სპექტაკლი წარდგენილია ყოველწლიურ ფესტივალზე „დურუჯი“ (ნომინაცია – „საუკეთესო ქალის როლის შემსრულებელი“).



ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს. მეტსაც გეტყვი, მე არც მას შემდეგ ვწყვეტ ფიქრს ჩემს პერსონაჟებზე, როდესაც მათ აღარ ვთამაშობ. შეიძლება, ეს სისულელედ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ასეა. მე არ ვწყვეტ მათთან კავშირს, ისინი სულ ჩემთან არიან.

**ფრაზები, რომელიც მართო თქვენია და რომელსაც იყენებთ დადებითი ან უარყოფითი ემოციების გამოსახატავად?**

სმირად ვხმარობ ფრაზას – შეიძლება, გაგიჟდე! ყველანაირ ემოციას კარგად გამოხატავს. ისე, ძალიან მიყვარს მოსაფერებელი ფრაზა, რომელსაც რატომღაც არ ვიყენებ — „სი ქუგაღე მა!“ (შემოგვევლე – მეგრ.).

„იდეალური იქნება, სპექტაკლის შემდეგ მსახიობებს თუ გკითხავენ, კი, მაგრამ, აქ რეჟისორმა რა გააკეთა, ვერ გავიგეთო?“ – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში თემურ ჩხეიძემ.

ფსიქოლოგიური მიზანსცენები არა შედეგისთვის, არამედ სიუჟეტური პროცესისთვის – ბატონი თემურის, ამ ე.წ. „უჩინარი რეჟისორის“ მუშაობის სტილია. ლილი, რას გვეტყვით ცნობილ რეჟისორზე, რომელსაც, დიდი სურვილი გვაქვს, შევხედოთ თხოვნით, მომავალში იქნებ ისიც „დადგეს“ ჩვენს „წითელ ხაზზე“?

თემურ ჩხეიძეზე ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ ეს ფორმატი არ მომცემს იმის საშუალებას, ყველაფერი ვთქვა მასზე და მისი ფიგურის მნიშვნელობაზე სათეატრო ხელოვნებაში. ვიტყვი იმას, რომ თემურ ჩხეიძე ჩემთვის ის ხილული და ზოგჯერ უხილავი თვალია, ვისი მზერაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ვის გამოც ვერ კიდეც პრესტიჟულად მიმაჩნია ჩემი პროფესია. ის არის რეჟისორი, ვისთან მუშაობაზეც ყოველთვის ვოცნებობდი და ღმერთმა ეს ოცნება მრავალგზის ამისრულა. ამისთვის მადლიერი ვარ განგების. თემურ ჩხეიძე არის ყველაზე კომფორტული რეჟისორი მსახიობისთვის. მასთან დაცულად გრძობ თავს. არ ვიცი, რამდენად სწორი ფორმულირებაა, მაგრამ მინდა, ვთქვა — ის ჩემი რეჟისორია!

სცენაზე ყოფნა ლილი და ნანა ხურიტებისთვის, თქვენი და თქვენი დისათვის, ორი მსახიობისთვის, ორი ნიჭიერი ხელოვანისთვის – ესაა ერთმანეთით გაკეთილშობილებული დღეები, ერთმანეთით დაძლეული სირთულეები, ერთმანეთის წარმატებებით მიღებული ბონუსები. ნანას არჩევანიც თქვენმა პროფესიამ განაპირობა?

შეიძლება, ასეც ითქვას. ნანა იმ ჩემი „დასის“ ნევრი იყო, ჩვენს იტალიურ ეზოში რომ „დავაარსე“. მე ლიდერი ვიყავი, როლებსაც ვანანილებდი და მერე ეზოს ბავშვები მეზობლებისთვის წარმოდგენებს ვმართავდით. მაშინ თეატრალური ინსტიტუტი მიუწვდომელი ოცნება იყო, მაგრამ, როდესაც ეს მითი დავანგრეე, ნანამაც გაბედა, თავისი ოცნება რეალობად ექცია და გამოუვიდა კიდეც. ასე შეიქმნა „ხურიტების ტანდემი“.

**„ყველაფერი შეცვლილია ამ ქვეყანაზე. ადამიანები არ შეცვლილან მხოლოდ!“ – რამდენად იზიარებთ მაკედონელის ამ აზრს?**

არ შეიძლება, არ დაეთანხმო ამ შემთხვევაში მაკედონელს. სანამ არსებობს ბოროტება და სიკეთე, მანამ იარსებებენ ბოროტებისა და სიკეთის მქმნელი ადამიანები. სხვაგვარ ცვლილებას არც უნდა ველოდოთ. ერთადერთი, რაც შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს, ეს არის ყოველთვის და ყველა სიტუაციაში სიკეთის მხარეს დავდგეთ.

**რომელია ის დრო და გარემო, როცა და სადაც ყველაზე მშვიდად და დაცულად გრძნობთ თავს (სცენის გარდა)?**

სახლი, ერთმნიშვნელოვნად! ეს ყველაზე მყუდრო და დაცული სივრცეა ჩემთვის. „ჩემი სახლი — ჩემი ციხესიმაგრეა!“

**P.S.** მსახიობის ღვანდი ღვთისათვის სათნოა თუ ახა, შეუეთხნენ უხთხედ მამა გაბიხედს. მან უპასუხა: "მსახიობობა ეს ღვთიუხი ტადანცია, შენ სხვის ტადანცს ახ უნდა შეუხო. ხამდენი გამოჩენილი მსახიობია ამქვეყნად. თუ ღვთისგან ეს ნიჭი მოგეცა, უნდა ეჯადო, ამ ტადანცით უფადთან მიიყვანო ადამიანი და ახა გაახთო".

ღილი ხუჩითი იმიკომ დგას სცენაზე, ხომ ჩაგაფიქროს, აგალედოს, შეგაყვავიოს, გაცუნებოს, დაგამშვიდოს, დაგანახოს სამყაიხო, სადაც ძიებაა, სადაც ასე საინტეხესოა, იყო მაყუხებელი. ეს ის მოცემელობაა, ჩაზეუ ბიძანებს მამა გაბიხედი.








## მხაჭვარი ჰოჯ გოგენი (1848-1895 წ.წ.)

ჰოჯ ეენ ანჰი გოგენი – დიდი ფხანგი ფეხმნეჰი, სეჯდჰოჰი, ჟეჰამიჰოსი, ჰომღის ცხოვება აღსავსე იყო ეჰედუჰეჰი დჰამაჰიზმით, ცდილობდა, ეჰიჰველსად, საეუთჰი სეღმი შეეჰმნა "სამოთხე". "ჩემი გზით სიჰეღის სი მემინი, ეს გზა სხვათა გზებისაგან განზე მიღის, ბჰბოსთვის ჩემი ხელოვნება გამოცანაა; აღბათ, მეჰეც ასე იჰნება. მაგჰამ, დღეს თუ ხვად, ჟეჰგს ლიხსეუდად შეაფასებენ; ჰიჰველხაჰისხვოვან სეჰათებს დავხაგავ. მე ეს მჯეჰა!" - ნეჰდა მხაგვაჰი. ეთ-ეთი მისი თანამეღეოვე ჟი იგყვის: "გოგენი ყვედა დიდი ადამიანივით მიუნვეღმეღია".



ავტოპორტრეტი

### წარმომავლობა

თურმე გოგენი მუდამ ამაცობდა თავისი სახელოვანი წინაპრებით. განსაკუთრებით მაშინ, როცა მას „ველური წარმომობის“ ადამიანად სახავდნენ.

ჰყვარებია იმის გახსენება, რომ მის ესპანელ პოლკოვნიკ პაპას (დედის მხრიდან), სიმამაცით განთქმულ დონ არიანო ტრისტანს ცოლად ჰყავდა პერუს ლეგენდარული ვიცე-მეფის ულამაზესი ძმისწული; ხოლო მათი ქალიშვილი, დემოკრატიისა და ქალთა ემანსიპაციის მგზნებარე დამცველი ფლორა ტრისტანი, 16 წლის დაქორწინებულა პარიზში ღვინით მოვაჭრე, მდიდარ ბორდოელ შაზალზე (გოგენი თვლიდა, რომ იმ საამაყო ბებიას გარეგნულადაც ჰგავდა და ბუნებითაც).

**ვან გოგთან და სეზანთან ერთად პოსტიმპრესიონიზმის უდიდესი წარმომადგენელი – პოლ გოგენი დაიბადა 1848 წლის 7 ივნისს, პარიზში.**

დედამ, ალინა შაზალმა (ფლორა ტრისტანის ქალიშვილი) თავისი ბედი სიყვარულით დაუკავშირა იმხანად საუკეთესო რეპუტაციის ჟურნალისტს, გაზეთ „ნაციონალის“ რედაქტორს კლოვის გოგენს. წყვილი 1848 წლის 15 ივნისს დაქორწინდა. ეყოლათ – მარსელინა მარი და პოლ ეჰენ ანრი.

### ბავშვობის უზრუნველი წლებით

მას შემდეგ, რაც პრინცი ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს, კლოვის გოგენმა, უარესი მომავლის მოლოდინში, ოჯახთან ერთად ქვეყნის დატოვება და უცხოეთში გამგზავრება გადაწყვიტა; კერძოდ, სამხრეთ ამერიკაში, პერუში, სადაც ეგულეობდა ცოლის ახლო ნათესავები, სიმდიდრითაც და პოლიტიკური გავლენითაც გამორჩეული გვარის წარმომადგენლები.

პატარა პოლი ჯერ არ იყო მონათლული; რაკი გრძელი გზა უნდა გაეგლოთ (პერუმდე გემით 3-4 თვე უნდა ეგლოთ), ალინამ ნათლობა დააჩქარა და 1849 წლის 19 ივლისს ეკლესიაში ეს ცერემონია შედგა კიდევც. ბიჭის ნათლია მისი ორლეანელი პაპა (მამის მამა) – გიომი იყო.

**სწორედ ამ დროს ცოლ-ქმარმა გოგენებმა ფლორა ტრისტანის ახლობელ მეგობარს, ფრანგი ფერმწერის – ჟან ოგიუსტ ენგრის მონაფეს, მხატვარ ჟიულ ლორას სთხოვეს, პოლის პორტრეტი დაეხატა. ტილოზე პატარა პოლი წელამდეა დახატული, შიშველია და ცალი ხელი გულზე უდევს. ბიჭუნა ქვეყანას მიმნდობი თვლებით უყურებს.**

სამწუხაროდ, კლოვის გოგენი მოულოდნელად გზაში გარდაიცვალა – მას გული ანუხებდა. ალინამ მეუღლე პორტ-ფამინში\* დაასაფლავა და პერუსკენ მიმავალი გზა გააგრძელა.

ქალი გულის ფანცქალით ელოდა ნათესავებთან შეხვედრას; სინამდვილეში ჯადოსნური რეალობის წინაშე აღმოჩნდა. პერუელი დონ პიო თავისი ძმის შვილიშვილს უჩვეულო გულითადობით შეეგება.

უშველებელი, მდიდრული და მსახურებით სავსე სახლი, სადაც ბრწყინვალე დარბაზობები იმართებოდა და თავს იყრიდნენ პერუს ყველაზე წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწენი – აი, გარემო, სადაც პოლმა ბავშვობის 6.5 წელიწადი გაატარა. მზრუნველი და ლმობიერი დედის კალთას შეფარებული პატარა პოლი მიამიტად ენაფებოდა ბედნიერებას.



1 წლის პოლი.  
მხატვარი – ჟიულ ლორა

\* – არგენტინის სამხრეთ სანაპირო.



### "ან ერეცინი, ან გენიოსი..."



დედა – ალინა გოგენი

1855 წელს პერუში ოპოზიციამ გაიმარჯვა და გოგენების ოჯახიც იძულებული შეიქნა, ლიმა\* დაეტოვებინა და ორლენში, პაპა გიომთან დაბრუნებულიყო. ასე დასრულდა ბიჭუნას წარუშლელი მოგონებები, რომელიც მან მთელი სიცოცხლე ვერასოდეს დაივიწყა!

პერუდან წამოსული და ორლენის პანსიონში ჩარიცხული პატარა პოლი მეცადინეობებზე დადიოდა, მაგრამ იქაურობას ვერ ეგუებოდა. მხოლოდ ესპანურად მოლაპარაკეს ძლივს ესმოდა მასწავლებლების, ამხანაგების, ირგვლივ მყოფთა ფრანგული ენა. საფრანგეთის ცაც კი უცხოდ ეჩვენებოდა. ამიტომაც პანსიონში წარმატებები არ ჰქონდა. სასწავლო საგნებს ძალზე გულგრილად ეკიდებოდა. **მასწავლებელს საგონებელში აგდებდა ამ მეოცნებე, მონაცისფრო-მომწვანო თვალებიანი, 8-9 წლის ბიჭუნას უცნაური ქცევები.**

ერთს პირდაპირ ასე უთქვამს: „ეს ბიჭი რომ გაიზრდება, ან კრეტინი იქნება, ან უთუოდ გენიოსი!“

ერთხელაც, ორლენში სწავლის დროს პოლს სკოლიდან ფერადი მინის ბურთულები მოუტანია. „დედაჩემი აღმფოთებით მეკითხებოდა, ვინ მოგცაო, – იგონებს პოლი, – თავჩაღუნულმა ავუხსენი, რომ ბურთი გავეცვალე. როგორ, ჩემს შვილს განა ვაჭრობა შეეფერება? – სიტყვა „ვაჭრობა“ დედაჩემმა ზიზლით წარმოთქვა; ბავშვობიდანვე კარგად ვიცოდი, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ არის, რისი ყიდვაც არ შეიძლება!“

სასწავლებლის კარჩაკეტილ სამყაროში ძალიან ადვილად მეგობრდებიან. პოლ გოგენის ბუნებისთვის კი ასეთი რამ უცხო იყო. „ფიქრს შევეჩვიე, შევეჩვიე საკუთარ თავში ჩაღრმავებას; ვაკვირდებოდი ჩემს მასწავლებლებს და მათ ქცევებს თვალს წამითაც არ ვამორებდი. ვფიქრობ, სწორედ იქ შევიჯავრე ის, რაც გულისა და გონებისთვის უცხო იყო“, – წერდა მოგვიანებით პოლი.

პერუში დაბრუნებაზე ფიქრიც არ ასვენებდა; სცადა კიდევაც გაქცევა, მაგრამ უშედეგოდ – უკან დააბრუნეს.

### "მეზღვაურობა მინდა..."

1864 წელს მისი სასწავლებელში ყოფნის ბოლო წელი იყო. ალინას შვილის მომავალი აფიქრებდა, თან პოლის სწავლაც ძვირი უჯდებოდა.

**ერთხელ, როცა ალინა შვილს შეეკითხა, ვინ გინდა, გამოხვიდეთ, პოლს უცებ დასცდა, მინდა მეზღვაურობაო. მატროსობაზე პოლს, ცხადია, წუთითაც არ უფიქრია; მაგრამ მეზღვაურობა მისთვის ნიშნავდა გამგზავრებას, გამგზავრება კი – მრავალფეროვნებას.**

1865 წელს ის სწორედ 17 წლისა გახდა, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში კი ამ ასაკის მოზარდებს უკვე აღარ იღებდნენ. ამდენად, გადაწყდა სავაჭრო დანიშნულების გემზე პოლის უბრალო მეზღვაურად მოწყობა. მარილიანი ზღვის ჰაერი რომ შეისუნთქა, თითქოს ხელმეორედ დაიბადა; წარსულს ჩაბარდა პარიზსა და ორლენში გატარებული უხალისო წლები.



პოლი და მეტე გოგენები კოპენჰაგენში

ერთ დილას, როცა გემბანს წმენდდა, უცებ ზღვაში გადავარდა ისე, რომ არავის შეუნიშნავს. მაგრამ ყმანვილს იატაკის გასანმენდი ხის ცოცხი ხელიდან არ გაუშვია და მხოლოდ მისი დახმარებით მოახერხა, 48 საათს გაეძლო ოკეანის ზედაპირზე. სრულიად შემთხვევით, მის სიახლოვეს გემმა ჩაიარა, ბიჭი შენიშნეს და უშველეს.

მძიმე შრომამ, ზღვის ჰავამ, მკაცრმა ცხოვრებამ გამოანართო, კუნთები გაუმაგრა პოლს (საშუალო სიმაღლის იყო – 163 სმ, კარგად აღნაგი). გამუდმებით სერიოზულ გამოხედვას ზოგჯერ თუ გაუნათებდა ლიმილი. ამის გამო გემზე უცნაურ ყმანვილად მიიჩნევდნენ.

ხომალდი „ლუზიტანო“ ისევ გარს უვლიდა მსოფლიოს. ტალღას ტალღაზე მიაგორებდა და ოკეანის სილურჯე დედის ნანასავით პოლს თითქოს სიმშვიდეს ჰგვრიდა. ყმანვილმა ჯერ არ იცოდა, რომ დედის ხმა უკვე სამუდამოდ მიჩუმებულიყო. ინდოეთში ჩასვლის შემდეგლა შეატყობინეს დედის გარდაცვალება. პოლმა ჯერ ისიც არ იცოდა, რომ მისი ბავშვობა დასრულებულიყო.





## ფერწერა - ოქნებში გადასახლება

ზღვაში გატარებული 5 წლის შემდეგ პოლმა გაიაზრა, რომ არჩევანი შეეშალა; მხატვრობა – აი, რა იყო მისი საქმე. ის მაშინ 22 წლის იყო.

1871 წელს პოლი დაბრუნდა პარიზში და დედის მიერ ანდერძით დანიშნული მდიდარი მეურვის, გუსტავ აროზას დახმარებით მუშაობა დაიწყო საბირჟო კანტორაში, სადაც კომერციული საქმის შესანიშნავი უნარი გამოამჟღავნა. მალე საკმაოდ სარფიანი შემოსავლის პატრონიც გახდა.

**ფულსაც იოლად შოულობდა და იოლადაც ფანტავდა. ხელში მოქცეულ ფულს ეკიდებოდა დაუდევრად, როგორც ბავშვი, ანდა ველური. „ძუნწი კაცი უგუნურიანო. ორი რამ არის ჩემში ისეთი, რაზეც ვერავინ გაიცინებს – მე ველური ვარ, თანაც, ბავშვი“, – წერდა გოგენი.**

ორიოდ წელში მატერიალურად უზრუნველყოფილი და მაღალ საზოგადოებაში საკმაოდ დაფასებული პოლ გოგენი ჯვარს იწერს პარიზში დროებით ჩამოსულ კოპენჰაგელ აღმზრდელ ქალზე – მეტე სოფი გადზე.

გოგენს მეტე უსაზღვროდ შეუყვარდა. პარიზი ხომ მისთვის იყო ყრუ და უკაცრიელი ქალაქი, სადაც, მისივე თქმით, „უდედოდ და უოჯახოდ მყოფს მარტოობა უღრღნიდა სულს“. ახლა კი, ვნებით გაბრუებულს, ეჩვენებოდა, რომ ძლიერი მეტე მას მფარველად მოვლენოდა. მაგრამ, როგორც მერე აღმოჩნდა და გესლიანმა ფსიქოლოგმაც აღნიშნა, რომ მეტეს ფულის გარდა გოგენისა არაფერი იზიდავდა (პოლსა და მეტეს 5 შვილი შეეძინათ, მაგრამ თანაცხოვრების 12 წლის შემდეგ, ოჯახი მაინც დაინგრა. მეტე მშობლიურ დანიაში დაბრუნდა).

**„წარსული უკვე დავასამარე, გული გამოშრა, გამოიფიტა, მაგრამ გამოანართო ცხოვრების ამდენმა უკულმართობამ. ახლა მხოლოდ ჩემს საქმეზე, ჩემს ხელოვნებაზე ვზრუნავ და ვფიქრობ. ეს ერთადერთია, რისი იმედიც უნდა მქონდეს. ღმერთმანი, დღითი დღე უკეთ ვხატავ და დღევანდელი წარმატებები ოდესმე უთუოდ გამომადგება“, – წერდა პოლი უკვე გაყრილ მეუღლეს დანიაში.**

ამ დროისთვის უკვე უმუშევარი პოლი იქცა შინაყუდად. ხატვასთან ერთად წიგნების კითხვაც ყველაფერს ერჩია. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ ედგარ პო, ბალზაკი, შექსპირი. ფერწერას კი მაინც იმდენ ენერგიას ახმარდა, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა! **მხატვრის თქმით, ის სამუდამო შრომისთვის იყო განწირული.**

პოლის ნიჭი იმთავითვე იმპრესიონისტმა მხატვარმა კამილ პისარომ აღმოაჩინა. მისგან მიიღო გოგენმა პირველი გაკვეთილები და, რა თქმა უნდა, თავდაპირველ ფერწერულ ქმნილებებსაც პისაროს ზეგავლენა ემჩნევა. პისარომ პოლს გააცნო ედგარ დეგა, რომელიც იძენდა მის ნახატებს.

**გვიან, მაგრამ ძალზე ნაყოფიერად წარიმართა გოგენის შემოქმედებითი გზა დილეტანტური გატაცებიდან პროფესიულ მხატვრობამდე. როცა მან თავისი ტილო ედუარდ მანეს აჩვენა და თანაც მოკრძალებით დასძინა, მე მხოლოდ მოყვარული ვარო, მანემ მისთვის ჩვეული პირუთვნელობით მიუგო: „ო, არა, მოყვარულები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც ცუდ ფერწერას ქმნიან!“**

ამან გოგენი გაამხნევა და საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენაც განუმტკიცა. მანეს გავლენით ბევრს ხატავდა; უმთავრესად, ნატურმორტებს. შუალამე გადავიდოდა, იგი ისევ წამოწყებულ ეტიუდზე მუშაობდა. მისთვის დასვენება იყო მუდმივი შემოქმედება. „არავის შეუძლია, გზას ამაყდინოს“, – ამბობდა გოგენი. როცა ფუნჯი ეჭირა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა, რომ ცოცხალი იყო.

**„დაე, მომავალს ჩემი ნურც ერთი ნამუშევარი ნუ შერჩება, მაგრამ იმ მხატვრის მოგონებას, ფერწერა სიმბოლისტური მანკისაგან რომ იხსნა, შთამომავლობა არ დაივიწყებს“, – იტყვის გოგენი.**



„ოჯახი ბალში“. პოლ გოგენი



## „ხაჯვაზე ხელს ვერაფერი ამაღლებს!“

გოგენი არ იყო მგზნებარე ნატურა, წინ რომ მიიწევს დამანგრეველი სისწრაფით. მის სულში ფორმათა, გრძობათა, ფერთა მთელი სამყარო ბობოქრობდა: „ფერი კეთილშობილიც არის, უხამსიც, სიმშვიდის მომგვრელიც, წყნარიც და ჰარმონიულიც; და პირიქით, ისეთი თამამიც, რომ აგაღლეებს“.

1883 წელს გოგენმა დახატა ავტოპორტრეტი მოლბერტის წინ – ტილო, რომელიც ნამდვილ აღსარებად იქცა.

პოლს სურდა, შექმნილი თავისუფლების დაუკარგავად როგორმე ორიოდ გრომი ემოვა. ფიქრებისაგან შეწუხებული პარიზის ქუჩაში დახეტილობდა და არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

ერთხელაც, მონმარტზე, გოგენი გადაეყარა დაბალი ტანის, წვერნითელა, გამხდარ კაცს. ეს იყო 33 წლის უთავბოლოდ მოსაუბრე ჰოლანდიელი მხატვარი – ვინსენტ ვან გოგი, ფერმწერი, რომელსაც გამუდმებით აწუხებდა, ხელოვანთა უმეტესობა სილატაკისთვის რატომ არის განწირული.

საგულისხმოა, რომ ვან გოგის ფერწერული ტილოების ცნობილი სერია „მზესუმზირები“ განკუთვნილი იყო პოლ გოგენის საძინებლის დეკორაციად. ფერწერაში ამ ორი დიდი მხატვრის ერთობლივი თანამშრომლობის ცდა მარცხით დამთავრდა (თუმცა ცოტა ხანს ერთადაც ცხოვრობდნენ). მწვავე ფსიქიკური შეტევისას ვან გოგი ქუჩაში მოულოდნელად თავს დაესხა გოგენს და თუ არა ამ უკანასკნელის თავის დაცვის საოცარი უნარი, შესაძლებელია, ის ვან გოგის ბასრი სამართებლის მსხვერპლი გამხდარიყო.



„ტაიტის მთები“. პოლ გოგენი

გოგენის ყოველი ცდა, გაეუმჯობესებინა საკუთარი სოციალური მდგომარეობა, კრახით მთავრდებოდა. აფიშების გამკვრელადაც იმუშავა, ხატავდა ლარნაკებსაც\*, რომელთაც არავინ ყიდულობდა. „მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნებას ასე არასდროს შეუუპყრივარ, ხატვაზე ხელს ვერაფერი ამაღლებს!“ – სწერდა ის მეგობარს.

გოგენი უცხო იყო იმ გარემოსთვის, სადაც ცხოვრობდა; ჰგავდა მსახიობს, თავის როლს ზედმეტი ფიქრის გარეშე რომ თამაშობს. თითქოს ყველასა და ყველაფრისგან შორს ცხოვრობდა.

## „მივემგზავრები წაიწბე!..“\*\*

ლუკმა-პურისთვის გამუდმებული ხეტიალითა და სხვა უამრავი გასაჭირით დაღლილი გოგენი ტაიტზე

მივემგზავრება. „მივემგზავრები ტაიტზე და, ალბათ, სიცოცხლესაც იქ დავამთავრებ!“ – თითქოს იწინასწარმეტყველა გოგენმა. ამით ევროპასაც სამუდამოდ დაემშვიდობა. თუმცა იქ გატარებული სულ რამდენიმე წელიც უმძიმესი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებით გამოირჩეოდა.

„უნიჭობა მძულს, – წერს გოგენი, – მძულს ყოველივე სანახევრო. ყველაფერი მთლიანი მინდა. საკმარისია, შევისვენო, სული მოვიტყვა, რომ კვლავ შევძახო, კიდევ-მეთქი, კიდევ, კიდევ! შენ კი, კეთილგონიერებავ, სევდას მგვრი და თავს მაბეზრებ. საზარელია შენი შთაგონება!“

სხვათა შორის, აქ ქორწინდება ახალგაზრდა ტაიტელზე; აგრძელებს დაუღალავ შრომას, წერს მოთხრობებს, მუშაობს ჟურნალისტად, და, რაც მთავარია, ეს პერიოდი მხატვრობაში ყველაზე ნაყოფიერია. ქმნის 80-მდე ტილოს. თავისი საუკეთესო ნაწარმოებები გოგენმა სწორედ ტაიტზე შექმნა.

„აქ, სიჩუმეში, სიმყუდროვეში, ყვავილთა შორის მხოლოდ ისლა დამრჩენია, ჩემთვის აკლდამა გავიმზადო“, – ჩანერს დღიურში.

1901 წელს ჰოლ გოგენი საცხოვრებლად გადავიდა მახიზის კუნძულებზე, დაბა დომენიკში.\*\*\* 1903 წლის 8 მაისს, 54 წლის ასაკში, ყველასგან მიკოვებულმა და მახიოსუნმა დატოვა ამქვეყნიური სამყოფელი.

ასე დასრულდა ამ ქვეყნიურად ეგენდარული მხატვრის სიცოცხლე, ხომეღმაც თავისი სხეულოფიცი ქმნილებებით ხელოვნების ისტორიაში სამუდამო ადგილი დაიკავა.

„მხატვარი ვაჟი, დიდი მხატვარი და მე ეს ვიცი. დიდი ხომ ვაჟი, საკუთარი გზით სიხელისთვის ამდენი სიმწაღი იმიტომაც გამოვიჩაე. ასე ხომ ახ მექნა, დამნაშავე ვიქნებოდი. გაჭიხვება ხოდი მანუხებდა. მე ის მანუხებდა, გამუდმებით ხომ მეშვებოდა ხელი მუშაობაში და ისე ვეი ვხატავდი, ხოგოხე ვხიძნობდი და ხოგოხე ვხედავდი“, - ასე მიაჩნდა დიდ გოგენს.

\* – ერთ-ერთი ლარნაკი დღეს ბრიუსელის ხელოვნების მუზეუმშია დაცული. \*\* – წყნარი ოკეანის ერთ-ერთი კუნძული, ავსტრალიის აღმოსავლეთით. \*\*\* – ტაიტის აღმოსავლეთით, წყნარი ოკეანის ერთ-ერთი კუნძული.



# საძიებელი

## ღაზაზაზაზა სათაძი

ზათუ დანელია  
უნდა გველოდო, აფხაზეთო! ..... 3

## ჰიოზა

ნინო სადღობელაშვილი  
მარინე ..... 4

ზღვისპირა იაღიანი ..... 7

## ჰიჰია ეღისონ

მღვდელი ლევან ანდღულაძე  
სიყვარული – სიცოცხლის საზრისი! ..... 8

## ღანაძოზაჰა ფიჰიო

ლატავრა თეთრაული  
დიდი ვაჟა და ქალიკელი ..... 11

## ო, ენა ზაო

სულხან-საბა ორბელიანი  
ცხრათვიანი პილიგრიმოზის შემდეგ ..... 14  
იგავები ..... 14

## ჰოზაზა

ანა ერისთავი  
ლექსები ..... 16

## ზაჰჰაჰიღინა

საღომე კაპანაძე  
„სადაც შენი და ჩემი სამშობლო“ ..... 17

## საღინო თაღილი

220 წელი აღექსანდრე პუშკინის დაბადებიდან  
დიდი პოეტის უკანასკნელი წელი ..... 20

## ღოსა ჰაღთველი ზაღ

ღიმიტრი ამიღაზვარი –  
„საფრანგეთის ქართველი ლომი“ ..... 25

## ჰღიო ნაბაღი თაღინა

აღოიზის ვიღა – აღმოსავლური ზღაპარი ..... 28

## ზღაჰაღი ღიღაღისთვის

წუნუ ჰანელიძე  
კვეკვერციხი ..... 30  
არაქენია ..... 32

## ზაღთაღი თაღინთვის

გარი ბრაუნი  
„არავის შენი არაფერი მარტებს“  
წერილი 9 წლის ქალიშვილს ..... 34

## ოღინაღი

ანი ანდრონიკაშვილი  
წილს ბორის ქართული ვოიაჟი ..... 36

## ჰოღის ჰიოღი ღაღი

წინო თარიღიღი  
ჩემს ტოღებს ..... 40

## ღინიღაღა

წარღიზა ბენიძე  
კაქტუსი ..... 40

## ჰიოღაღი

..... 41

## ეღვეღი ჰაღისიღაღით

იღღანღია – ზურმუხტის კუნძული ..... 42

## თაღბაღი

რეი ბრედბერი  
არღაღეღები ..... 46

## ღაღიღი

წინო გოციღიძე  
ცხოვრება ტყეში ..... 49

## წიოღი ზაღიღაღა

წანა ჰანტურიღა  
წიღი ზურითი იმიტომ დღას სცენაზე, რომ... ..... 50

## იღიღის ნაღბოღი

..... 54

## იღაღიღა ზაღა ზაღჰოღიღიღი

მზაღვარი – პოღ გოღენი ..... 55


### ჩვენი მისაღმართა:

ქ. თბიღისი, უზნაღის ქ. № 68.  
ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;  
ელ-ფოსტა: [jurnali.ialqani@gmail.com](mailto:jurnali.ialqani@gmail.com)

იაღქანი № 2 (43). 2019 წ.  
აფქიო № 2 (16). 2019 წ.

ტირაჟი: 500 ც.  
ფასი სახელმუქარულეზო





„გოლდინი“. ნინო ჭაღიძე. 11 წლის. სოხუმი